K 7 1.96
2

899.962.1
8-32(081)

მესამე წიგნი

ივ. ქუთაისელი

117.196/2

სულ № 4886.
სპეცფონდის № 964.
წიგნის ან ოთახის №

ტფილისი
ქართ. წ. გ. ამხ. || Тип. Элек. Г. И. Т—ва.
1904

Дозволено Цензурою 26 декабря 1903 года.
гор. Тифлисъ.

ᲡᲐᲯᲘᲨᲝ-2000
ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲚᲘᲐ

პატარა პეპელა

(ეტიუდი)

— მოიწი ჩემკენ, მოიწი!.. შენ კი არა გცივა?!.. მე კი, აი, სიცივისგან მთლად დავიბუხე, ლამის არის გავშეშდე, სიცოცხლე შემიდგეს...—ეხვეწება პატარა, ფუნჩულა თეთრი პეპელა, რომელიც ყვითელ-ფოთლიან ჯაგს ამოჰფარებია, იქავე მჯდომ ჭრელ პეპელას და იმოდენა არაქათი აღარა აქვს, რომ თითონ მიიწიოს იმისკენ...

წვრილი, ფეტვის-მარცვალა წვიმა კი დაჟინებით თავს დასდის, და თან სუსხიანი ქარი უსისინებს...

— ლამის არის მთლად ზედ შეგდგე!.. სადღა მოვიწიო?!.

— არ გებრალები?!. კვნესით შესძახა ფუნჩულა პეპელამ და ოდნავ პატარა ფრთები შეარხია...

— მებრალები, მაგრამ რა ვქმნა, როდესაც მეც შენი დღე მადგას?!.—გულმხურვალობით უპასუხა ჭრელმა პეპელამ და ცალი ფრთა ზედ გადააფარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოო, ეგრე, ეგრე!... ოხ, რა ბედ-ლობელი ვარ!..

— ეეეხ, მართლა-და, რა სულელი გა-მოვდექი, იმათ რომ დავუჯერე?..—გულ-ამოსკვნით წამოიძახა ისევ ფუნჩულა პე-პელამ რამოდენისამე წუთის სიჩუმის შემ-დეგ.

— რა იყო?!.. როგორ?...—ეკითხება ჭრელი პეპელა და გადაფარებულ ფრთას უფრო უჭუჭკავს.

— ეხლა რომ მაგონდება,—კანკალით ამბობს ფუნჩულა პეპელა:—სირცხვილით ვიწვი...

— არ მეტყვი, რა იყო?...

— ჯერ ახლად თვალი რომ გავახილე,—დაიწყო ფუნჩულამ:—და არე-მარეს გა-დავავლე, დავითვერი, სიამოვნების ჟრუ-ანტელმა დამირბინა ტანში. ჩემ თვალ-წინ გადაშლილიყო... ბედ-შავს, ველარც კი გამომითქვამს იმისი სიმშვენიერე!... ათას-ფრად აყვავებული მდელო, რომელ-საც შიგ შუაში მიუჩხრიალებდა ანკარა, კამკამი წყალი და ნაპირებს აპკურებდა თავის გამაცოცხლებელ წინწკლებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაჭიმულიყო ჩემ თვალწინ. ყოველ საგანს სინაზე, სიახლე ეტყობოდა. უთუოდ ისინიც ახლად იყვნენ გამოწვეულნი, გამოცოცხლებულნი, რომ პირველ მზის სხივზე მათ ცრემლვა დაიწყეს. მათი ცრემლი მზის სხივზე კრთოდა, ელვარებდა, და ის ანკარა წყალიც უთუოდ იმისთვის მოსთქვამდა ისე ნაზად და სასიამოვნოდ... არემარე ჩემსავით დამთვრალი იყო სიცოცხლის პირველი სხივით და სტიროდა სიხარულით!..

„....ახ, რა კარგია!...“—გამოვერკვიე თუ არა, უნებურად ეს წამოვიძახე და არ ვიცი, როგორ და რად დავიწყე ნავარდობა... მართლადაც, რა კარგი იყო?!! ხან ერთს ყვავილს დავაკვდებოდი ზედ გულზე და ხან კიდევ მეორეს. მინდოდა ყველას მივვალერსებოდი, ყველას გულში ჩავკროდი და ამისთვის არც ერთ ყვავილთან, არც ერთ მცენარესთან დიდხანს არ გავჩერებულვარ.

„ასე ვნავარდობდი, ვიდრემდის ბინდმა არ შემაყენა. ვიძახდი, რად დაბნელდა, რომ კიდევ მენავარდნა...

„გათენდა. ისევ ის ნავარდობა, ისევ ის სიამოვნება. ყოველ დღე ვსიამოვნებდი და სამწუხაროდ მხოლოდ ის მქონდა, რომ ღამეც არ შემეძლო სიამოვნება.

„ერთ ღამეს... ცოტა კიდევ ამომიჭუჭკე ფრთა!... ეგრე, ეგრე!... რა ნაირი სუსხიანი ღამეა!... ჰო!... ერთ ღამეს, მეთქი, ის იყო ბალახებში ჩავძვერი და ძილს ვაპირობდი, რომ უეცრივ რაღაც სინათლე თვალს მომადგა. გავიხედე იქით, საიდანაც შუქი მოდიოდა და აღარც კი მიფიქრნია, მაშინვე იქითკენ გავეშურე. რას ვხედავ?!. ირგვლივ ისხდნენ... უთუოდ ვენახვება სადმე; ისინი ხშირად დადიან ქინდვრად და მათი მსგავსი პატარეები ჩვენს ძმებს კიდევაც დასაჭერად დასდევენ! რა ვქნა?!.. რამ დამავიწყა მათი სახელი?!...

—ადამიანები?!!

—ჰო, ადამიანები!... არ გასაშვებმა ამათმა პატარეებმა ერთხელ კინაღამ დამიჭირეს... შემოსხდომოდნენ მაგიდას და ყახშმობდნენ... მაგიდას შუა იდგა რაღაც პატარა თეთრი, რომელსაც თავს დაჰსო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა მოელვარე, მოციმციმე ენა. მისი შავი ძარღვი ცოტათი წამოხრილიყო და გაღვიებული წვერი გამოენაპირებინა... ახ, რა მშვენიერება რამ იყო?!.. ის, ის ჰფენდა არე მარეს მკრთალ ნათელს... ის ატკბობდა იმ საზიზღრებს!.. პირველი შეკრთომის შემდეგ გავსრიალდი და თავს შემოვევლე... მისი სიახლოვე ვიგრძენ... ფრთა შევახე და... ოხ, რა ნეტარების ჟრუანტელმა დამიარა ტანში!.. სიმწვავე ვიგრძენ, მაგრამ ნეტარი სიმწვავე!... ტანი მომეშალა და, დარეტიანებულმა, მსწრაფლ ძირს ფორთხიალი დავიწყე“...

„....რა სულელები არიან, ეს მწერები?!... სიცოცხლეს თითონვე ისპობენ“.—წამოიძახა ერთმა მაგიდის გარს მსხდომ ადამიანთაგანმა და იატაკზე გადამანარცხა“...

„ძალიან მეწყინა... სატრფო მთლად დამავიწყდა...„სულელები... მწერები!...“ ეს სიტყვები-ღა მიტრიალებდნენ თავში... მოვიკრიფე ძალ-ღონე და მედიდურად ავუფრინდი იმათ ცხვირ-წინ... „მე დაგიმტკიცებთ, რომ მწერები სრულებითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არიან სულელები-მეთქი“, თან ეს მი-ვაძახე, და ის იყო და ის, მას შემდეგ ყოველგვარ სიამოვნებას მოვშორდი; ვე-რიდებოდი... „იგინი ჭკვიანები არიან. სულდგმულთა მეფედ ითვლებიან. მაშა-სადამე, უთუოდ სიცოცხლე სიცოცხლის-თვის რაიმეს წარმოადგენს-მეთქი“, ვფიქ-რობდი და ყოველთვის, როდესაც კი შევნიშნავდი რაიმე სიმშვენიერეს, რო-მელიც მაფრთოვანებდა, მიზიდავდა და გულს მიტოკავდა, დღე იქნებოდა ეს, თუ ღამე, ვერიდებოდი, ვუფრთხოდი და, აი, სიცოცხლე დავიცევ ამ სუსხიანი ღამისთ-ვის; სიცოცხლე შევინახე, რომ იგი ტანჯვით მომსპობოდა!... ოჰ, თუ გა-დავრჩი ამ სუსხიან ღამეს... მაშინ... მცი-ვა... მცივა... მაშინ...“—შესწყვიტა ფუნ-ჩულამ ამბავი. ჭრელი სმენად იყო გარდაქცეული. დიდხანს ელოდა, ფუნ-ჩულა რას იზამდა, თუ ამ ღამეს გადარ-ჩებოდა, მაგრამ იგი მხოლოდ გაუგებ-რად წრიპინებდა. ჩქარა წრიპინიც შესწყდა....

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ რას იზამდი?!—ჩაეკითხა მოთმინებიდან გამოსული ჭრელი პეპელა, მაგრამ ფუნჩულა სდუმდა.

ჭრელმა პეპელამ შეარხია ფუნჩულა. ფუნჩულა ძირს ჩაგორდა.

— ველარ გადარჩა ამ ღამეს!..—მწარედ წარმოსთქვა ჭრელმა პეპელამ და ღრმა ფიქრებს მისცა თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების მეფენი

(ეტიუდი)

— ჰხედაავთ, გეყურებაათ?! — თამადამ კეკლუცად მორთულ ტყე და მინდორზე და ტკბილად მოჩუხჩუხე ნაკადულზედ ხელი მიიშვირა.

— როდესაც ყოველსავე ამას თვალ-ყურს ათხოვებთ, — განაგრძო თამადამ, — და როდეს არ ათხოვებ?!.. ყოველთვის. მაშინ, ვფიცავ!... მაგრამ რა დავიფიცო?!.. ჰმ!... ვფიცავ კაცობრიობას. კაცობრიობას ვფიცავ, მეთქი, რადგანაც ადამიანისთანა ამ ქვეყნად არა არისრა. ადამიანი მეფეა ბუნებისა. მისთვის არის ყოველივე დაბადებული; ყოველივე მისთვის არსებობს. იმას ვამბობდი: როდესაც ყოველსავე ამას თვალ-ყურს ათხოვებ, ძალა-უნებურად შენ თავს, ესე იგი, ადამიანი თავის თავს მეფედ ჰგრძნობს. აბა შეხედეთ ამ მდელოს, ტყეს, როგორ თქვენს თვალს ნაზად ეტრფის, ეალერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სება; ან ყური დაუგდეთ მათ ოდნავ მოძრაობის ხმას, და ან კიდევ ამ ნაკადულის ჩუხჩუხს. რომელი უმაღლესი მუსიკა დაატკბობს თქვენს სმენას, როგორც ეს?!. რომელი ხელოვნური დეკორაცია გააღიზინებს თქვენს თვალს, როგორც ეს?!.. ესე: ეს ბუნებაა...—თვალი გადაავლო არე-მარეს და უეცრივ დაინახა იქავე ახლოს ვირი, რომელიც ყურებ წინ-წამობერტყილი ქანდაკებასავით უმოძრაოდ იდგა და გაშტერებული გაიცქირებოდა. ამ არსებამ მასალა მისცა კიდევ უფრო გაეფართოვებინა თავისი სიტყვა: განა მარტო უსულო ბუნება. მას ემსახურება ყოველი სულდგმულიც. აგერ, გეყურებათ ფრინველთ ჟღივილი?!.. ისინიც ადამიანს ემსახურებიან. თუ არ ემსახურებიან, შეუძლიან ადამიანს დაიმორჩილოს ყოველი სულდგმული და იმსახუროს, რიგორც აგერ ის ვირი, რომელიც ფილოსოფოსი თავით ჩაფიქრებულა...

მოსადილეთ ყველამ გაიხედეს ვირისკენ და ხითხითი ასტეხეს. ყველას მოეწონა თამადისგან ვირის დახასიათება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირმა ყურები აცქვიტა, როდესაც თამადამ იგი ახსენა, და, მის ხსენებას რომ ხითხითი დაატყდა, ისევ პირვანდებულად გაშტერდა.

— მაშ ყმაწვილებო და ქალებო,—გაგულადებულმა თამადამ ხმა-მაღლით დაიძახა:—გაუმარჯოს ადამიანს, რომელსაც ემსახურება ბუნება, და მასთან ერთად ჩვენც გაგვიმარჯოს.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს, ურაა!— ერთ ხმად დაიძახა ყველამ და სავსე ჭიქა გამოსცალა.

ამ სადღეგრძელოს შემდეგ ქალები გასასეირნებლად წამოიშალნენ. ყმაწვილები, თუმცა მათ კიდევ ბაასი და ღვინის სმა უნდოდათ, რალას იქმდნენ. იგინიც წამოდგნენ. ერთ მათგანს მოაგონდა, რომ თამადას სადღეგრძელო არ დაულევიათ. ამით ისარგებლა, რომ ერთი ჭიქა კიდევ გამოეცალა. შეივსო ჭიქა და დაიძახა:

— ყმაწვილებო, დაიცადეთ!... ეს ჩვენი თამადის სადღეგრძელო იყოს!

— ოო, გაუმარჯოს ჩვენ თამადას! ურაააა!—დაიძახეს თითქმის ყველამ ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ურაااა! — თავისებურად დაიყოლიინა მათთან ერთად ვირმაც და ყველას ხმა დაჰფარა.

— ურაااა! — ხელმეორედ დაიძახა ერთმა მათგანმა ხარხარით. — ფილოსოფოსიც გვეთანხმება.

— ურაااა! — ყველა ხარხარით ყვიროდა ურას.

ვირსაც ყოლიინი არ შეუწყვეტია.

II

ცელქობენ, ხტიან, ნაზნი არსებანი ყვავილებში იფლობიან და ვინ ვის ეტრფის: ყვავილნი ქალთ თუ ქალნი ყვავილთ, ეს ძნელი გამოსაცნობია.

თითქოს თამადის აზრი მართლდებაო, ბუნება მათ სიამოვნებას და ამაყობას ხელს უწყობს. აქნობამდის მოკრიალებული ცა წაიფერფლა და მზის მწვავე სხივები გაანელა.

დასრიალობენ. დახტიან. მათმა სიცილ-კისკასმა არე მოიცვა. ხან „თავ-დავლას“ თამაშობენ, ხან კიდევ „ნიშხა-ნიშხა, ვისი ქალის“ და ხან კიდევ რას არა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამადა თამაშობეებშიაც თამადობს. იგი მეთაურობს. თამადას არც ვირი დაავიწყდა. იგიც ჩაურია ბოლოს ფერხულში. მოახტა და გაიჯირითა. თამადას სხვებმაც მიჰბაძეს. ქალი და ვაჟი ერთი ერთმანეთს აღარ აცდის. ყველა ვირის ტვირთად ხდება. მხიარულობენ. ვირი წარბ-შეუხრელად ემსახურებათ. ბევრი ვაი დასტეხია თავს, და ეს წვალება მისთვის სულ უბრალოა...

მეფობს ადამიანი. ყველა მისი მორჩილია, როგორც თამადამ სთქვა, და რად არ უნდა იმეფოს?!. არე-მარე ყველა სულდგმული მას ემორჩილება, მისთვის, მის სასიამოვნოდ არის დაბადებული და სულელი იქნება, თუ არ ისარგებლა და არ დაიმორჩილა მთელი ბუნება...

ბუნება!.. დიდებული ბუნება, მისი დიდებული კანონი ადამიანის ხელთ არის!.. „როგორც ადამიანს ჰსურს, ფიქრობს თამადა და მასთან ერთად მისი მოძმენიც: ისე დაატრიალებს ბუნების ჩარხს: უნაყოფო ნიადაგს გაანოყიერებს და სადაც ქვისა და რიყის მეტი არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო-რა, იქ მშვენივრად შემკულ მცენარეულობას მოიყვანს, მოაშენებს ცხოველთ და აამოძრავებს ნაკადულს; იქ, სადაც არწივთაც უძნელდებათ მისვლა, ადამიანი გზას მიიტანს და აახმაურებს ბუნებას. სადაც სიმშვენიერეა, სადაც გული სიამით გაიშლება, იქ ადამიანს შეუძლიან სიკვდილი დაჰბადოს, იგი გაანადგუროს და გააოხროს, თუ კი მისი გონება მოითხოვს. მაშ გაუმარჯოს ადამიანს—ბუნების მეფეს!..“

ისევ ის კასკასი, მხიარულება და ვირის მორჩილება...

III

არე-მარე მთლად ჩამობნელდა. ბუნებამ სული გაკმინდა. ფოთოლიც კი არ იძვრის. აღგზნებული და სიამოვნებით გატაცებული ადამიანი არე-მარის ცვლილებას ვერ ამჩნევს, რომელიც თანდათან კუმეტდება და იქუშება... ხითხით-კისკასი მათი-ღა არღვევს არე-მარის სიდუმილს... თითქოს თავიანთ საქციელით ბუნებას უმკლავდებოდნენ და მის შუბლ-შეკრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობას არად აგდებდნენ, სიცილად არ ჰყოფნიდათ, რითაც ბუნება უფრო ბრაზდებოდა და მოთმინებიდან გამოდიოდა. არა, არ სცხრება ადამიანი. კიდევ ხითხითებს, კიდევ კისკასობს და თან ვირსაც დაარბევინებს...

„...ადამიანო, დასცხრი, დაწყნარდი!...—ყოველის მხრივ ეჩურჩულება არე-მარე: „გეყოფა სიჯიუტე. კმარა, მოანახე შენი ბინა და...

„მაშ კიდევ ჰჯიუტობ?!. აჰა, ჯერ ესა სცადე!..“—უეცრივ გაირღვა ცა ცეცხლის ხაზით. დასჭყივლა ზევიდან და გრგვინვით განვლო კიდით-კიდე.

აილუფხა არე-მარე. თითქოს ცის ამ ნიშანს მოელოდაო, რომ მთლად არეულიყო და ახმაურებულიყო...

გრიგალმა მოიცვა ყოველი არსება და შეუბრალებლივ ჰშხეპავდა. მეტის-მეტად შეწუხებული დიდრონი ხეები, აგერ, როგორ კვნესით და გოდებით ერთი-ერთმანეთისაკენ იხრებიან, რომ ერთმანეთთან ჩახვეულნი გაორკეცებულის ძალით დაუხვდნენ მედგარ გრიგალს, მაგრამ გრიგალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ აცლის გადახვევნას. თითქმის ფოთ-
ლები შეახეს ერთმანეთს. ტოტების გახ-
ლართვასაც აპირობდნენ, მაგრამ ამ დროს
გრიგალმა შუაში გაუელვა და ისევ-ისე
კვნესა-ვაებით, წყევლა-კრულვით და სა-
სოწარკვეთილებითი გმინვით განშორდნენ
ერთმანეთს...

ჯერ ისევ პირველ გაელვებაზე და ცის
გრგვინვაზედვე ბუნების მეფენი შეჰკრთ-
ნენ. მათი უდარდელი კისკასი კივილით
შეიცვალა. ერთი მშვენიერთაგანი, რო-
მელიც ვირით მიჯირითობდა, გაელვება-
ზე, კივილით დედა-მიწას გაერთხო. მისი
კივილი არავის გაუგონია. მხოლოდ ვი-
ური, როდესაც ქალი ჩამოვარდა, მიტ-
რიალდა მისკენ და მწარის ღიმილით
მზერა დაუწყო...

„სადაა თქვენი მედიდურობა, ბუნების
მეფენო?!... რატომ...“

გრიგალს წვიმა და ჩქარა ხშირი, სა-
შინელი ხშირი და თანაც მსხვილი სეტყვა
მოჰყვა... მაშინ ბუნების მეფეთ თაგვის
სორო სამშობლოზე უძვირფასესად ულირ-
დათ. სად წასულიყვნენ, აღარ იცოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ვის ეფარებოდა, აღარ იცოდა. ეხლა ყოველ მათგანს აზრად მხოლოდ ის-ღა ჰქონდა, რომ ერთი-ერთმანეთს ამოჰფარებოდნენ და სხვისა გვერდები სეტყვისთვის მიეგებებინათ, იმის მიუხედავად, სუსტი არსებისა იქნებოდა ეს გვერდები ფარად, თუ მძლავრისა. სამარცხვინო მათი კივილი იფარებოდა არე-მარის გმინვით. ერთი ერთმანეთისა არა ეყურებოდათ-რა...

IV

დაწყნარდა ბუნება. ფოთოლიც აღარ ირხევა. მხოლოდ მოისმის ხევების ხრიალი. მთებიდან მომსკდარი ნიაღვრები ქუხილით მიექანებიან ქვევით. მოშავბნელებული ცა დაიშაშრა და ნაშაშრებიდან მზემ გამოიჭვრიტინა. ამოლუფხულ ბუნების მეფეთ გული მოეცათ, ისევ დაუბრუნდათ იმედი. სასო-წარკვეთილთ, მხდალთ, მზის სხივების დანახვაზე, მედიდურობა ისევ დაუბრუნდათ...

— ახ, მიყვარს ბუნების ამგვარი ბობოქრობა!..—დაიწყო თამადამ.

— მე გულ-ხელ-დაკრეფილი ვიდექი და ცას მაღალის ხმით შევძახოდი: „ჰა, უფრო სასტიკად, უფრო სასტიკად დასჭყივლე-მეთქი...“—ამბობს მეორე.

— ვერ წარმოიდგენთ,—ამბობს ქალი,—რომელიც ვირიდან გადმოვარდა:—რა მშვენიერი სურათი იყო!.. ნეტავი კიდევ დიდხანს ეგრიალა ცას, ნეტავი ჩქარა არ შეწყვეტილიყო!.. მე ჩემს დღეში არ დამავიწყდება ეს დღე. ამისთანა სიამოვნება ერთხელ არ გამომივლია...“

ერთი ერთმანეთს აღარ აცდიდნენ შთაბეჭდილების გამოთქმას. ყველა მათგანი კარგად ჰგრძნობდა, რომ სინამდვილეს არ ამბობდა. ნამდვილი შთაბეჭდილება იფარებოდა. ვერც ერთ მათგანს ვერ გამოეჩინა იმოდენა მოქალაქობრივი ძალა, რომ სინამდვილე ეთქვა, და ყველა მათგანი ცდილობდა, თავისი სიმხდალე და სილაჩრე გაექარწყლებინა...

ველარ მოითმინა ვირმა, რომელიც მოწამე იყო მათი მედიდური სიტყვებისა, სილაჩრისა და ცრუპენტელობისა. ბრაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორეულმა ძლიერად დაიყროყინა, რომ მათი საზიზღარი ბაქიობა შეეწყვიტა...

— ოჰ, ჩვენი ფილოსოფოსი რალაზე-დაც გვიწყრება!...—უნებურად წამოიძახა ქალმა, რომელიც ვირიდან ჩამოვარდა პირველ გაელვებაზე და შუბლ-შეჭმუხვნილმა თავი ძირს დახარა...

„მ ი წ ა ა!...“

I

— ბედ-შავს, გული ასე რაიზე მიკვნესის?—ხმა-მაღლივ დაიძახა ბერამ და ყრუდ, სულ ყრუდ, ხველა აუვარდა.

— ბაბაი, რა უბრალოდ ფუჭდება ჩემი სიყმაწვილე!—განაგრძო ხმა-მაღლივვე ბერამ, როდესაც ნახველი ამოიღო და ცივი ოფლი ხელის მოსმით შუბლიდან მოიწმინდა.

ბერამ თვალი გადაავლ-გადმოავლო გამურულ შუშიან მხრჩოლავ ლამპრით ბუნდად განათებულ კარგა დიდ ოთახს და მწარის ღიმილით თავი გაიქნივ-გამოიქნია, როდესაც ძლივას გაარჩია ჭერახეზივით დაყრილი დაბოკილი ტუსაღები, რომელნიც უსუფთაობის შვილთა—სხვადა-სხვა მწერთა გამო—მოუსვენრად მოძრაობდნენ. ხშირად იცვლიდნენ გვერდს, ხელებს დაუღალავად ამოქმედებდნენ და ზოგი ძილში, ზოგი კიდევ ცხადლივ თა-

ვის-და უნებურად კბილთა ღრჭენით ლოცვა-კურთხევას უგზავნიდნენ...

ვის?! მწერებს, ბუნებას, თავიანთ ბედს, თუ სხვას ვისმეს?

თითონაც არ იცოდნენ, ვის? ისე გულის მოსაფხანავად, შეგუებულ ვარამის წამოსანთხევად...

ბერა თავ-ჩაღუნული ისმენს კვნესა-ღრჭენას, ბოროკილთ ჩხარუნს, ლანძღვა-გინებას და მწარე ღიმი ტუჩებიდან არ ჰშორდება...

„...ასე არსად ამკვნესებია გული,— უსიტყვოდ იძახოდა ბერა ხმაურობის დროს: „რას მიქადი, გულო, რას? ამაზე უარესი ხომ არა დამემართებარა; იყუჩე... უჰუ, უჰუ... იყუჩე, გულო, დაწყნარდი, გულო!... უჰუ, უჰუ!..“—შეწყვიტა უსიტყვოდ ბაასი თავის გულთან; ხველამ ნება აღარ მისცა განეგრძო.

დიდხანს ახველა ყრუდ, ხმელად და ძლივას ამოიღო ნახველი, რომელმაც ტუჩები შეუღება.

ბერა არ შეშინებულა, რადგანაც სამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვე მეტია ეს ემართება; ეს სიკვდილს დიდი ხანია მოელის.

დაატუსალეს თუ არა, მაშინვე იმედ გადაწყვეტილმა შესდგა ფეხი: „მე ხომ ცოცხალი ველარ გამოვალო!“—მაშინვე ესა სთქვა, და ალარც მიჰფენია მის გულს სიმხიარულის შუქი ამის შემდეგ.

ერთ წელიწადს გასტანა ამის საქმის გარჩევამ. წლის თავზედ გადაუწყვიტეს ციმბირის მადნეულობაში მძიმე მუშაობა.....

ბერა დაწყნარდა. ხველაც შეუდგა, თავი კედელს მიჰყუდა. ეგონა დაიძინებდა, მაგრამ გული ისევ აუფორიაქდა...

— დედავ, დედავ, შე ბედშავო, რა მოელის შენს შვილს?!—სასოწარკვეთილებით წამოიკვნესა და სული ყელში მოებჯინა.

თვალები ხელის გულით მიიჭყლიტა, თითქოს ესენი იყვნენ დამნაშავენი მის მოუსვენრობაში. ისევ ის ღრჭენა, ისევ ის ლანძღვა-გინება, ბორკილების ჩხარა ჩხური მოისმის ოდნავ განათებულ ოთახში. ბერა კი თვალებს იჭყლეტს და სასო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარკვეთილებით ეკითხება თავის გულს: რას მიქადი, გულო, რას?...

— სიკვდილს, ბერა, სიკვდიილს?—შემოესმა ბერას უცნაური ხმა.

— ჰაა?!—საჩქაროდ წამოიჭრა ფეხზედ და გაბრწყინვებული თვალები სარკმელს მიაპყრო.

— სიკვდილს, ბერა, სიკვდიილს!— ისევ იმ ხმამ, იმავე კილოთი გაჰკივლა გარედ და უკანასკნელი ხმა სადღაც შორს მისწყდა.

შემოდგომის სუსხიანი ქარი კი გამალებული ებრძოდა რკინის უჯრედებით დაცულს პატარა სარკმელს და უხვად ასხამდა მის მინებს წვიმას...

— სიიკვდიილს!

— არა, არა, ლომისის მადლმა, სიკვდილისა არ მეშინის, არა!—გულჩაწყვეტით უპასუხა ხმას.

— ბერა, ვის ესაუბრები?—გაკვირვებით დაეკითხა მეზობელი, რომელიც ბერას უკანასკნელ მოძრაობას თვალ-ყურს ადევნებდა.

— გივარგი, გივარგი! იქიდან ვილაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკივის „სიკვდილს“, მაგრამ სიკვდილისა არ მეშინის! — საჩქაროდ გამოელაპარაკა გიორგის და ხელები დაუჭირა.

— ვინ უნდა...

— გივარგი, სხვა რამ უბედურებას მიქადის ჩემი გული. ასე არ უკვნესია, არა, არა!.. სიკვდილი ხომ ჩემი ხსნა იქნება, გივარგი!

— ბერა, რას უნდა გიქადოდეს ამაზე უარესს?! აბა რას უბნობ, შე ბეჩავო? ცოტა ტანჯვა გაქვს, რომ შენც შენი თავი არ სტანჯო.

— არა, გივარგი, არა! სხვა...

— კარგი, იყუჩე!. უძილობა გიშვრება.

II

— ბერა, ბერა!.. საწყალს, რა მაგრა ჰძინავს. ბერა, ჰაი, ბერა! — გაღვიძება დაუწყო დილა ადრიანად გიორგიმ, როდესაც მათთან ბრახა-ბრუხით დარაჯნი და უფროსი შემოვიდნენ.

— საცოდავს ძლივას ჩაეძინა განთიადისას და ისევ ჩქარა კი უნდა გამოვაღვიძო...

ტუსაღები საჩქაროდ წამოიშალნენ. უარესი ჩხარა-ჩხური ასტყდა ბორკილებისა, რასაც ტუსაღების ხმა-მაღლივ ბუზღუნი და ყაყანი უერთდებოდა.

— გაჩუმდით!..—დაჰყვირა ერთმა დარაჯთაგანმა, რის შემდეგაც სწრაფ სიჩუმე ჩამოვარდა.

— პეტროვ, გალკინ, მამად-ოღლი!..— ამოიკითხა უფროსმა.

სამი ტუსაღი ახლოს მივიდა და იმის წინ თავებ ჩაღუნული დადგა.

— გაჩხრიკეთ,—უბრძანა თანამხლებლებს უფროსმა.

საჩქაროდ გააძრეს ტანისამოსი; სულ ერთიანად გაახოლოდშობილეს და ტანისამოსის ყოველი ნაჭერი გაჩხრიკეს. მერე პირი და ყურებიც კი გაუჩხრიკეს იმ აზრით, ვითომ იქაც შეეძლოთ რისამე დამალვა. თითონ უფროსი სასტიკად ადევნებდა თვალ-ყურს.

— ბერა, გაიღვიძე!—გაბედვით შეარხია გიორგიმ და ხელი გამოსწია.

— რაია, გივარგი?! — გამოღვიძების

უმალ განცვიფრებით დაეკითხა ბერა და ფეხზე წამოდგა...

— მაგათი ბარგიც გაჩხრიკეთ!—უბძანა უფროსმა, როდესაც მორჩნენ ტანისამოსისა და სხეულის გაჩხრეკას.

— ბერა, ხომ არა გაქვსრა? თუ გაქვს რამე, დამალე, თორემ წაგართმევენ.

— რაი უნდა მქონდეს, შენი კვნესამე?!—ნალვლიანის კილოთი უპასუხა ბერამ.

— როგორც ეტყობათ, დღეს გაგვგზავნიან აქედგან. იმისთვის გვჩხრეკენ,— ცოტა სიჩუმის შემდეგ ჩაილაპარაკა გიორგიმ.

— სადღა უნდა გაგვგზავნონ?. უჰუ, უჰუ! რით ვერ მიველით?..

— უჰ, ჩემო ბერავ, ჯერ შორსა ვართ. ციმბირამდის ჯერ დიდი გზაა.

— ეჰ, სადაც უნდა გამგზავნონ! მე ხომ სამი პარასკევი აღარ მიდევს წინ.

— ბერა, ბერა, გული რისთვის გაგტეხია?! მე, აი, მეორედ მგზავნიან და გულს არ ვიტეხ. შენ კი, შვილად შემ-

ფერი, ისე ყმაწვილი ხარ და ეხლავე იმედი დაგიკარგავს!

— რალა იმედი მექმნების! ნახევარი კაცი დავილიე ამ ორ წელიწადს.

— ობლაიძე, შუბინ, ბუქური!.—გამოიძახა უფროსმა ახლა სამი კიდევ. წინანდელები კი თოფებით შეიარაღებულ ჯარის კაცებს გარდასცა. წარუდგნენ უფროსს წინ ბერა, გიორგი და შუბინი.

თანამხლებლებმა უფროსს ბრძანება ალარც კი აცადეს, მაშინვე ჩხრეკა დაუწყეს. ბერას უბიდან ჭრელი ცხვირსახოცი ამოაცალეს, რომელშიაც რალაც ფხვიერი იყო გამოკრული. იქით გადადეს. მთლად გაჩხრიკეს. ისევ ჩააცვეს. ახლა ბარგი უნდა გაესინჯათ. ამ დროს უფროსმა ხელი წამოავლო ბერას ცხვირსახოცს, გამოხსნა და ცნობის მოყვარეობით მზერა დაუწყო.

— ეს რა არის?—ცოტა სიჩუმის შემდეგ დაეკითხა უფროსი ბერას.

— მიწაა!..

— რა მიწა?

— ჩემი ქვეყნის მიწა, ანანურს რომ

ამოვიარე, იქიდან წამოვიღე; ჩემი სოფელი იქავეა.

— მერე რად გინდა!...

— მე, შენი კვნესამე, ამ ქვეყანაში მოვკვდები. გული ამას მეუბნება. მინდა სიკვდილის წინად გულზედ დავიყარო, რომ ჩემი ქვეყნის მიწა თან ჩამყვეს,— ბერამ თითქმის ცრემლ-მორეულმა უპასუხა და ლმობიერად დაუწყო მზერა უფროსს.

გიორგისაც თვალებზედ ცრემლები მოადგა, როდესაც უფროსს ბერას სიტყვებს უთარგმნიდა.

— სისულელეა! გიცნობთ, რა შვილებიცა ხართ. თქვენ...

— ნუ იზამ მაგას, შენი კვნესა მე!— შეჰბღავლა ბერამ და სწრაფ უფროსს ხელიდან ცხვირსახოცი მიწით წაჰგლიჯა, როდესაც იმან მიწის გადასაყრელად ხელის გაქნევა დააპირა.

— რაია, შე დალოცვილო, მიწაა სხო ხო არა არი-რა?!—ეეედრებოდა ბერა და თან მიწას გულზედ იკრავდა.

უფროსს არ მოეწონა ბერას ამ გვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქციელი, თვალები აენთო, სახის ძარღვები საშინლად დაეჭიმნენ და ბრაზმორეულმა იჭექა:

— ეხლავ გადაყარე!

ყველა იქ მყოფთ ყურადღება მიიქცია უფროსის გრგვინვამ. ყველამ სული გაკმინდა და ცნობის-მოყვარეობით თვალების ცეცება დაიწყო.

— ლომისის მადლმა, მიწაა!..

— გადაყარე, მეთქი!—უფრო მკვახედ დაუყვირა.

უფროსის მეორე დაყვირებაზე მხლებლები მისცვივდნენ ბერას; უნდოდათ ცხვირსახოცი წაერთმიათ, მაგრამ უფროსმა შეაყენა.

— თავი დაანებეთ!.. ეგ ეხლავე წამოაქციეთ და იმდენი ურტყით წკეპლები, რომ თითონვე გეხვეწებოდეთ გადაყრას.

გიორგის ტანში ჟრუანტელმა დაურბინა. კარგად იცოდა გიორგიმ, თუ რას ჰნიშნავდა გაწკეპლვა და მისთვის ხმის კანკალით შეევედრა ბერას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბერა, ბერა, თავს ნუ იკლავ!... მიაშავე და მორჩი!...

— გივარგი...

სიტყვის გათავება აღარ დააცადეს. ბერა საჩქაროდ წამოაპირქვავეს: თავი და ფეხები ოთხმა კაცმა დაუჭირა, ორმა კი რიგ-რიგობით რაც ძალი და ღონე ჰქონდათ კარგა მოზრდილ გრძელ წკეპლების კონებით ცემა დაუწყეს.

პირველ დარტყმაზედ ბერამ შეჰკივლა; მერე კი მხოლოდ გმინავდა, ვიდრემდის ხმა სულ არ მიუწყდა.

მთლად დაეფლითა რბილი ნაწილი, წკეპლებს ხორცი თან ასდევდა. სისხლი კი სჩქეფდა და სწუწავდა ახლო მყოფთ, რამდენიმე წვეთი უფროსსაც მ ხვდა...

„უ! უ! უ!“ — გუგუნებდა ტუსაღთა ბრბო და ტალღად იწევდა წინ, მაგრამ შეიარაღებული დარაჯნი მკაცრად არღვევდნენ ტუსაღთა ტალღას...

ბერას ხმა მისწყდა. ლეშად-ღა ეგდო ბერა.

— მოკვდა, მოკვდა! — სასოწარკვეთილებით გაიძახდა გიორგი და ცრემლად-

ლა ილვრებოდა, რადგანაც მეტი ალარა შეეძლო-რა.

— კიდევ რო არ უშვებს!—გაკვირვებით წამოიძახეს მხლებელთ, როდესაც გონება მიხდილი ბერა გადმოაბრუნეს და ხელსახოცის განთავისუფლება დაიწყეს.

— ამისთვის რასა ჰკლავთ?! აჰა!— გიორგი მიჰვარდა ამ სიტყვებით, საჩქაროდ გახია ცხვირსახოცი და სულ ერთიანად გულზე დაუბნია მიწა.

— ყოჩაღ, ბუქური!—მოუწონა უფროსმა, რომ მისი სურვილი ამან მოიყვანა ალსრულებაში.

„უ!.. უუ!.. უუ!“—გმინავდა მაინც ტუსალთა ბრბო.

— ვინც ურჩობას გამოიჩენს, ამ დღეს დავმართებთ!—მრისხანედ მიჰმართა ტუსაღებს უფროსმა.

„უუ!... უუ!“—უფრო უარესად წაიგმინეს ტუსაღებმა.

— ეს კი ცალკე ოთახში გაიტანეთ, მერე გავჩხრიკოთ დანარჩენები.

— მეც ამასთან მოვმათავსეთ, შენი კვნესაზე, იქნება მობრუნდეს, მოვეხმარები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი!.. ესეც იქ შეიყვანეთ!— უბრძანა დარაჯებს გიორგიზედ თითის მიშვერით და გარედ გავიდა...

III

— ბუქური; გონს არ მოსულა?—შემოალო თუ არა კარი, დაეკითხა დაბალის ხმით უფროსი და იქავე კარებთან შედგა, რადგანაც ოთახის სიპატარავის გამო ადგილი აღარ იყო წინ წამდგარიყო.

— თქვენ ჰბძანდებით?!—განცვიფრებით დაეკითხა ბუქური, რადგანაც სრულებით არ მოელოდა უფროსის შემოსვლას.

,ამ ერთი საათის წინად უწყალოდ გააწკეპლინა — უეცრივ გაურბინა თავში გიორგის—და ეხლა კი კითხულობს: „გონს არ მოსულაო? თუ შეინანა?!“

— როგორ არის? - ჰკითხა ხელმეორედ უფროსმა, რაკი პირდაპირი პასუხი ვერ მიიღო.

— ჯერ გონება არ დაჰბრუნებია. უაზროდ რაღაც სიტყვებს გაიძახის.

— აბა, რა კარგია სიჯიუტის გამოჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა?! ერთი მუჭა მიწისთვის რაზე იკლავდა თავს?—იმ კილოთი უთხრა უფროსმა, თითქოს გამართლებას სთხოვს გიორგისო.

— ეჰ, შე დალოცვილო...

— უუ!... ჰ! ჰ!...—უეცრივ წამოიკვნესა ბერამ და ქვითინი მოართო...

— ბერა, ბერა, რა გატირებს?!—მაშინვე მიუჯდა გვერდით გიორგი და ჩაეკითხა.

— წაილეს, წაილეს?!—ქვითინებდა ბერა და თან ცალიერა ცხვირსახოცს ჰფლეთდა.

— ბერა!...

— გივარგი, რად მიეცი, რადა?—მოკრიალებული თვალები მიაშტერა გიორგის და, თუ კი რამ-ღა შეეძლო, მაგრად დაუჭირა ხელები.

— ბედ-შავო, როგორ დავანებებდი?!

— მაშ რა უყავი?

— გულზედ გაყრია!

— ჰა?!—სწრაფ ხელი გულზედ მოისო ბერამ, უბეში ჩაიყო და მიწა შეაგროვა.

— გივარგი! – აღტაცებით წამოიკვნესა და გიორგის ხელს დაეკონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რადა ტიროდა?—შეეკითხა უფროსი, როდესაც ბერამ თვალები მილულა.

— მიწა მოიკითხა.

— მიწაა?! შემოვატანინებ; უთხარით, ის მიწაა-თქო.

— არას უშველის. ეხლა აღარ უნდა.

— რო კიდევ მოიკითხოს?

— აღარ მოიკითხავს? იპოვა მიწა.

— როგორ?...

— წელან გულში ჩავუბნიე. ამის სურვილი ავასრულე. მეტიც არა უნდოდარა.

— მერე მაგან რა გაიგო? უგონოდ იყო.

— ეხლა ვუთხარი და ამისთვის დამშვიდდა.

— ბუქური, შენ ეშმაკი კაცი ჰყოფილხარ. მეგონა, ჩემი სურვილი შეასრულე, თურმე მაგისი შეგისრულებია.

— ორივესი. ეგრე რომ არ მექნა, მომაკვდავს კიდევ დასტანჯავდით.

— ჰაა, ბუქური ექიმისთვის გავგზავნი, იქნება მოსულიერდეს!

— არა, არა, შენი კვნესამე, ტყუილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასტანჯავს. ამას სააქაოს პირი აღარ უჩანს. აბა, ამას დაჰხედე!—გიორგიმ ამ სიტყვებით კარგა ბლომად ნახველში შერეულ სისხლზედ მიუთითა.

— ეგ რა არის?

— ნახველი!

— ეხლა მოუვიდა? — განცვიფრებით ჰკითხა უფროსმა და განცვიფრებითვე განაგრძო კითხვა:—გულში ხომ არავის უცემია?

— არა, ეს კარგა ხანია სისხლს იღებს.

— საწყალი, ჭლექი ყოფილა!.. მერე რა ახალგაზდაა!.

— ახალგაზდაა, საწყალი!...

— ეხლავ, ეხლავ წამოვალ!... თვალებ მილულულმა წაილაპარაკა.

— რას ამბობს?

— ბოდავს თავისთვის.

— მაშ, საწყალი, ჩქარა მოკვდებოდა, თუ ჭლექია?

— ორი პარასკევი აღარ ედო წინ.

— საწყალი! რო მცოდნოდა, არ ვაცემინებდი... რძეს გამოგიგზავნი, დაალევინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი იქნება.

— მაშ ნახვამდის, რძე თუ შინ არა მაქვს, მოვატანინებ და ჩქარა შემოგიგზავნი.

— ეგრე.

უფროსმა კარი გაიხურა; გიორგი კედელს მიეყუდა და უმწეოდ მზერა დაუწყო ბერას, რომელსაც ტუჩები ხან ღიმად ეშლებოდნენ და ხან კიდევ მრისხანედ ეკუმვოდნენ...

— გივარგი, ჰხედავ მამა-ჩემს?!

— მამა-შენს აქ რა უნდა? უფროსი იდგა ეხლა და წავიდა.

— ეეეჰ! მამა-ჩემს ვერა ვცნობ, თუ?! მიდის!.. მამი! — სასოწარკვეთილებით წაიკვნესა და თვალები ისევ მილულა.

გიორგიმ პირი მოარიდა და უჩუმრად ცრემლები ცერა თითით მოიწმინდა...

— ბერა, ბერა, საით მიექანები?

— აუუ, შენი კვნესამე, საიდან გამოგეცხადე?! რამდენი ხანია, გოგოვ, დაგეძებ და ეხლა კი მოულოდნელად წინ დამხვდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაისთვის დაგჭირვებივარ, რო დამეძებ?!

— თინავ, თინავ, ლამის არის დავიღლიო, და შენ კი მკითხავ, „რაისთვის დაგჭირვებივარო“.

— ხა, ხა, ხა, ბერა, ეგ რა გაცვია?!

— ეს, რაი ვიცი, მგონი, სამგზავროა, აი თანა მაქვს ტანისამოსი. შენთვინაცაა. აი, ბოხჩაში გამოკრულია... შენ აქ ჩაიცვი; მე კი არაგვზედ ჩავალ, ვიბანავებ, თორემ ნამგზავრი ვარ, მტვერითა და ვაი-ვაგლახით გაგუნგლული...

— ჩემო ბერა, რა მშვენიერი ხარ მაგ ტანისამოსში!.. მე როგორღა მიხდება შენი მოტანილი კაბა?.

— დახატული ხარ, თინავ, დახატული!... აი, მზე როგორ შეგედრების!

— უი, ბერა, ცხორი დამრჩება გადმოსალალი!

— საითაა შენი ცხორი?...

— აიმ მთის იქით!

— ჩემი ცხორიც იქით იქნების, წავიდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბერა, 'შავი ხილი არ გინდა?. აე, ჭამე!

— შენი ხელით მოწყვეტილი შხამიც მიამების! რატომ არ მინდა?

— მოიცა, მოიცა, შენი ხელები უკან წაიღე. პირი დააღე, ჩემი ხელით გაჭმევ!

— თინავ, შენი თოლები მწვავენ. შავ ხილზედ უშავესნი არიან შენი თოლები.

— ბერა, გაჩუმდი, თორა აღარ გაჭმევ!. ჰა, თითი არ მამკვნიტო!.

— ქალავ, ნუ მაცინებ?!

— უი!.. ეს რაااა?!

— ქალავ, რამ შეგაშინა?!. მამეკარ, მამეკარ, ნუ გეშინიან?! რანაირად თრთი?!

— გავიქცეთ, ბერა, გავიქცეთ!... აგერ ჩვენკენ მოქშუის...

— სადაა?

— აგერ!

— უჰ, წმიდა გივარგი, შენ დაგვიფარე!.. შეევედრე, თინავ, შეევედრე წმიდა გივარგის!...

— ბერა, რა არის?

— გველაშაპია!..

— ლომისავ!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლომისავ!..

— თინავ, მივეგებნეთ, მივეგებნეთ!.. აი, იხაროს შენმა მარჯვენამ!..

— ბერა, წმიდა გივარგია, რა მარჯვედ ჰკრა გულში...

— უჰ, რა სისხლის ღვარი მიდის!..

— გავიქცეთ!..

— წმიდა გივარგი, ნება გვიბოძე, შენ ფეხთა მტვერს ვემთხვიოთ!..

— ადექით, ადექით, შვილებო, აგერ იმან გამოგზავნა! წავიდეთ იმასთან.

— დედა ღვთისაა, თინავ!...

— ის გაკურთხებთ!.. მუჭაში რა გაქვს, ბერა?

— მიწაა!.. მამა-პაპის საფლავის მიწაა. დედა ჩემს მოვატანინე.

— გაუფრთხილდი, გაუფრთხილდი, წავიდეთ!..

— რა მემართება?!.. თინავ!.. გული მინათლდება!.. უჰ, რა ბრწყინვალეაა?!. ალარას ვხედავ!.. ბრწყინვალება, ბრწყინვალება! თინავ, შენც ბრწყინვალებაში იბნევი? სადა ხარ? ველარა გხედავ, სადა ხარ? ჩემ თავსაც ველარა ვხედავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარა ვგრძნობ თავს!.. ვიბნევი ბრწყინვალებაში? ჰააჰა?!.

—ეს რძე უფროსმა გამოგზავნა და შემოგითვალა: დაალევინე, და მეც ჩქარა მოვალო!—კარები შემოაღო თუ არა დარაჯმა უთხრა დაპირქვავებულ გიორგის და ტოლჩით რძე გაუწოდა.

ამ სიტყვების გაგონებაზედ გიორგი შმაგივით წამოვარდა, თვალები მიანათა დარაჯს; წამს უნდოდა მიჰვარდნოდა და მიელრჩო დარაჯი, მაგრამ უეცრივ სხეული მოუდუნდა, ისევ ბერას უსულო გვამს დაემხო და ხმა-მაღლივ ქვითინი დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩემი სამშობლო ჩემი გულია!..“

I

— ააა, რას მივაწეროთ, ზდის, რომ მოგგონებივარ?! — გაკვირვებით შეეკითხე ზდისლავ პშივალსკის, როდესაც იმან კარი შემოაღო.

მე და პშივალსკი რუსეთში სწავლის დროს პირველ კურსზედვე დავმეგობრდით, და ჩვენ დამოკიდულებას სწავლის გათავებამდის ერთხელაც ფერი არ უცვლია. ერთმანეთის აზრი, სული და გული კარგად გვქონდა აწონილ-დაწონილი და თითქმის, ოთხი წლის განმავლობაში, სულ ერთად ვიყავით, ერთადვე ვმეცადინობდით და ჩვენს საიდუმლოს უტყუვრად ერთმანეთს ვუზიარებდით...

ექვსმა თვემ განვლო, რაც მე და პშივალსკი გავშორდით სწავლის დამთავრების შემდეგ. ჩვენ ერთმანეთისა აღარა ვიცოდითრა. მე ტფილისში ვიყავი, ის კი, არ ვიცოდი, იმავე ქალაქში დარჩა თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაემგზავრა საითმე. ვფიქრობდი კია, რომ იქავე უნდა დარჩენილიყო. ყოველ დღე წერილის მიწერას ვაპირობდი, მაგრამ დღეს-ხვალიობით ექვსმა თვემ გაირბინა, და მე კი ერთი წერილიც ვერ მივწერე.

ექვსი თვის შემდეგ ქუჩაში უეცრივ სისინი შემომესმა დაძახების ნიშნად. თუმცა დარწმუნებული ვიყავი, მე არავინ დამიძახებდა, მაინც უნებურად მივიხედე და ჩემ თვალს არ დავუჯერე: ზდისი მოეჩქარებოდა ჩემკენ. სიხარულით გადავკოცნეთ ერთმანეთი. თითქმის ისევ ძველებური მეგობრობა დამყარდა ჩვენ შორის. თითქმის ყოველ დღე ვხვდებოდით. ხან ის იყო ჩემთან, ხან კიდევ მე მივიდოდი იმასთან. ერთად დავიარებოდით, ვშინჯავდით ყოველივეს, რაც კი საყურადღებო იყო ტფილისში. რასაკვირველია, მე ვწინამძღვრობდი, ვუამბობდი წარსულს, აწმყოს ამა თუ იმ საგნის შესახებ. ყველაფერს გაფაციცებით ათვალიერებდა და დიდის აღტაცებით მისმენდა...

ერთი წლის განმავლობაში თითქმის ყოველ დღე ვხვდებოდით და ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული და გული ერთმანეთისათვის გადაგვიშლია.

ზდისი მოხდენილი ვაჟ-კაცი იყო, კარგი მოსაუბრე, და, რასაკვირველია, ვისაც კი გავაცანი, ყველაზედ, ნამეტნავად ქალებზედ, სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა. როგორც ქინქლა ზაფხულის ღამეს სანთლის შუქს, ისე ეხვევოდნენ ქალები. ჩვენმა ქალებმა რომელიმე ყმაწვილისა „მოდაში“ იციან შემოღება. ყველანი იმაზედ ლაპარაკობენ, ყველანი ცდილობენ იმასთან იბაასონ, იმასთან ერთად დრო გაატარონ და...—ზდისიც „მოდაში“ იყო ამ ერთ წელიწადს...

— იცი, ჩემო მეგობარო, — დაიწყო ერთ საღამოს ამ ტაციაობის შემდეგ: „უბედური ადამიანი ხარ!“

— რაო?!.—განცვიფრებით შეეკითხე და თვალები მივაცეცე.

— უბედური ხარ, მეთქი!..—გაიმეორა და ოთახში სიარული დაიწყო.

— სრულებითაც არა ვთვლი ჩემ თავს უბედურად!.. მე... ჩემ სამშობლოში ვარ და ამით ვარ ბედნიერი!—ცოტა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს წყრომით ვუპასუხე და პირი მოვარიდე.

— კიდევაც მაგისთვის ხარ უბედური!..—ჩემდა საუბედუროდ კიდევ ახსენა სიტყვა „უბედური.“

— რატომ ყვავივით დამჩხავი?!. გთხოვ, ალარ ახსენო ეგ სიტყვები! .—ეხლა კი მთლად მოთმინებიდგან გამოსულმა ხმამაღლა წამოვილაპარაკე და სიარული დავიწყე.

— ჩემო მეგობარო, ჩემო გაბრო!— შემომეხმაურა ზდისი და წინ დამიდგა: განა შენ გასაჯავრებლად გეუბნები: „უბედური ხარ.“ დაკვირვება მაიძულებს ეს გითხრა. აგერ ერთი წელიწადია შენთან ერთად ქართველ საზოგადოებაში ვტრიალებ და, მგონი, საკმარისია ჩემი შეხედულება ვიქონიო?!.

— მერე მაგის წინააღმდეგი ვინ არის?

— შენი წყრომა.

— „ყვავსავით ნუ დამჩხავი!!!“ —ამას გეუბნები მხოლოდ.

— ყვავობისაგან ღმერთმა დამიფაროს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა მომისმინე და შემდეგ გინდა ყალ-ხზე შედექი.

— ცოტათი კი არა, გინდა მთლად სმენად გარდვიქმნები. დაიწყე!

— მასხრობაც დაიწყე, მაგრამ მაინც გეტყვი!

— გისმენ.

— ბედნიერად გთვლიდი იქ, როდეს შენს აღტაცებულ სიტყვებს შენი ერის შესახებ ვისმენდი და ვუმზერდი ამავე დროს შენს თვალებს. ვთვლიდი ბედნიერად იმ ერსაც, რომელსაც შენ ეკუთვნდი. დღეს კი, სამწუხაროდ, ძალა-უნებურად წინააღმდეგი უნდა გითხრა. რა უნდა გაარიგოს ადამიანმა იმ ერში, რომელსაც ჯერაც არ შეუგვნია ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ თავის დედა-ენით უნდა ილაპარაკონ, უნდა...

— ეგ შეუგნებლობით სრულებითაც არ ემართებათ! — შევაწყვეტინე ბაასი: — შეგნება კი აქვთ, მაგრამ გარემოების ბრალია, არ ეხერხებათ, რადგანაც სასწავლებლებიდან თითქმის განდევნილია ჩვენი ენა... სკოლები კი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიცი, ვიცი, რაც გინა სთქვა!.. ოჯახები ვილას ხელშია?!.. იქიდან ვილამ გასდევნა?..

— არავის გაუდევნია და ლაპარაკობენ კიდევაც.

— გაბრო, რას მოასწავებს შენგნით განგებ თვალებისა და ყურთა დახშობა?!. ან რა გაიძულებს ჩემთან სიტყვის გადაბრუნებას?! ვინ ეცმის ხოლმე ჯვარზე თითქმის ყოველ ნაცნობის ოჯახში ენის შესახებ?! მე, თუ შენ და რამდენიმე შენი მეგობარი?. ენა ვის გაჰხდომია ერთად ერთ სალაპარაკო საგნად ნაცნობებთან?. და ეხლა კი იძახი: „ლაპარაკობენო“. რომ ლაპარაკობდნენ, მაშ რაღა ტყუილად თავს იხეთქავთ ენის შესახებ ბაასით?

— ეგ სულ მცირედი ნაწილია ჩვენი ერისა, და მაშასადამე ერზედ აქ ლაპარაკი არ შეიძლება.

— ეგ მცირე ნაწილი, ჩემო გაბრო, განათლებული ნაწილია. თუ ყველა უმაღლეს სასწავლებელში არ ყოფილა, საშუალოში, დაბალში მაინც ყოფილა. ერთი სიტყვით, ვისაც ეი ცოტა რამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა მიუღია და ნასწავლ საზოგადოებაში გარეულა, ყველას დედა ენაზედ ხელი აუღია. კარგა იცი, შენი ერი ეხლა სწავლა-განათლებას ძალიან ეტანება. მოსალოდნელია, უმრავლესობა შენი ერისა ისწავლის, და სწავლა კი, როგორც ჰხედავ, უკულმა მოქმედობს შენს მოძმეებზე. მაშინ მცირედი ნაწლი ღა დაგრჩება დედა ენაზედ მოსაუბრე...

— ის ერი, რომელსაც წარსული დიდებული აქვს, რომელსაც თავისი ლიტერატურა აქვს,, არ მოისპობა!—გაბრაზებულმა კიდევ შევაწყვეტინე სიტყვა და აჩქარებულის ნაბიჯით დავიწყე სიარული ოთახში.

— თუ წამკითხველი არა ჰყავს, თუ ხელის შემწყობი არა ჰყავს ლიტერატურას, მალე მოისპობა. ორ მილიონამდის ხართ და ორი მილიონი რვაასიდან ათას ხუთასამდის მკითხველს იძლევა. ნუ თუ მართლა წერა-კითხვის მცოდნე ათას ხუთასზე მეტი არა გყავთ? არა, ბევრია მცოდნე, მაგრამ სულ მცირედი-ღა ეტანება თქვენ ჟურნალ-გაზეთობას. ისიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგონი, მომეტებული ნაწილი ამათგან ძალდატანებით ხელის მომწერია. მე დარწმუნებული ვარ, რადგანაც ბევრჯელ მქონია შემთხვევა თვალ ყური მედევნებინა, ვინც იწერს, არა კითხულობს და არც სურვილი აქვს წაიკითხოს. რაა ამის მიზეზი?! თუ შენ გეძნელება ამის თქმა, მევე გიპასუხებ. თქვენ ჯერ ეროვნული თვით-შეგნება არა გაქვთ...

ვგრძნობდი მის სიმართლეს; ყოველი მისი სიტყვა გულს მისერავდა, მაგრამ მე მაინც ვცდილობდი როგორმე გამექარწყლებინა...

— იცი, გაბრო, ერთად-ერთი თანამგრძნობელი გყავს, შენი აზრები მოსწონს. ეს — მარია. მართლა, რა კარგი ადამიანია!...—უეცრივ შეცვალა ლაპარაკის კილო და მეგობრულად ხელი გადამხვია.

თავისუფლად ამოვისუნთქე. გამეხარდა ლაპარაკის კილოს შეცვლა. თვით მე ბევრჯელ მიფიქრია ამ საგნის შესახებ და ყოველთვის სახე დამლრეჯია, მწარე ფიქრები მომწოლია მომავლის შესახებ. გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავწყვიტე მომავალზედ აღარ მეფიქრნა და მხოლოდ აწმყოში ოდნავ მბჟუტავ ცეცხლის ალით გული მოვეთბო და შეძლებისა და კვალად მეკეთებინა რამ მომავლის ასაცდენად.

ზდისის მართალმა სიტყვებმა სუნთქვა შემიყენეს, და არ ვიცი, რითი გათავდებოდა ჩემი და მისი დამოკიდულება, რომ ლაპარაკის კილო არ გამოეცვალა.

— მართალი ხარ, ჩემო ზდის, მარო კარგი ადამიანია. ნამდვილი ქართველი ქალის ტიპია. — გაბრწყინვებულმა ვუპასუხე და პირდაპირ თვალებში მზერა დავუწყე.

— მგონი, არც მაროსა აქვს ეროვნული თვით-შეგნება!!

— არა, ზდის, მაროს კი ცილსა სწამებ!!

— ნეტა არ იქნება! მაგრამ აი რას გეტყვი. მარო მხურვალე მიმდევარია ეროვნულის საქმეებისა მხოლოდ იმისთვის, რომ შენ ხარ მიმდევარი. შენ კი, როგორლასაც ვატყობ, მოსწონხარ მაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერიჰა�ა, ეხლა კი სინამდვილეს ძალიან შორს გაუსხლტი, ჩემო ზდის!..

ამ ბაასის შემდეგ ზდისი დავკარგე. რამდენჯერმე მივედი იმასთან, მაგრამ შინ არ დამიხვდა. ის კიდევ ჩემთან აღარ მოდიოდა. ერთი ორჯელ ქუჩაში შევხვდი. შევეკითხე: „რატომ მოსპე სიარული?“ „საქმეები მაქვს, საქმეებიო“— მიპასუხა მოკლედ და გამშორდა. რა გაეწყობოდა. ძალა-უნებურად შევწყვიტე ზდისთან მეგობრობა და ჩქარა სულ გადამავიწყდა..

რასაკვირველია, გავცვიფრდი, როდესაც ერთი წლის შემდეგ ზდისი შემოვიდა ჩემთან.

— რა ვიცი, რას უნდა მიაწეროო!..— მიპასუხა მოკლედ და მოწყვეტით სავარძელზედ დაეშო.

ლოდნა დავუწყე, რას მეტყოდა, რადგანაც ჩემ კითხვაზედ პირდაპირ არ მიპასუხა.

ზდისმა კი რამდენჯერე შუბლზე ხელი გადისო, ერთი ორჯელ ღრმად ამოიოხრა და უცნაურად ბორგვა დაიწყო...

— გაბრო!— კარგა ბორგვის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოდგა და ხელი დამიჭირა: — პატარა გავიაროთ, აქ ჰაერი არ მყოფნის!..

ცოტა არ იყოს, ზდისის უკანასკნელმა საქციელმა მაწყენინა და ჩემდა უნებურად გამაფიქრებინა; „გაჰჭირებია რამ და ამისთვის მოუნახივარ, თორემ რატომ ამ ერთი წლის განმავლობაში, თუ კი მეგობრად მთვლიდა, ერთხელ მაინც არ მიკითხა!?“ მინდოდა უარი მეთქვა, მაგრამ მისმა ბორგვამ გამაბედვინა და ცოტა ყოყმანის შემდეგ ვუპასუხე:

— კარგი, გავიაროთ!...

II

ქალაქის განაპირას ვცხოვრობდი და ჩემი გასართობი იქავე ახლოს სასაფლაო იყო. ხშირად, ხშირად, თუ კი ამინდი ხელს მიწყობდა, იქ ვათენებდი ღამეს და იქ ვეძებდი სულის სიმშვიდეს. ასეც იქმნება. მხოლოდ იქ ვპოვებ სიმშვიდეს, საუკუნო სიმშვიდეს.

მე და ზდისს ბევრჯელ გაგვივლია იქით და ეხლაც სახლიდან გამოსვლის უმალ ორივემ პირი იქით ვიბრუნეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩუმებულები მივდიოდით. ის არ ვიცი, რაზედ ფიქრობდა; მე კი თვალს ვადევნებდი ჩამავალ მზის სხივებს, თუ იგინი როგორ ეალერსებოდნენ არე-მარეს, როგორ ენანებოდათ მასთან დაშორება...

ჩქარა დავიწყებულ სასაფლაოს ავუდექით... მინგრეულ-მონგრეული საფლავები, ზოგან კიდევ გადათხრილი, აქა-იქა მიყრილ-მოყრილი საფლავის ქვები სახიფათოდ ჰხდიდნენ სასაფლაოზედ სიარულს. სასაფლაოს გვერდით გავუარეთ და ხევის პირას მდგომ ხისკენ, რომლის ქვეშაც ერთი საფლავის ქვა მოჩანდა, წავედით.

ზდისი ჩამოჯდა საფლავის ქვაზედ, მე კი იმის ახლოს მხარ-თეძოზე მწვანეზე წამოვწექი და პირდაპირ ხევის მეორე ნაპირას დაბინავებულ, საზაფხულოდ მთებისკენ მიმავალ თათრის ოჯახობას დავუწყე მზერა.

ურმები, საქონელი, ძაღლები, ადამიანი ორივე სქესისა სხვა-და-სხვა ფერად ტანისამოსით არეულიყვნენ ერთმანეთში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუთფუთებდნენ; მოისმოდა ყმუილი, ბღავილი, ყეფა, ყვირილი...

სულ მიმავიწყდა ზდისი. დამავიწყდა, რომ ზდისმა წამომიყვანა აქ, და რაღაც უნდა ეთქვა ჩემთვის.

მთლად ჩამნთქა უბრალო, შეუხამებელმა ცხოვრებამ, ფრინველსავით ზამთარზაფხულ შესაფერ ჰავის მაძიებელთა ცხოვრებამ.

„ვინ იცის“, ვფიქრობდი ამ დროს: „რამდენი ვაი-ვაგლახი ატყდებათ თავს, რა ნაირად სჯის ბუნება ამ ბუნების შვილთ, მაგრამ, ვგონებ, ბედის ისე მომდურავი არავინ იქნება მათგან, როგორც ჩვენ, ვითომ და უკეთეს პირობებში ჩაყენებულები, რთული ცხოვრების შვილნი... მცირე ოდენ შეფერხებას სასოწარკვეთილებამდის მივყევართ, სასოებას ვკარგავთ, და ესენი კი სიკვდილსაცა და სიცოცხლესაც სიხარულით ეგებებიან. ჩვენ წყვდიადში დავფათურობთ, დავეძებთ, მაგრამ რას? არ ვიცით. ესენი კი გარკვეული გზით მიდიან და იციან კიდევაც საით...“ მაგრამ ამ დროს უნებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად მიიქცია ჩემი ყურადღება ჩარჩების, მერძევეების და სხვა ქალაქის მცხოვრებთ ქალთა თუ მამაკაცთა ტაციობამ, რომელნიც ამათ შორის ირეოდნენ და ყიდულობდნენ ყველს, ქათამს, რძეს, კერცხებს და სხვა ნაწარმოებს, და უეცრივ გულს ჩამწყდა. „ჩაითრევენ, ჩაითრევენ ამათაც წყვდიადში, და ესენიც ჩვენსავით ხელების ფათურს დაიწყებენ. ამათი მომავალიც ისევ ის...“ ველარ დავათავე, თვალები მაგრად მოვიფშვნიტე, თავი გავიქნიე, რომ იქიდან იმათ ხვედრზედ წარმოდგენა გამომედევნა, და ზდისს მივხედე, რომელიც ისევ ერთ წერტილს მიჰჩერებოდა...

— ზდის, რატომ მაგრე საიდუმლოების ბურუსში გაჰხვეულხარ და არას იტყვი?!..—დავეკითხე, რაკი ზდისი დავინახე, მომაგონდა მისი აღელვება და აქეთ წამოსვლის მიზეზი.

— რა საიდუმლოების ბურუსში?! ისე!— ხელები გაასავსავა ჩემ შეკითხვაზედ და დაბნევით მიპასუხა.

— ხომ სიყვარულის ბადეში არ გაები?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ გითხრა?!— გაოცებით დამეკითხა.

— ვის უნდა ეთქვა?!. შენი გამომეტყველება მეუბნება.

— ვითომ რაზედ მატყობ?!

— ისე ხარ გაბუებული, რომ ძალაუნებურად ეგ უნდა ვიფიქროთ.

— როგორღა ისე? მგონი ჩვეულებრივადა ვარ!

— ინდოურსავით გაბუება — ჩვეულებრივი მოვლენაა შეყვარებულთათვის.

— დაგლახვრა ღმერთმა; რაღა ინდოურებს შეადარე შეყვარებულები! — ღიმილით შემომეხმაურა.

— მე კი არ შევადარე, თითონ ედრებიან.

— იმის დასამტკიცებლად, რომ შენ ჰსცდები, ეხლავე გეტყვი, რისთვისაც მოვედი შენთან.

— ვნახოთ.

— ხვალ სამშობლოში მივდივარ.

— დროებით?!.

— არა, სამუდამოდ.

— ჩემ მოსაზრებას უფრო ამტკიცებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სრულებითაც არა.

— როგორ თუ არა? ეგ მოვლენა უნდა გახარებდეს და არ გაღონებდეს. შენ კი...

— სულ სხვა აღელვება მეტყობა, არა?..

— დიაღ, უთუოდ გული აქა გრჩება!

— თუ არას მათქმევინებ, როგორ გაგაგებინო ჩემი აღელვების მიზეზი.

— მაშ გისმენ.

— ეს ერთი წელიწადია, — დაიწყო ზდისმა, რაც ჩვენ, არ ვიცი რად, ერთმანეთთან სიარული მოვსპეთ. ეხლა კი, როცა გამიჭირდა, შენთან მოველი, და აი ეს გარემოება მაღელვებდა?..

— მერე რა გაგიჭირდა?!

— საგზაო.

— ხა, ხა, ხა!..—გულიანად გადვიხარხარე და ხარხარითვე განვაგრძე: არა, ჩემო კარგო, საგზაო მაგრე არ აგაღელვებდა! ცოტათი მაინც სცრუობ.

— მართალს გეუბნები და ეხლა, შენ იცი—გამიმართავ ხელს თუ არა?! ხვალ კი უეჭველად უნდა გავიდე,—ცოტა დარცხვენით მიპასუხა და თვალი ცის სივრცეს გააყოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე დალამებული იყო. ცა ციაგი ვარსკვლავებით მობნეულიყო და ქალაქს ადევნებდა თვალ-ყურს, რომელიც თითქოს ეხლა იწყობს ცხოვრებასო, ისე ხმაურობდა. ჩვენ პირდაპირ ბინები ღრმა ძილს მისცემოდნენ და მხოლოდ დროგამოშვებით ძაღლის ყეფა-ღა გამოისმოდა იქიდან.

— ხელს გაგიმართავ, მაგრამ სცრუობ კი!..

III

სწორედ ერთი თვის შემდეგ, რაც მე და ზდისი უკანასკნელად ერთმანეთს გავშორდით, ფოსტიდამ ფულის შესახებ უწყება მომივიდა. თუმცა სულ გადავიწყებული მქონდა ეს გარემოება, მაშინვე მივხვდი, ვისი გამოგზავნილიც იქმნებოდა, რადგანაც უწყებაში აღნიშნული რაოდენობა ფულისა ეთანხმებოდა, რამდენიც ზდისს მივეცი საგზაოდ.

ბევრი ვაი-ვაგლახის შემდეგ ძლივს მივიღე ფულით წერილი და იქვე გავხსენი. ხელში ბლომად მომხვდა წერილის ფურც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები და მაშინვე წერილის კითხვა დავიწყე. „უკაცრავად, ძვირფასო მეგობარო გაბრო, რომ ფულის გამოგზავნა დაგიგვიანე“,—ასე იწყებდა ზდისი წერილს:—„მართალია, მეორე დღესვე შემეძლო ფულის უკან დაბრუნება, მაგრამ არ დაგიბრუნე, რადგანაც არ მინდოდა ისე სწრაფად სიცრუე გამომემჟღავნებინა... „ხელს კი,—თუ გახსოვს შენი სიტყვები,—გაგიმართავ, მაგრამ სცრუობ კი“, მითხარი, როდესაც გემშვიდობებოდი. მართალიც იყავი. როდესაც შენთან წამოველ, სრულებით ფული არ გამხსენებია. არც მიჭირდა. ფული ბლომად მქონდა. სულ სხვა განზრახვით მოვედი შენთან და ფულზედ კი მოვჩმახე. რა იყო მიზეზი?... რა ვიცი. მგონია კი, ისევ ის, რის თქმაც მინდოდა შენთვის. მაშინ ძალიან აღელვებული ვიყავი და უთუოდ ამან შემიშალა ხელი. ეხლა კი, ცოტა არ იყოს, დამშვიდებული ვარ, სულ სხვა გარემოებაში ვარ და თავისუფლად შემიძლიან მოგითხრო ყველაფერი, თუმცა სასიამოვნო იქმნებოდა ჩემთვის ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთას ჩვენ შუამავლობას ქალალდი არ გვიწევდეს...

„უეჭველია, გაგიკვირდებოდა ჩემი დაკარგვა იმ დღის შემდეგ, როდესაც მე შემომწამე ვითომ-და „ყვავივით დაგჩხაოდი“. გამიწყერი კიდევაც. გახსოვს, განა? ამ დღეს ერთი ადამიანიც ვახსენეთ, რომელიც ლმობიერად დაახასიათე და სთქვი: „ნამდვილი ტიპია ქართველი ქალისაო“...

„ვერ წარმოიდგენ, ჩემო მეგობარო, რა ნაირად მიზიდავდნენ მისი კვიმეტი, დიდრონი, საიდუმლოებით სავსე თვალები! ბევრს ვიცნობ, და მაგ-გვარი თვალები მხოლოდ ქართველებში შემხვედრია. მაროს მართლა და ტიპიური თვალები აქვს. დანარჩენ მის სილამაზეზე ალარას ვამბობ, რადგან მარო იშვიათის სილამაზისაა. რას გეუბნები, როდესაც შენ თითონ კარგად იცნობ და ჩემზე ადრეც გყავს გაცნობილი.

„მე ყოველთვის ცნობის მოყვარეობას მიძრავდა მისი საიდუმლოებით მოცული თვალები, და, აი, სწორედ იმ დღიდგან შევუდექი გამოცნობას. მინდოდა შემეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყო, რა იმარხებოდა იმის თვალების სილრმეში. მეგონა, შენ მოსწონდი და ამისთვის გერიდებოდი და ვცდილობდი როგორმე ისიც არ შეგხვედროდა, რომ ხელი არ შეგეშალა ჩემთვის. როცა გიყვარს ვინმე გულ-წრფელი მხოლოდ იმასთან ხარ. მეც პირველადვე შევეცადე, რომ მაროს შევყვარებოდი. მე ხომ გადვირიე, ისე შემიყვარდა. ერთხელაც აღარ გამხსენებია ვანდა, რომელსაც პირობა მივეცი ცოლ-ქმრობისა. წერილებსა მწერდა ვანდა, მე კი პასუხსაც აღარ ვწერდი. თუ მივწერდი, იმასაც ამინდზედ.

„ჩქარა დავრწმუნდი, რომ შენ მაროს სრულებით არ მოსწონდი. შენ ხომ ხუთშაბათობით დაიარებოდი იმათსა? მე მხოლოდ ხუთშაბათობით არ მივდიოდი იმათსა, რომ შენ არ შეგხვედროდი...“

აქ შევდექი. შუბლზედ ხელი გადავისვი და მძიმედ ამოვიხვნეშე. საშინლად მეწყინა. მაროს რამდენჯერმე შევეკითხე: ზდისი ხომ არ გინახავს მეთქი და იმან ყოველ ჩემ შეკითხვაზედ უარი მითხრა. ერთხელ კიდევაც დამავალა მარომ მიმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვანა ზდისი. „სულ დავკარგეთ, აღარ გვეჩვენება, გეთაყვა, გაბრო შემდეგ ხუთშაბათს უეჭველად მოიყვანეო“. მე განგებ ზდისთან წავედი და რაკი შინ არ დამიხვდა, ბარათი დავუტოვე, რომ მაროსთან მოსულიყო. მაგრამ ის არ მოვიდა. მე ბოდიში მოვიხადე მაროსთან და დავძინე, რომ ზდისი მეც მემალება.

„ცბიერი!“ —წამოვიძახე, ეს რომ მომაგონდა და ბრაზით ავივსევი.

მართლა და რა გულ-უბრყვილობა იხატებოდა იმის თვალებში მაშინ!.. მე ჩემ დღეში ვერ წარმოვიდგენდი, რომ იმას ცბიერობა შეეძლო. მაგრამ...

„დანარჩენი დღეები“,—დავიწყე ისევ წერილის კითხვა და თან სიბრაზით კბილებს ვუჭერდი: „სულ ჩემ ხელთ იყო....“

— „ზდის, ხვალ საღამოს უეჭველად მოდი!—მითხრა მაროს რამდენიმე თვის შემდეგ, რაც დაგშორდი.

— „ხვალ რომ გაბრო მოვა? უთუოდ დაგავიწყდა, რომ ხვალ ხუთშაბათია.

— „არა, მე არ დამვიწყებია. გაბრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვა, მაგრამ ავადმყოფობის მიზეზით არ მივიღებ.

„იმ დღეს კი დავრწმუნდი, რომ შენ სრულებით არ მოსწონდი მაროს. შენს მაგივრად ერთს წამს გული მომეწურა, მაგრამ ამავე დროს აღვფრთოვანდი კიდევაც.

„უთუოდ გეხსომება ეს საღამო?!"

„მახსოვს, მახსოვს მეორე ხუთშაბათიც, როდესაც „შინ არავინ არისო" მიპასუხეს! მახსოვს ის დღეც, როდესაც მაროს შემთხვევით ქუჩაში შევხვდი და დავეკითხე: რატომ ხუთშაბათობა მოსპევი მეთქი, და იმან მიპასუხა: „საღამოობით საქმე გამიჩნდა და ამისთვის თავისუფალი დრო აღარა მაქვსო"! უნებურად წამოვიძახე ხმა-მაღლივ და ისევ წერილის კითხვა დავიწყე: „ამის შემდეგ ყოველი დღე ჩემ ხელთ იყო...

„მე განზრახვა მქონდა ამომეკითხა მის თვალის სილრმიდან ყოველივე საიდუმლო, მაგრამ ისე დავბრმავდი, რომ ზედა კანსაც ვეღარ ვარჩევდი; ზედა კანიც საიდუმლოებით მოიცო....

„ჰხედავდა ის ჩემ გადარევას თუ არა, არ ვიცი. მე კი მეგონა მარო ვერ ამჩნევდა ჩემ გრძნობას და, აი, გადავწყვიტე, სწორედ იმის წინა დღეს, როდესაც შენ ფული გამოგართვი, გამომერკვია ჩემი მდგომარეობა. გარემოებამაც ხელი შემიწყო.

„სტუმრად ვიყავით. ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, რომ მარო მე გამოვაცილე სახლში. გზაში ჩემდა უნებურად შევეკითხე: „მშვენიერი ღამეა, ეტლით ხომ არ გაისეირნებთ?“ სიამოვნებით დამთანხმდა მარო.

„ი, ი... მარო!.. ხმის კანკალით მივმართე მაროს, როდესაც ჩვენ უკვე საბურთალოს გავცდით, და ხელი დავუჭირე.

„მარომ თავი ჩემკენ მოიღო და ისეთი თვალით შემომხედა, რომ მეტი აღარა მინდოდა რა. მისი თვალები სიღრმე-სიგანით დავინახე. რასაც ვეძებდი, ვპოვე. აღარ იყო ჩემთვის დაკარგული მისი საიდუმლოებით მოცული თვალები. ეხლა ყოველივე ცხადი იყო ჩემთვის. მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

. მისი არსება და სხვა
ჰქონდა. ყოველიფერს
...ანდ გულის თქმისთვის
ის თვალებში პირუტყვი და-
...

„...ეკვი...ველია, იმ წამსვე რა წამსაც მარო ჩემთვის ცხადი შეიქმნა, უეცრივ ცივი წყალი გადამესხა და გამოვფხიზლდი, გამოვერკვიე. სად გაჰქრა ჩემი აღტაცება, აღფრთოვანება ასე უეცრივ?!... რად გამაგრდა ჩემი მთრთოლვარე სხეული?! ასე უეცრივ მჩქეფარე გულმა დონეზედ ცემა რად რამიწყო?!

„ასე გულ-ცივი ჩემ დღეში არა ვყოფილვარ, როგორადაც იმ წამს გარდვიქმენ...

„—ოაბრუნე ცხენები!.. — ვუთხარი ჰეეტლეს, რომელმაც მყისვე შეასრულა იმი სიტყვა.

„მაროს ისევ შევხედე; მინდოდა ჩემი ...ანა ისევ ამოცანად დარჩენილიყო, ისევ წინანდელ მაროდ მჩვენებოდა, ...ა, არა და არა!.... მის თვალებ-ში პირუტყვი დაცურავდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „ზეის, ჩემო კაი
დაიწყო მარომ და ხელი
თვალები კი პირდაპირ თვალ
ყარა...

„—მარო, – ცოტა დარცხვენით
ყე და ხელი წელზე შემოვურკალე: —
მთლად გადარეული ვარ სიყვარულით,
მაგრამ ვერა ვბედავდი აქნობამდის ცო-
ტაოდნავ მაინც მეგრძნობინებინა თქვენ-
თვის ჩემი სულის კვეთება. დღეს კი სრუ-
ლიად დავრწმუნდი, რომ ყოვლად შეუძ-
ლებელია ჩვენი შეუღლება...

„— მერე რამ დაგარწმუნა?— ლმობიე-
რად დამეკითხა მარო და უფრო ძლიე-
რად მომეკრა.

„მინდოდა ზრდილობიანად შემეწყვიტა
მაროსთან კავშირი. მინდოდა არა ეგრძნო-
რა, ისე დავშორებულიყავ მას, მაგრამ
ეხლა გვიან-ღა იყო. მარო მევე გამოვი-
წვიე გრძნობის გამოსათქმელად და ეხლა
ჩემ მხრივ უკან დახევა ძნელი იყო.
დევ ჩავაშტერდი თვალებში, იქნება პ
უტყვი სადმე განქრა მეთქი, მაგრამ
პირუტყვი ისევ დაცურავდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალა გარემოე-
იძულებული ვარ
.. თუ გითხოვე, მა-
ეხდა მქონდეს მოგაშო-
ა სამშობლოს. ეს კი თქვენ-
როგორადაც გიცნობთ, ძნელი
ეაება, მართალიც ხართ...

— ზდის, უთუოდ კარგად ვერ მიც-
ნობთ, რომ მაგას მეუბნებით!..

„— არა, მარა, ძალიან კარგად გიც-
ნობთ და ამისთვის გეუბნებით!..

„—ნუ თუ გგონიათ, მე გაბროს დამ-
ჟავებულ აზრების მიმდევარი ვიყო?!. თუ
ასე ჰფიქრობთ, სცდებით...

„— დამჟავებულ აზრებზე არას მოგახ-
სენებთ. მე მწამს, რომ სამშობლო ყო-
ველისფერზე უძვირფასესია და ამისთვის
მოგახსენებთ..

„— ჩემი სამშობლო ჩემი გულია და
სადაც მე ვიქმნები, სამშობლო იქ იქმნე-
ბა!—აღგზნებით წამოიძახა და თავისი
მთრთოლარე ტუჩები ჩემ ტუჩებს შეახო.

„— ხვალე, ხვალე!.. კოცნის დროს
ვცდილობდი ჩამეგონებინა, რომ ხვალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავწყვიტოთ
რამ ვერ შევაგნეთ
„— სადაც გინდა
ლაფერს დავივიწყებ!..—
ვოდა და თან ამას გაიძახოდ
„— მარო, ხვალ მოვალ და
ფერზედ მოვილაპარაკოთ!.. — მკვა
ვუთხარი და შევაყენე ეტლი იმათ კა-
რებზედ. თან კი მის თვალებს თვალს არ
ვაშორებდი...

„მეგობარო, ერთ წამსაც არ მოჰშო-
რებია მის თვალებს პირუტყვი! დავალწიე
თუ არა თავი, მაშინვე გადავწყვიტე,
თვალით აღარ დავნახვოდი და მეორე
დღეს შენთან წამოვედი ამის საამბობლად.
მაგრამ ველარ მოვახერხე და საგზალ მო-
ვიგონე. სამაგიეროდ ეხლა გწერ...“

შენი ზდისი.

წ. კ. მინდოდა კიდევ მომეწერა, მაგ-
რამ წერილი ისეც გაგრძელდა. თითონ
შენ დასკვნი და ამისთვის მე აღარას გწერ.
მხოლოდ ამას გეტყვი, რომ ჩვენი ქალე-
ბი სულ სხვას იძახიან ამ შემთხვევაში:

„ჩემი გული ჩემი სამშობლოსია და თუ ჩემი სამშობლო არ იქმნება, ნურც ჩემი გული იქმნებაო“... აი ჩვენი ქალების წმიდათა წმიდა და თავიანთ გულს კიდევაც ანაცვალებენ სამშობლოს... მგონი, თქვენი ვაჟებიც ეთანხმებიან მაროს აზრს. ჰოლო?!.

ზდისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოჩის გოდება

(ეტიუდი)

I

— წამო, წამო აქეთ და ყველაფერს გიამბობ!.. — ეუბნება ყოჩი თავის სატრფოს და თან წინა მარჯვენა ფეხს გვერდში უბრაგუნებს.

— სად წამოვიდე?!. აქ მიამბე! — უპასუხებს დედა-ცხვარი და ეურჩება.

— არა, ჩემო კარგო, მოვშორდეთ ამ ფარას. აქ დაგვიშლიან. აგერ, იქით ჯაგს მოვეფაროთ. იქ არავინ შეგვაწყვეტინებს ლაპარაკს. იქ გულ დამშვიდებით გიამბობ ყველაფერს, — ეხვეწება ყოჩი და ახლა ფეხის მაგივრად ცხვირის შეხებით იწვევს ფარის კარგად მოშორებით ჯაგისკენ.

— კარგი, წავიდეთ!.. — დასთანხმდა დედა-ცხვარი და შემდეგაც ორივე ერთმანერთს გაეკვრნენ და თავ-ჩაღუნულები ტუსტუსით ჯაგისკენ გაეშურნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარა კი, თითქოს ზღვა ოდნავ ირყევაო, ზევით და ზევით ოდნავის მოძრაობით მიდის მთის წვერისკენ, სადაც მწვანე ხავერდში ჩაფლული მწყემსი სალამურს გულ-საკლავად აკვნესებს და ამ კვნესით თავის მწირ ცხოვრებას აუწყებს ცას და თავის ცხვრის ფარას...

— ხომ გახსოვს, გუშინ წინ რომ წამიყვანეს აქედან?! — დაიწყო ყოჩმა, როდესაც ჯაგს ამოეფარნენ და წამოწვნენ მწვანეზე.

— როგორ არ მახსოვს!... იცი, მერე რანაირად ვიტირე, როდესაც შენ წაგიყვანეს?! მეგონა, აღარ დაბრუნდებოდი, როგორც ჩვენი საწყალი ბატკუნა...

— მართლა, მისი გზა და კვალი სულ დაიკარგა!... მაგრამ...—მწარედ დაიღრიჯა ყოჩი, შუბლის კანი სიმწარით შეეჭმუხვნა, რომ იმ ბატკუნას ხვედრის წარმოდგენა თავიდან გაედევნა, მოეშორებინა და თან ამას უსიტყვოდ გაიძახოდა: „ნეტავი შენ, რომ ბატკუნას ხვედრი წარმოდგენილი არა გაქვს, თორემ მაშინ უფრო ბევრს იტირებდიო...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, დავანებოთ ბატკუნას ხველრს თავი და, აი, რას გეტყვი, — ცოტა ჭმუნვის შემდეგ განაგრძო ყოჩმა...

— თქვი, თქვი, ყურს გიგდებ!

— გული თუმცა მეთანალრებოდა, — მოჰყვა ყოჩი: — როდესაც ფარას გაგვაშორეს ათამდის ყოჩი, მაინც მხიარულად ჩავიარეთ ეს გვერდა. შევედით სოფელში და ვინც შეგვხვდა, ყველა ამას გაიძახოდა: „საწყალი, დაიღუპა, დაიღუპა!.. მერე, რა ახალგაზდა იყოვო“!.. „იქ მიგიდის?!“ ამ სიტყვების შემდეგ უეჭველად დაეკითხებოდნენ ჩვენს... იმას კი არა, აგერ, იქ რომ უკრავს გულის საკლავად!.. ოო, რა მწვავედ მოსთქვამს?!. ხომ გეყურება? მაგრამ ეხლა მაგისი მოთქმა გულს მიმღვრევს... ეგ რაა?.. უარესი სიმწარე, უარესი ტანჯვა და ვაება უნდა ჰხვდეს, რომ მაშინ მიჰხვდეს სხვის ტანჯვასაც! მაგათ ჰგონიათ, მარტო ეგენი იტანჯებიან და ჩვენ კი ყურს აღარ გვათხოვებენ, ჩვენი კვნესა, კვნესად არ მიაჩნიათ... ეგენი ცდილობენ თავიანთ სასარგებლოდ სხვას ყოველ-გვარი უსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლობა მიაყენონ, ამას კანონიერად სთვლიან, და, თუ მაგათ სულ ცოტა უსამართლობა რამ მიაყენეს, სასოწარკვეთილებით გაიძახიან: „ღმერთო, ჩამოიქცეს შენი სამართალიო!..“ ღმერთსაც კი ჰგმობენ. რად მოსთქვამს მაგრე მწარედ, აგერ ის, მთის წვერზედ რომ წამოსკუპულა?! რა აწუხებს? რა და ის, რომ რად გვყარაულობს ჩვენ, დღე-ღამე რად გვივლის, წვიმა-ქარიშხალში გარედ ყოფნა რად უნდება... იმას კი არა ჰხედავს, რომ ჩვენ, ჩვენ მოკლებული თავისუფლებას, წელიწადში ორჯელ გვკრეჭავს, გვწველავს და ყველაფერი თავის სასარგებლოდ მიაქვს. ჩვენ სამაგიეროდ? ჩვენ თავისუფლების მოკლება და ზედ დამატებით...

„მაგრამ ზედ დამატებით რაც მოგვდის, ამაზე მერე ვიტყვი. ეხლა კი, ცოტა არ იყოს, გავები იმისთვის, რომ გული მომივიდა, ტანჯვის ფიალა ამევსო, და საუბარმა გადაუხვია...

„იმას ვამბობდი: ეგ კი არ იყო, რომელიც კვნესის, მეორე, ჩიტუას რომ

ეძახიან, ის მოგვდევდა უკან და სოფლელებს უპასუხებდა იმათ კითხვაზედ: „ჰო, იქ მიმიდისო“...

„კითხვა-პასუხი მეყურებოდა და იმას კი ვეღარ მივხვედროდი, თუ სად და რისთვის მივუდიოდით. ცოტა არ იყოს ამ კითხვამ შემაფიქრიანა, და დამავიწყდა, რომ უკან ჩიტუა მოგვდევდა. თურმე შევმდგარიყავი, ფიქრში გავრთულიყავი, და სხვა ყოჩებს ჩამოვრჩი.

— აი, შე ვერანავ, შენა!.— შემომესმა ჩიტუას ჭყივილი, და ამავე დროს კომბალი ისე ძლიერად მომხვდა, რომ თვალიდან სიმწვავით ნაპერწკლები წამომცვივდა.

„ცუხცუხით მოვეწიე სხვებს და შიგ შუაში შეეერიე. მეტს რას ვიზამდი?! ჩქარა წამოგვსისინა და ერთ სახლის წინ ბაკში შეგვლალა. საღამოს ხანი იყო. ხალხი ბევრი ირეოდა. ყველას თავ-პირი ჩამოსტიროდა. სახლში? სახლში კი არ ვიცი რა ხდებოდა, და იქადან კი გულსაკლავი ხმა გამოისმოდა: ტირილი, გამწარებული კივილი, სასოწარკვეთილებითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოხვრა და გმინვა, აი, რა მოისმოდა სახლიდან. ამის გამგონს მეც თვალი ამიცრემლდა და ბაკის კუთხეში მივიჭუჭკე.

II

„მიწყნარდა ფეხის ხმა. ბინდი წყვდიადმა შესცვალა. იმოდენა ღრიანცელის შემდეგ ისეთი სიჩუმე, როგორიც იქ ჩამოვარდა, ტანში ჟრუანტელს მგვრიდა.

— აქნობამდის განაპირას მწოლარეს, შიშის ზარი თავს დამეცა და მაშინათვე უნებლიედ სხვების შუაში ჩავერიე. ისინი მომესალმნენ და ისევ ძილს მიეცნენ.

„შუალამე მოტანებული იყო. ოთხ-ფეხის ყეფა-ყმუილიც კი არ მოისმოდა...

„წინად, ვიდრემდის ხალხის ფეხის ხმა მისწყდებოდა, სახლის სარკმლებს კაშკაში გაჰქონდა, ისეთი ძლიერი შუქი გამოდიოდა. ეხლა კი ოდნავად იყო გაშუქებული. უეცრივ სახლის კარის ჭრიალი შემომესმა. იქით მივიხედე და მოხუცებული, ძაძებში გახვეული და თმა გაშლილი მანდილოსანი სწორედ აჩრდილსავით სარკმლის შუქზე გაჩერდა. დიდხანს უძრა-

ვად და ხმის ამოუღებლივ იდგა და პირ-
დაპირ საყდარს გაშტრებული გასცქე-
როდა.

— ჩამოიქცეს შენი სამართალი, ღმერ-
თო, რომ მე ცოცხალი დამტოვე და ჩე-
მი ვაჟკაცი კი, ჯერ სიცოცხლით გაუხა-
რელი, ამ წუთი-სოფელს მოაშორეო! —
ბოლოს სასო-წარკვეთილებით წამოიძახა
და ქვითინით იქავე ჩაეხვია.

„მეც ავცრემლდი დედაბრის ქვითინზე.
მხოლოდ მაშინ მივხვდი, რა ამბავიც იყო
იმ სახლში, იმ დედაბერს შვილი მოჰკდო-
მოდა, და ამ შემთხვევას გამოეწვია მწუ-
ხარება, რომლის მოწამეც მე ვიყავი.

„მართალია, იმ შუალამეს მეც ავცრემ-
ლდი. საშინლად შემეცოდა ის დედა-ბე-
რი; მაგრამ ამავე დროს უნებლიედ თავ-
ში კითხვა დამებადა: „ჰო, ყველა ეს
კარგი: დედაბერს შვილი მოუკვდა, ხალ-
ხი მოვიდა და სწუხს, მაგრამ ჩვენ რაღად
მოგვლალეს, მეთქი?“ — ვეკითხებოდი მა-
ლი-მალ ჩემ თავს, და პასუხი კი არსად
იყო. რად? ვერ გავიგე კია და რა წამ-
საც კი გავიგე, თუ იმ სახლში რაც მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდარიყო, შიშმა ამიტანა. თან-და-თან ისე გამიძლიერდა შიში, რომ ტანმა თახ-თახი დამიწყო. თითქმის ადგილზე ვხტოდი, ჩემ თავს ველარ ვიმორჩილებ-დი. ჩემ დღეში არ შემცივნია ისე, ზამ-თარშიაც კი, როგორც იმ ღამეს. კინა-ღამ გადავირიე. არ ვიცოდი, რა მექნა. რისთვის დამემართა ეს?!. ოჰ, რანაირი ტანჯვა გამოვიარე იმ ღამეს, ჩემო კარ-გო!... დედა-ბერი დამშვიდდა, სახლში შევიდა. მე კი ვთრთოდი, ბეწვიც კი მიხტოდა, და რაც დრო გადიოდა, თრთო-ლა, სხეულის წვა და ჩხვლეტა უფრო მემატებოდა...

III

„მტრედის ფრად გათენდა თუ არა, ხალხის ფეხის ხმა ისევ ასტყდა. ჩქარა ეზოში ხეების ქვეშ ცეცხლი რამდენსამე ადგილას გააჩაღეს, გვერდით დიდრონი ქვები მოუწყეს და ზედ წყალით სავსე ქვაბები შემოსდგეს. მე ყოველივე ამას თრთოლით თვალ-ყურს ვადევნებდი და გონს ვერ მოვდიოდი...

„ახმაურდა სოფელი: მოისმა ხალხის ლაპარაკი, საქონლის ბღავილი, ძაღლების ყეფა, და სადაც ჩვენ ვიყავით, იმ ეზოდან ფრთოსანთ რუკ-რუკ-კურ-კური. იქ მამალს გარს ქათმები შემოეხვია და ერთის ამბით და კიჟინით ნაგავს გამალებული ჰქექავდა, აქ ინდოურს თავი მაღლა აეღო და „ყიავ-ყიავს“ უდარდელად გაიძახდა, იქით კიდევ დედალი სეირნობით „კა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინაც მითახთახებდა ტანი, თუ არა.

— მაშ მთელ ღამეს არა გძინებია?!.

— ერთ წუთს რომ თვალი მომეხუჭნა, რაღა მინდოდა!..

— საწყალი, რანაირად დაიტანჯებოდი!..

— დავიტანჯებოდიი?!. დავიტანჯე კი არა, მეტიც მომივიდა. მთლად დავდნი, დავდნი, მეთქი; გონება სულ ამიხდა... აკი გეუბნები, ცოტათი ხმაურობამ გამართო განთიადისას. მაგრამ, როდესაც სახლის კარი გაჭრიალდა და ისევ მანდილოსანი გამოჩნდა, რომლის ხილვის შემდეგ შუალამისას ტანის თახთახი ამივარდა, და მთლად ჩაფუფქული ოდნავის ნაბიჯით წინ წამოდგა და იქავე ხეების ქვეშ მოფუსფუსეთ მიაძახა: „გეთაყვათ, მეზობლებო, ყველაფერი წესიერად დაიჭირეთო“, უარესად ცეცხლი მომეკიდა. სად ვიყავ და სად არა, აღარა მეყურებოდა-რა. ჯერ არა მენახა-რა იმისთანა, რასაც უნდა შევეშინებინე, მაგრამ მე შიშმა უკვე მომითავა. რაც მაშინებდა,

ჩქარა ისიც ვიხილე. თურმე ჩემ სხეულს წინადვე უგრძვნია, რაც მომელოდა, მაგრამ შემთხვევით გადავრჩი და, აი, ეხლა შენს გვერდით ვარ. იმავე ბაკში, რომელშიაც ჩვენ ვიყავით გამომწყვდეული, ერთი ისეთი უშობელი ება, რომ თვალს ვერ მოაშორებდი. მშვენიერი ტანი, მთლად ჩარგვალებული სხეული, მშვენივრად დაწმენდილი ბეწვი, მშვენიერი რქები, მსხვილი, მორღვეული, გონივრული თვალები, აი, რა ამკობდა უშობელს და რა იტაცებდა მაყურებლის თვალს!

„სულ არ გაუვლია რამდენსამე წუთს, რომ ბაკის კარი შემოაღეს და უშობელი წამოაყენეს. მძიმედ, სულ მძიმედ გონივრული თვალები გადაატრიალ-გადმოატრიალა და წელში გაიზნიქა. გაზმორება არც კი დააცადეს, დაუნდობლივ საშინლად სახრე გადუჭირეს ბეჭებში და, საცოდავი, საჩქაროდ ბაკიდან გაიყვანეს. „გაგიხმეთ ხელები!“ უვნებლივ დავწყევლე სახრის გამრტყმელი. მგელიც კი შედგებოდა იმის სილამაზის წინ და იგი ხომ ადამიანი იყო, რომ ისე გამომეტებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაარტყა სახრე. მაგრამ შემდეგ ნახულმა სახრის დარტყმა დამავიწყა. წამოაქციეს საცოდავი და, ოხ, ნეტავი არ გამეგონა იმისი სასოწარკვეთით წაბზმუვლება, ყელში ხანჯალი გაუყარეს!.. სისხლმა ჩქეფა დაიწყო, იქაურობა შეღება. მოისმა ხრიალი. ვხედავდი, როგორ თრთოდა მისი სხეული. ამის მნახველს ტანი მომელეშა; უგრძნობლად გარდმექმნა. მაშინ კი მივხვდი, რისთვისაც მიგვლალეს, რისაც მეშინოდა...

„სახლში ისევ ტირილი, ღრიალი ასტყდა. სტიროდნენ ვაჟკაცს, რომელსაც სიცოცხლე მოესპო, რომელიც უდროუდროდ ამ წუთი-სოფელს გამოესალმა და გარედ კიდევ თითონვე უდრო-უდროდ სიცოცხლე წარბ-მოუხრელად მოუსპეს უუმშვენიერესს ქმნილებას... ოჰ, რა ნაირად გულს მისერავდა სახლიდან ტირილის ხმა!... ვიძახდი: „რატომ სახლი არ ჩამოინგრევა და ყველას არ ამოგჟლეტავთ, რომ ერთის სიცოცხლის მოსპობას სტირით და მეორეს კი თქვენ განგებ უსპობთ?! რას ემგზავსება თქვენი ტირილი?!

„დედა-ბერი საშინლად შემებრალა, ღამე რომ აჩრდილსავით გამოვიდა და ღმერთს სამართალი უგმო. ეხლა კი შემეზიზღა, და სწორედ საგმობელია ადამიანთა სამართალი და არა ღვთისა...

„აკაფეს უშობელი!... მგლებსავით დაჰხვევოდნენ და ზოგი ბარკალს მიარბევინებდა, და ზოგი კიდევ მკერდს და ზოგი კიდევ სხვა ნაჭრებს.

— ბიჭებო, — დაიძახა ერთმა მათგანმა: — ე ცხვრებიც გამოლალეთ და დაკალით!...

„წამოგვესივნენ ჩვენც. წაგვავლეს ზოგს ქეჩოში, ზოგს კიდევ ფეხში და თრევით გაგვიტანეს.

— ეგ ორი ყოჩი გაუშვით, ნუ გამოჰჭრით ყელს. ხალხი ცოტაა და ხორცი ტყუილად გაფუჭდებაო... — ამას ღა მოვკარი ყური და გამოვერკვიე. მანამდის ვერცარას ვგრძნობდი და ველარც რას ვხედავდი. მხოლოდ მაშინ დავინახე, რომ მე და ყომრალა რვა ყელ-გამოღადრულ ჩვენ მოძმეს დავცქეროდით...

— ვაი შენ დედასა ჩემო ბატკუ-

ნიავ, იქნება შენც ეგრე ყელი გამოგ-
ლადრეს!... — მწარედ წამოიკვნესა დედა-
ცხვარმა, და ცრემლები წამოსცვივდა.

— მაშ არა და...

— აი, თქვე ვერნებო, თქვენა!..

„უეცრივ მოესმათ ჩიტუას ხმა და ნერ-
წყვი გაუშრათ.

— თქვე სამგლეებო, ფარას რას ჩამო-
რჩენილხართ!..—დაჰყივლა ჩიტუამ და
კომბალი მოუქნია, მაგრამ ცხვრებმა
დროით უშველეს თავს.

ისინი დაეშვნენ ქვევით, და ჩიტუასგან
მოქნეული კომბალი ჯაგში შეიჭედა“.

„ბალღი ჰყოფილხარ!“

(ეტიუდი)

I

სასიამოვნო სჯა-ბაასისა და ნარდის თამაშის შემდეგ ვახშმად მიგვიწვიეს მე და არჩილი. შევედით სასადილო ოთახში, და კოპწია დიასახლისს კოპწიადვე გაეწყო მაგიდა. სიმდიდრით ვერ გაგაკვირვებდათ, მაგრამ სიფაქიზით—კი. ყოველისფერს დიასახლისის მშვენიერი ხელი ეტყობოდა...

— ცოტაზედ კი ნურას უკაცრავად!— ღიმილით წამოიძახა დიასახლისმა და გვიჩვენა, ვინ სად უნდა დავმსხდარიყავით.

— რას მიბრძანებთ, ბატონო. ჩვენთან...

— ელო, ამხანაგები არიან ჩემი! ამათთან ბოდიშს არ მოვიხდი. არჩილი ხომ წინათაც ყოფილა ჩვენსა. ეს ხამი არ არის და ელიზბარიც, იმედია, დღეის შემდეგ ხშირად გვეწვევა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეც ელიზბარის წინაშე ვიხდი ბოდიშს. ძლივას გავაბედვინეთ მოსვლა, და ეხლაც ესე მცირე ვახშამზე. მგონი, დღეის შემდეგ სულ ამოიკვეთოს ფეხი!

— გინდათ, ქალბატონო, ვახშამი შეგიქოთ, მაგრამ არა. მაგი ისეთი მოუხეშავია, რომ ქათინაურს ვერ მოახერხებს... ქართლელია მაგი!...

— თუ მე მკიცხავ, ჩემო არჩილ, ე მასპინძლებმა რაღა დაგიშავეს?! ესენიც ხომ ქართლელები არიან! — ვუპასუხე არჩილს ღიმილით.

-- კარგია, ეგ მაინც მოახერხე. ესენი კორტოხის ახლო არიან და სხივი ზრდილობისა...

— თუ ეშმაკობისა?!..

— სხივი ზრდილობისა, მეთქი, — მედიდურის კილოთი განაგრძო არჩილმა, — კორტოხის მახლო მცხოვრებთაც ეფინებათ... მგონი, — მიუბრუნდა დიასახლისს, — თქვენი მამა-პაპა კორტოხის იქიდან არიან გადმოსულნი!

— მამა-პაპისგან ეგ მე არ გამიგონია, — ღიმილით უპასუხა დიასახლისმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ არა, თქვენი გვარი იმერეთისაა.—დაჟინებით დაიწყო დავა არჩილმა.

— კარგი, მაგრე იყოს!—უპასუხა დიასახლისმა...

მე აღარა მითქვამს-რა. მხოლოდ უჩინრად დიასახლისს ვადევნებდი თვალ-ყურს და შევნატროდი გივის, რომ ასეთი მეულლე შეეძინა. ყოველ მის მიხვრა-მოხვრას, მოძრაობას, სიტყვას ემჩნეოდა გრძნობა, გრძნობა და გრძნობა. ძალა-უნებურად ვფიქრობდი, ძალიან სასოწარკვეთილიც რომ იყვეს გივი, უნდა გამოირკვას და ცხოვრებას სიამოვნებით მიეგებოს, როდესაც ამას დაინახავს.

დიასახლისი ჩემ გვერდით იჯდა, არჩილი იმის პირდაპირ, გივი კი არჩილის გვერდით ჩემს პირდაპირ. მაგიდის თავსა და ბოლოს ორი ხნიერი მანდილოსანი იჯდა. არ ვიცი, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდათ გივის ოჯახთან, მაგრამ მახლობლები კი უნდა ყოფილიყვნენ...

უბრალო ბაასით, დიასახლისის კეკლუცობით, გივის ღია გულით და მანდი-

ლოსნების სიმუნჯით ყველას სადღეგრძელო გამოვათავეთ...

თამადად გივი იყო და ღვინოს, როგორც კიდევ მასპინძელი, გვაძალებდა. ცოტა არ იყოს, გივის ღვინო გაუჯდა, აალაპარაკა. არჩილი ხომ ჩვეულებრივად ორი-სამი ჭიქის შემდეგ აცულლუტდა; თვალებმა ეშმაკურად კრკალვა დაუწყო...

— მრავალ-ჟამიერ, მრაავალ-ჟამიერ!.. ეს, მეგობრებო, გაუმარჯოთ ჩვენს მოღვაწეებს!.. მრავალ-ჟამიერ, მრაავალ-ჟამიერ...—წარმოსთქვა სადღეგრძელო ჩვენის მოღვაწეებისა და მრავალ-ჟამიერითვე განაგრძო.

არჩილმა და გივიმ მეგობრულად ხელი გადაჰხვიეს ერთმანეთს და, ნაღვინებს როგორც შეჰფეროდათ, ხმა შეათანხმეს. მეც, რაკი დიასახლისთან საბაასო მასალა შემომელია, ხელი სავარძლის უკან გავაცურე, მის ზურგს მივესვენე და დაბალი, თითქმის შეუმჩნევი ბანი დავიწყე. ამავე დროს დიასახლისს თვალს არ ვაშორებდი, იგი ნიდაყვებზე დაყრდობილი დაბლა დაიცქირებოდა, და დრო გამოშვებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახე ვნებით უთრთოდა, მთელი ტანი უხტოდა. დაბალ ბანს ვამბობდი, და დიასახლისის ამ გვარი დროგამოშვებითი ცვლილებათ განცვიფრებაში მოვყვანდი.

გივი და არჩილი კი არ ისვენებდნენ. არჩილი ხმას ძალას ატანდა, ჯმუჯნიდა გივის და თითქმის ნახევრობამდის მაგიდის ქვეშ ჩაძვრა,

დიასახლისმა სავარძელი მაგიდასთან უფრო ახლოს მიითრია და შევამჩნიე დიასახლისიც ძირს-ძირს მიდიოდა. ალარა სცხრებიან გივი და არჩილი, სხვა-და-სხვა სიმღერებს ამბობენ, — „შაშვი-კაკაბი“, „ჩავუხდეთ და ჩავუხდეთ“, „ალაზნის პირას“ და მრავალი სხვა სიმღერა ერთიმეორეს მოჰყვა...

სავარძელი უფრო განზე გავწიე, ამავე დროს ხელსახოცი იატაკზე დავაგდე.

არც არჩილს, და არც დიასახლისს ჩემი მოძრაობა არ შეუმჩნევიათ. ჩემში აღძრულმა ცნობის მოყვარეობამ მოსვენება ალარ მომცა. მინდოდა, შემეტყო, მაგიდის ქვეშ რა დრამა ხდებოდა; ისე კი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჩემი ცნობის მოყვარეობა არ გამო-
მჟღავნებულიყო.

ამისთვის დავაგდე ძირს ხელსახოცი და
ცერად გადავიხარე ხელსახოცისაკენ და
თან მაგიდის ქვეშ შევიხედე...

მთლად ავენთევი. გველ-ნაკბენისავით
უეცრივ წელში გავიმართე და რომ სა-
ხის ცვლილება არავის შეემჩნია, ორივ
ხელები პირზე მივიფარე და ნიდაყვზე
დავეყრდე. ტანი შემისველდა, სუნთქვა,
ცოტა არ იყოს, გამიძნელდა.

აღარ მეყურებოდა არჩილისა და გივის
სიმღერა. თვალ-წინ მხოლოდ ორი წყვი-
ლი ერთმანეთში ჩახლართული არჩილისა
და დიასახლისის ფეხი მითამაშებდა...

ამ სურათმა ჩემზე რად იმოქმედა ასე?!.
არ ვიცი. ეხლაც ვერ გამოვიკვლევია, ის
მეწყინა, რომ არჩილს მეგობრულად გი-
ვისთვის ხელი გადაეხვია და ამავე დროს
კი მის მეუღლეს ფეხებით ეარშიყებოდა,
თუ...

მაგრამ ამის გამოკვლევა შორს წაგვი-
ყვანს.

ერთ წამს დავაპირე წამოვმდგარიყავ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმეფლრთხა არჩილისთვის. მაგრამ თავი შევიმაგრე...

— ჰუუ!..—ჩემდა უნებურად მაგრად ამოვისუნთქე, ჭიქა წყალით ავავსე და ხარბად მოვეწაფე.

— ღვინო მიირთვით, წყალს რად მიირთმევთ.—პირველად გავიგონე მაგიდის ბოლოს მჯდომ მანდილოსნის ხმა.

არ ვიცი, რამ აიძულა მანდილოსანი, დაერღვია თავისი გულმოდგინე სიჩუმე. იქნება ჩემი აღელვების უნებური მოწამე იყო...

— რა ვქნა, ბატონო, თამადა ღვინოს აღარ გვასმევს და უიმისოდ კი წყალის მეტს ვერას გიახლებით.—ხმა-მაღლა ვუპასუხე, რომ გივის გაეგო და სიმღერა შეეწყვიტა.

— უკაცრავად, ელიზბარ, უკაცრავად! მართლაც, სიმღერას აღარ ვათავებთ და ღვინოს ველარა ვსვამთ.—გივი წამოდგა, ჭიქა ღვინით გაივსო და განაგრძო:— ყმაწვილებო, დავლიოთ ჩვენი ქალების სადღეგრძელო. ვუსურვოთ მათ, მოიგონონ ჩვენი წარსული დედები და იმათსა-

ვით პატიოსნურად ემსახურონ სამშობლოს. და თავიანთ ოჯახს!..

— კაცო, რატომ არ დაცოლშვილდებით?!—უეცრივ მოგვიბრუნდა მე და არჩილს: ვერ წარმოიდგენთ, ყმაწვილებო, რა ბედნიერებაა დაცოლშვილიანება!.. ღმერთს გეფიცებით,—გულ-წრფელად დაიფიცა, როდესაც იმის უკანასკნელ სიტყვებზე თავი დაბლა დავხარე,—გამოცდილებით გეუბნებით!..

— ქალებიი... ოოო... მაინც ვსვამ მათ სადღეგრძელოს! კარგები არიან!.. თვალთა ბზინვით დიასახლისს გადაჰხედა და სწრაფ ჭიქა გამოცალა არჩილმა...

II

ბარბაცით გავიარ ეთ რამდენიმე ქუჩა. ქუჩები მიყრუებული იყო, მოძრაობა სრულებით შეწყვეტილიყო. აქა-იქა ჩვენსავით შეზარხოშებულნი ბარბაცით თუ გვხვდებოდნენ, თორემ სხვა კი არავინა.

მე და არჩილი გაჩუმებულები მივდიოდით. არ ვიცი, ის რაზე ფიქრობდა და მე კი გონებიდან რომანი მაგიდის ქვეშისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მშორდებოდა. რაც ორ წყვილ ჩახლაკნილ ფეხს თვალი მოვკარი, მინდოდა არჩილისათვის როგორმე მეგრძნობინებინა და გამეკიცხა ჯერ ვახშმის დროსვე, მაგრამ იქ ვერ მოვახერხე. ამისთვის ღვინოს ძალა დავატანე და კარგადაც შევზარხოშდი.

აი, ახლა რამოდენა ხანია მარტონი მოვდივართ, ყოველ ნაბიჯზე ვემზადები და ამ მზადებას ბოლო აღარ ელირსა.

აგერ, გამოვიარეთ რამდენიმე მიხვეულ-მოხვეული ქუჩა და უმთავრეს ქუჩაზე გამოვედით, რომლიდანაც სხვა-და-სხვა ქუჩებით უნდა წავსულიყავით...

— აბა, ღამე-მშვიდობისა, ელიზბარ,— მითხრა და ხელი გამამიწოდა.

— არჩილ!..— წამოვილუღლუღე და ხელი მაგრა დავუჭირე.

— რა იყო, რატომ მაგრე ტრაგიკულად მომაპყარ თვალნი შენნი?!.

არჩილის ამგვარმა ,ილომ გაბედულობა მომიმატა და მკვახედ ვუთხარი:

— უნდა გრცხვენოდეს, რომ იმ კაცს მეგობარს ეძახი, მეგობრულად ხელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰხვევ და ამავე დროს კი იმის ცოლს ფეხებს ფეხებში უხლართავ და ვნებით თრთი!..

— ხა, ხა, ხა, ხა!..—გულიანად ისე მაგრად გადიხარხარა, რომ ქუჩებმა ბანი მისცეს... - დაინახე?!—ხარხარითვე მკითხა არჩილმა.

— კიდევაც ჰხარხარებ?!—განცვიფრებით დავეკითხე.

— ეჰ, ჩემო ელიზბარ, ბალღი ჰყოფილხარ!..—სიცილით მიპასუხა და საჩქაროდ თავის გზას გაუდგა.

— „ბალღი ჰყოფილხარ“!—მწარის ღიმილით გავიმეორე არჩილის სიტყვები და თავის ქნევით სახლისკენ დასაძინებლად წავედი.

„ლირსი ვარ ამისა, ლირსი!...“

(ეტიუდი)

საშინლად მინდოდა ზღვაზედ მზის ამოსვლა მენახა და, მომეცა თუ არა ზღვით მოგზაურობის შემთხვევა, სიხარულით წამოვიძახე:—„ეხლა კი ვნახავ!...“

მთელ ღამეს კურდღელსავით მეძინა. წამ-და-უწუმ საათს დავყურებდი და ისევ ბალიშზედ მივდებდი თავს...

— დროა!—გავიფიქრე, მეოთხე საათი რომ დაიწყო და წყნარად წამოვდექი, რომ მეზობელი არ შემეწუხებინა, რომელიც გულიანად ხვრინავდა, და ფეხაკრეფით გემის ბანისკენ გავეშურე.

ჯერ ისევ ბინდ-ბუნდი იყო. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღრუბლები აქა-იქ უძრავად მიჰკროდნენ ცას და გაცრიაგებული ვარსკვლავები კი ოდნავ-ღა ბჟუტავდნენ.

ცოტა არ იყოს, კიდევაც ციოდა და ამის გამო პალტო შემოვიჯუჭკე, ხელები სახელოებში დავმალე და პირდაპირ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემის ცხვირისკენ გავწიე, რადგანაც პირი აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა.

— ოჰო, ჩემს მეტს, სხვასაც სდომნია მზის ამოსვლის ნახვა! — უსიტყვოდ წამოვიძახე, როდესაც თვალი მოვკარ გემის ცხვირთან ყმაწვილს.

გაიგო თუ არა ჩემი მისვლა, არ ვიცი. გაშტერებით სივრცეს გასცქეროდა; ჩემს მისვლაზედ არც კი განძრეულა. კიდევაც გამიკვირდა, რომ ამ სიცივეში პალტოგადაღებული იყო და შუბლიც ცივ რკინის ბოძისთვის მიებჯინა. იმის ახლო დახვეულ თოკზედ ჩამოვჯექი; ერთი კიდევ შევხედე უცნობს და მეც ფიქრებმა გამიტაცეს.

„რა არსებაა ადამიანი, — ვეკითხებოდი ჩემს თავს, — რომ ამისთანა უფსკრულს ებრძვის, უშიშრად ენდობა თავისგან მოგონილ მანქანას, რომელიც ასე გულადად, უდარდელად მიარღვევს ზღვის ტალღებს და უდარდელადვე ქვითქვითვიშვიშებს?...“

მაკვირვებდა ადამიანის გონება, გამჭრიახობა, მაგრამ...

„ოხ, რა შესაბრალისია იგივე მედიდური გონება ადამიანისა ბუნების სიდიადესთან შედარებით!.. რა სიმცირეს, უარარაობას და მასხარაობას წარმოადგენს ეს მედიდურება, ამაყობა ადამიანისა!.. ხომ საკმარისია სულ ერთი წამი, რომ მიფშვნიტოს, მილეწოს ეს ამაყად მიმცურავი და ზღვის ტალღების მიმარღვეველი გემი და...

„განქრა ადამიანის ოცნება, ამაყობა და მედიდურება!..

„რალაც მღილი, რალაც საცოდავი მატლი, რომელსაც ადამიანი ეწოდება... ეწოდება... ეწოდება... ე...“

უცნაური ამბავი დამემართა: აზრთა მიმდინარეობა შემიწყდა, მხოლოდ სიტყვა „ეწოდება“-ლა დაცურავდა ჩემს გონებაში და ისიც კვალს ვერა სტოვებდა; გული, აქნობამდის ბოლმით ავსილი, უნებურად შეზავდა სიამოვნებით და, ბოლოს, სულ სარკესავით გადამეწმინდა, ტუჩები კი ლიმად, ვარდსავით, გადამეშალნენ...

განქრნენ, მიიფანტნენ მწარე ფიქრები .ად..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახ, მეც განვიბნიე, დავკნინდი, ჩემი არსება დანაწილდა, გაეთეროვანდა და შეუერთდა იმ ბურთს, რომელსაც ცა და ზღვა, კიდეებით ერთმანეთს მიწებებულნი, წარმოადგენდნენ!.. გავფართოვდი. ჩემი პიროვნება აღარ არსებობდა. მე ბუბუნებამ ჩამნთქა და მე კიდევ—ბუნება, რომელსაც სიმხიარულე შეჰპარვოდა და სულ უნებურად ჩემი არსებაც აეყოლია.

ცა და ზღვა ერთმანეთს ეცილებოდნენ. ზევით და ქვევით ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოფანტულ ღრუბლებს და მათს გარსს ცელქად ეცვლებოდათ ფერი, და ეს ფერი, თითქო საპნის ბურთიაო, ისე გამოჰკრთოდა. აგერ პირველი ნაპერწკალიც ამოვარდა ზღვიდან! პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს—მესამე და სულ შეუმჩნევლად ის ადგილი, საიდგანაც ნაპერწკალი ამოვარდა, ცეცხლად აინთო. ბურთს ფერი უფრო გაუსპეტაკდა, გაუნაზდა. ცეცხლი კი უფრო და უფრო დიდ ადგილს იჭერდა, ცეცხლის გარსი თავისს ფერსა ჰკარგავდა, ცისფერს უერთდებოდა. და ამ დროს მზემაც ზღვიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ამოჰყო. ამოიჭყუპალავა, წინწკლები ისევ ზღვას უბრუნდებოდნენ და...

ფერადიანი ბურთიც გასკდა. ცამა და ზღვამ თავისი ფერი მიიღო და მეც...

— ااااخ!—შემომესმა შესაზარი ხმა ამ დროს, და ტანი შემითამაშდა.

მივიხედე იქით, საიდანაც ხმა შემომესმა, და...

თვალებს აკვესებდა, თითებს იკვნეტდა და ფეხს აბრაგუნებდა ის ახალგაზდა ყმაწვილი, რომელიც მზის ამოსვლამდის ვნახე.

შემეშინდა. ისე შესაზარი სახე ჰქონდა, რომ ტანში ჟრუანტელმა გამირბინა.

— მაფურთხონ, მაფურთხონ, მაა-ფურთხონ!..— წამოიხრანტალა საცოდავად და ქვითინი მორთო...

— ყმაწვილო, ყმაწვილო! — ტანის ორთოლვით ვანძრევდი, რომ გამომერკვია. მაგრამ ის მაინც ქვითინებდა და უაზროდ გაიძახდა:—„მაფურთხონ, მაფურთხონ, ღირსი ვარ!...“

— გამოერკვიეთ, გეყურებათ?! — და-

ვუყვირე და ხელები ძირს მაგრად ჩამოკვრით ჩამოვგლიჯე.

— ჰაა!.. ვინა ხართ, რა გინდათ?!— დაბნევით მიპასუხა და მოელვარე თვალები წელში-გამართულმა მომაპყრო.

მე ვერ გავუძელ იმის თვალების მზერას და შევკრთი; ცოტა არ იყოს, დავიბენ.

— რა უნდა მინდოდეს?—ცოტა ხნის შემდეგ ვუპასუხე, როდესაც გონება მოვიკრიფე:—თქვენი სასოწარკვეთილებითი ხმა შემომესმა, და მე ჩემი თავი მოვალედ ვცან, თუ კი რითიმე შემეძლება, სამსახური გაგიწიოთ.

— თქვენ?!. ხა, ხა, ხა!.. თქვენ გინდათ სამსახური გამიწიოთ?!. ხა, ხა, ხა!.. თქვენც გინდათ მაფურთხოთ?!. გამშორდით!..

— ყმაწვილო, ვინც თქვენი ამ უკანასკნელ წამების მოწამე იყო, არა მგონია, იმას მოფურთხება შეეძლოს...

— რის მოწამე?!.

— თქვენის სულის-კვეთებისა, ზნეობრივად ტანჯვისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ვიტანჯები?!.

— მგონი!..

— მართალს ამბობ, უცნობო, მართალს ამბობ.—ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მიპასუხა,—მართალს ამბობ: მე ვიტანჯები და მინდოდა კიდევაც გავქცეოდი ამ ტანჯვას. სულ რამდენისამე წამის წინ მინდოდა გამოვსალმებოდი ტანჯვას, სამუდამოდ მომეშორებინა თავიდან, მაგრამ...

„—ყმაწვილო, ხომ სიმხდალეა თავის მოკვლა?! არა?..

— თავის მოკვლას სხვა-და-სხვა მიზეზი იწვევს. ზოგი მიზეზი შესაწყნარებელია და ზოგი...

— ეეეხ!... რა მიზეზიც უნდა იყოს?!.. აბა გაარჩიე: მე განვიზრახე თავის მოკვლა იმისთვის, რომ საზოგადოებამ მიცნო, რა კაციც ვიყავი, და ამისთვის შევზიზღდი, ფურთხება დამიწყო...

— თქვენ მაგითი მაინც ვერა გამაგებინეთ-რა.

— აახ!.. რად არის ადამიანი ისეთი, რომ უთუოდ ყოველისფერი უნდა გაიგოს?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ ყველაფერი არ შეიტყო, თავისს მსჯავრს ვერ იქონიებს.—ვუპასუხე მე და იმის მთრთოლარე სახეს დავაცქერდი.

— მსჯავრი, მსჯავრი... ხა, ხა, ხა!..— გადიხარხარა ხელის ჩაქნევით და საჩქაროდ გამშორდა.

თვალი გავაყოლე. მთვრალივით მირაცრაცებდა და თან ხელებს იქნევდა. ცოტა ხნობით გემის ბანის მოაჯირს მიეყრდნო და ზღვას დააშტერდა.

შემეშინდა. „მართლა თავი არ დაიხრჩოს“,-მეთქი,—გავიფიქრე და გავიზრახე მიპარვა, რომ შემძლებოდა დაჭერა, თუ, ვინიცობაა, ზღვაში ჩავარდნას მოისურვებდა. მაგრამ ყმაწვილი მოტრიალდა და ისევ აჩქარებული ნაბიჯით ჩემსკენ წამოვიდა.

— ყმაწვილო!—მომმართა მწუხარე სახით, როდესაც მოვიდა ჩემთან და მკლავში ხელი წამავლო:—ნუ მკითხავთ, „ვინა ვარ“. ეს ხომ სულ ერთია თქვენთვის!..

— მართალს ამაობთ, და არცა მსურს გავიგო თქვენი ვინაობა.

— მაშ ყური დამიგდეთ. რა მხეციც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინდა აილო, რა ცხოველიც უნდა იყოს, რა სულდგმულიც უნდა დაასახელოთ, ყველა თავის თავს ემგზავსება ყოველთვის. მგელი კრავობას ვერ გასწევს, დათვი ძალლობას და ლომი კიდევ—მტრედობას. ადამიანი კი წარმომადგენელია ყოველგვარის ცხოველისა. მასში ყოველგვარი მხეცია მოთავსებული, და შეუძლიან ყოველგვარი მხეცობა, სისაძაგლე ჩაიდინოს. რა მხეცს დამისახელებ, რომ ადამიანი, თუ კი გარემოება ნებას აძლევს, არ დაემგზავსოს?! არა?! ჰა!..—აღგზნებული თვალები თვალებში გამიყარა და მკლავზე ისე მომიჭირა ხელი, რომ მინდოდა ხელი გამეშვებინებინა, მაგრამ თავი შევიმაგრე და პასუხად თავი დავუქნიე.

— ჰო-და მაშ რა არის ადამიანი... მხეცთა-მხეცი... მაგრამ ამ მხეცთა-მხეცობას, თავისს სისაძაგლესა ჰმალავს, ჭმუჭვნის და უფრთხილდება ამის გამომჟღავნებას, როგორც თვალის სინათლეს, თვალის ჩინს... თვალის ჩინს კი არა... რა გითხრათ?.. რას დავადარო?.. თითქო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმიდათა-წმიდას შეადგენდესო, ისე უფთხილდება ამ საიდუმლოთა საიდუმლოებას... ბევრ სისაძაგლეს, ბევრ საზიზღრობას ჩაიდენს, მოიმოქმედებს კაცი, რომლის მოწამეც მხოლოდ თითონ არის და სხვა არავინ... შეიძლება, თავის ცხოვრებაში არავითარი სისაძაგლე არა ჩაედინოს-რა, მაგრამ განზრახვით კი, მერწმუნე, ბევრი სისაძაგლე განუზრახავს, და ეს ხომ სულ ერთია! აბა ერთ წამს ჩაჰხედეთ თქვენს გულს და... მგონი, შეგეშინდეთ კიდევაც!..

— ყმაწვილო, შეუაცხყოფის ნება არა გაქვთ!—წყრომით მივმართე და ხელი გავაშვებინე.

— ااااخ!.. განა თქვენზედ ვამბობ?.. მე სრულებით თქვენ არა მყვანდით სახეში... მაგრამ თქვენი წყრომა კი იმას მიმტკიცებს, რომ ადამიანი საშინლად უფრთხის იმის გამომჟღავნებას, რის მოწამეც მხოლოდ თითონ არის...

მინდოდა კიდევ მეპასუხნა, მაგრამ თავი შევიმაგრე, რომ არ გამეჯავრებინა და თავისი ლაპარაკი არ შეეწყვიტნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ კი იფიქრებთ, — განაგრძო, — ვითომ კარგი რისამე მოწამე ი ყოს?!. არა. კარგს ისე არას მოიქმედებს, რომ სხვა მოწმად არ დაისწროს, ან კიდევ არას განიზრახავს, რომ ქვეყანა არ შეჰყაროს. არა. მხოლოდ სისაძაგლეს უფრთხილდება, მხოლოდ თავის მხეცობის გამომჟღავნებას უფრთხის და არა სხვა რასმე... აბა ახლა თქვენ აიღეთ და რომელიმე ადამიანი გადმოაბრუნეთ, ფქვილის ტომარასავით გამობერტყეთ, ყოველი მისი საიდუმლოთა საიდუმლო გამოამჟღავნეთ და მაშინ, მერწმუნეთ, არა-სასიამოვნო სურათს დაინახავთ... არა-სასიამოვნოს არა, საზიზღარს, შესაზარს!...

„მე საზოგადოება პატიოსან კაცად მიცნობდა. მეც ვაფასებდი ამას და ვცდილობდი, რომ ეს სახელი შემრჩენოდა. თუ კი რაიმე მხეცობა ჩემში არსებობდა, ვმალავდი; მეშინოდა, რომ არ გამომჟღავნებულიყო და პატიოსან ადამიანის სახელი არ შემებღალა, მაგრამ ფეხი გადამიბრუნდა; სულ უბრალო შემთხვევამ გადმომაბრუნა, და ყოველივე ჩემი და-

ფარული გამომჟღავნდა. რაც კი მხოლოდ მე უნდა მცოდნოდა, ყველამ შეიტყო და, რასაკვირველია, ზიზღით დამიწყო ცქერა; თითით საჩვენებელი გავხდი... ხა, ხა, ხა!.. ალარც ერთი ხელს არ მიწვდიდა და იმანაც კი, გეყურებათ, იმანაც კი, რომელსაც თაყვანს ვსცემდი, ვალმერთებდი, რომელიც მარწმუნებდა:— „მიყვარხარო“,—ალარ მიმიღო! ხა, ხა, ხა, გეყურებათ, ალარ მიმიღო!.. სულ უმნიშვნელო ჩემი მოქმედება და განზრახვაც კი გადიდდა, მთად გარდიქმნა, და საზოგადოებამ ყიჟინა დამცა... იყიჟინე!.. მაფურთხე!.. ჩამქოლე!.. მაგრამ ერთ წამს შენი ზიზღი შეაჩერე და ოდნავ თვალი გადაავლე შენს ჯურღმულს! შენც უმანკოების ღვთაებავ, აგრე მოიქეცი და მხოლოდ მაშინ, თუ უცოდველი ხარ, ჩამქოლე... ხა, ხა, ხა!.. განა მაგას გაჰბედავ?!. არა მგონია!..

„მაგრამ რაებსა ვბოდავ?!. არ გეგონოთ, ყმაწვილო, ვითომც მე ამითი თავის გამართლება მინდოდეს. არა. საზოგადოება მართალია. ღირსეულად მაფურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხებს, მიყიჟინებს და ზიზღით მექცევა. სხვას რომ ჩემი საქმე დაჰმართნოდა, პირველად მე ვესვროდი ქვას და ყიჟინას დავცემდი, თუმცა კი, შეიძლება, იმაზედ უარესი ვყოფილიყავი. ყველასაც უნდა უყიჟინონ, თუ კი შეატყეს ვისმე. ყველა ღირსი იქნება ამ სასჯელისა. ამ სასჯელს არავინ არ უნდა გაექცეს. მე კი გაქცევას ვაპირობდი. აი, ხომ მხედავ, ეხლა ზღვით ვმოგზაურობ, იმ საზოგადოებას მოვშორდი, რომელმაც გამკიცხა სამართლიანად. თავის მოკვლაც განვიზრახე. მინდოდა სამუდამოდ მოვშორებოდი, გავქცეოდი ტანჯვას, მაგრამ ამ მშვენიერმა დილამ გონს მომიყვანა და დამანახვა ჩემი სიმხდალე. დამნაშავე ვარ და ამისთვის, რა სასტიკი სასჯელიც უნდა იყოს, მოვალე ვარ ავიტანო და არა ვცდილობდე იმის თავიდან აცილებას. განა გამამართლებს თავის მოკვლა?!. არა. ეგ უფრო გამამტყუნებს, ჩემს სიმხდალეს დაამტკიცებს. დამნაშავედ ვცნობ ჩემს თავს, და ამისთვის სასჯელის ატანაც უნდა შევსძლო... მე საზოგადოებაში

ვცხოვრობდი, იმის აზრს ვაფასებდი, მინდოდა იმ საზოგადოებაში პატიოსან კაცის სახელი მეტარებინა და ამავე დროს კი, გეყურებათ, უპატიოსნოდ ვმოქმედობდი. სიკეთეს სათვალსაჩინოდ ვაკეთებდი და იმას, რაც პატიოსან კაცის სახელს შეჰბღალავს, ვმალავდი. ეს ხომ უპატიოსნობაა, არა?!. სულითა და გულით უნდა პატიოსანი ვყოფილიყავი, დაფარული არა უნდა მქონოდა-რა, ჩემი ყოველივე უნდა ცხადი ყოფილიყო ყველასთვის და მაშინ ეს ალარ დამემართებოდა. ამისთვის, ღირსი ვარ სასჯელისა. დეე, მაფურთხოს საზოგადოებამ, მიყიჟინოს საზოგადოებამ!.. ღირსი ვარ!.. მე უკანვე დავბრუნდები!.. უკანვე დავუბრუნდები იმავე საზოგადოებას, აი ამ ნავთსადგურში მოვუცდი მეორე გემს და უკანვე დავბრუნდები, რომ ყოველ ნაბიჯზედ მაფურთხოს, მიყიჟინოს ამ საზოგადოებამ. ღირსი ვარ ამისა, ღირსი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„...სულ ერთია!...“

(ეტიუდი)

I

— თეკლე!...—დაბნევით შესძახა კიკომ და თეკლეს ორივე ხელები თავისკენ მიიზიდა.

— კიკო!...—თეკლემაც იმავე კილოთი უპასუხა და კიკოს გულს მიესვენა.

წისქვილის ბორბალი კი სჩქეფდა წყალს, არღვევდა, ანაწილებდა, აქაფებდა და საამურად უმღერდა შეყვარებულებს...

— მაშ გიყვარვარ, გიყვარვარ, ჩემო, ჩემო?! ჩვენ სამუდამოდ ერთმანეთისა ვიქნებით!..—ხმის კანკალით ჩასძახოდა კიკო და თან თეკლეს გულზედ იკრავდა.

— მე... შენ... ჰო...—კვნესით, მეტისმეტის აღელვებისგან მისუსტებულის ხმით გაიძახოდა უაზროდ თეკლე, და თვალები ელულებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უყვარხარ!.. უ...ყვარ...ხარ!... ემოწმებოდა წისქვილის ქვა, ბორბლის მხუილთან ერთად.

— ოხ, რა ბედნიერი ვარ!...—გულამოსკვნით წამოიძახა კიკომ და თავდავიწყებით შეუერთა თავისი ტუჩები თეკლეს მხურვალე, ფუნჩულა მარწყვისფერ ტუჩებს.

თეკლემ ტუჩები თავის უნებურად სიამოვნებით შეაჩუჩუნა და, თითქოს მთლად სულში ჩაძვრენა უნდაო—უნებურადვე—კბილებამდის პირში შეუწოდა...

— ახ, რა კარგია!.. ახ... რა... კარგია!.. ახ-რა-კარ-გია!..—წისქვილის ქვა და ბორბალი გაიძახოდნენ ერთად და ამცნობდნენ არეს ამ ნეტარ წამს... მთვარეც,—მუდმივი მოწამე შეყვარებულთა,—ალერსით დასცქეროდა თეკლეს და კიკოს ზევიდან და თითქოს ცოტათი კიდევაც ჰშურდა იმათი ბედნიერება...

წისქვილის ახლოს ორი არსება ერთ არსებად გარდაქცეულიყო და ეს კი ზევიდან, ეულად, ყოველთვის მარტოდ,—ოხ, რა ძნელია, რა მწარეა,—მოცურავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასცქეროდა... რა ვუყოთ, რომ მნათობია?!. ოხ, რა დიდის სიამოვნებით სამუდამოდ დაუთმობდა თავის მნათობობას, თუ კი ვინმე ერთ წამს დაავიწყებდა თავის მარტოობას და მეორე არსებას შეუერთებდა!... მაშ თეკლესი და კიკოს ეს წამი არ შეჰშურებოდა?!.

— ჩემო თეკლე!... ჩემო კარგო, ხომ სამუდამოდ ასე ბედნიერები ვიქნებით?!.

— ჰა?!. კიკო, შენ?!..—თეკლე შეკრთა კიკოს ხმის გაგონებაზედ და ხელიდან გაუსხლტა.

— თეკლე, გონს მოდი!.. რა დაგემართა?!. განა არ გიყვარვარ?!—განცვიფრებით დაეკითხა კიკო და მიუახლოვდა.

— მე შენი?!. არა!.. წავიდეთ შინ!.. მერე... მერე!..—არეულად უპასუხა თეკლემა და სახლისკენ პირი იბრუნა.

კიკოც დაუმხარდამხარდა და გაჩუმებული, დაღვრემილი გაჰყვა.,.

II

„...წავიდა!... დაღონებული წავიდა!... ოხ, რა გულ-ნატკენი გამომემშვიდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა?!.“ — გაიძახოდა თეკლე და აზრი აზრისთვის ვერ დაეკავშირებინა.

რამდენი ხანია, რაც თეკლემ თავის საწოლ ოთახის კარი შეიხურა... თითქმის მაშინვე, კიკო რომ სახლის კარებთან გამომშვიდობებისას დაეკითხა: „რას მიპასუხებო“? აგერ, შუა-ღამე თითქმის გადავიდა, სულ ამ პასუხს ეძებს და ეხლაც ვერა მოუგვანებია-რა...

„ღმერთო!...“—ღმერთს-ღა შეევედრა, რომ იმას მაინც ჩაეგონებინა პასუხი, რაკი თავის გონებით ვერა მოეხერხებინა-რა და გარედ გავიდა.

გაიარა ერთი ხეივანი, მეორე, მესამე. აჩრდილსავით მიაბიჯებდა და თავის საყვარელ ადგილს მიადგა. რამდენჯერ უოცნებნია ამ ხევის პირას, დიდ ქვასთან და ეხლაც უნებურად იქ მივიდა...

ახ, რა ტკბილად მოსთქვამდა ხევი... რა სასიამოვნოდ გრძნობებს ულვიძებდა წყალის ჩანჩქარი!... ეხლა?..

ოხ, ის მთვარეც დასცქერის!.. წყალიც ისევ-ისე მოჩანჩქარებს და, ღმერთო, წისქვილის ხმაც მოისმის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიკო, კიკო, მიყვარხარ!..—ლმობიერად წამოიძახა თეკლემ და თავი მოგონებას მისცა...

წყალი კი მოჩანჩქარებს, ტკბილს, სასიამოვნო ხმებს ასმენს; მთვარე ხომ აფრთოვანებს, და თეკლეც...

კიკოს ეხვევა, ფიანდაზად ეგება...

— ღმერთო, ხომ მიყვარს და მაშ რატომ მაშინვე არ ვუპასუხე: „შენი ვარ!.. სამუდამოდ ასე ვიქნებით“, როდესაც ის ჩამჩურჩულებდა: „ხომ სამუდამოდ ასე ბედნიერები ვიქნებითო?!“ რამ დამიშალა მაშინვე „ჰო“ მეთქვა? ან ეხლა რატომ არ მინდა გადავსწყვიტო, რომ მე იმისი ვიყვე, რატომ, რატომ?!. ხომ მიყვარს, და მაშ რაღა მიშლის ხელს?!. მამა-ჩემი მეწინააღმდეგება?!. ახ, რა სისულელეა!.. დეე, იყვეს წინააღმდეგი!.. მე...“

აგერ თეკლე თავისს გრძნობას თავდავიწყებით მიეცა. მამას და ყველასაც ეწინააღმდეგა და კიკოს გაჰყვა. ეს კიკოსია და კიკო ამისა... ცხოვრობენ... კიკო ისევ ის კიკოა. დრო არა სცვლის. უყვარს თეკლე, გაგიჟებით უყვარს. უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერად, ვიდრე პირველში. ბევრი ისეთი კარგი თვისება გამოიჩინა შემდეგში, რაც პირველად თეკლეს ვერ შეემჩნევნა. თეკლესაც უყვარს კიკო. თითქმის თაყვანსა სცემს, მაგრამ,— ოხ, ღმერთო,— მაინც კმაყოფილი არ არის!.. რა ემართება?!. რატომ კმაყოფილი არ არის, როდესაც კიკო ხეველის მეუღლეა?!. იმ კაცის მეუღლეა, რომელიც უყვარს, რომელსაც თითქმის თაყვანსა სცემს?!. კიკო ხეველის მეუღლე?!. ოხ, რა უცნაური გვარია!.. ხეველი... ხეველი... ახ, რატომ ეს გვარიც ისე ბრწყინვალებით არ არის შემოსილი, როგორც იმის მამისა!.. რა ნაირ პატივით ექცეოდნენ, როდესაც თეკლე ხეველის მეუღლე არ იყო!.. ეხლა?!. ეხლა კი,— ღმერთო,— ზედაც არავინ უცქერის. ყვალა ტუჩის აშვერით ყურში აგონებს: „თავადიშვილის ქალი ვიღაც ხეველს, უბრალო მასწავლებელს გაჰყვა ცოლადაო“!— ესეც იმალება, ალარავის უნდა ეჩვენოს. ჰრცხვენიან თავის გვარისა. მდიდარი მაინც იყვეს, რომ თავის სიმდიდრით ჩააჩუმოს, ყველანი ალაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოს... მაგრამ,—ოხ,—სიმდიდრეც არა აქვს!...

— კიკო, კიკო!—დამიხსენ!..—გულის საკლავად შეევედრა კიკოს ცრემლების ფრქვევით ყელზედ ჩამოეკიდა...

— თეკლე, ჩემო, ჩემო, მითხარ, რა გაწუხებს, რომ თავს შემოგევლო და გიშველო რამ, რომ ცრემლები შეგიშრო... იქმნება, ჩემ სიყვარულში დარწმუნებული არა ხარ, ეჭვი გაქვს რამე... ოხ, თეკლე, მითხარ, მითხარ, რაც გინდა დამისახელე, რითი გინდა დაგიმტკიცო ჩემი სიყვარული?!

— კიკო, კიკო!—გაიძახოდა თეკლე და ქვითინებდა.

— ჩემო კარგო, მითხარი, მითხარი რითი დაგიმტკიცო ჩემი სიყვარული და...

— სიყვარული!.. სიყვარული!.. მარტო სიყვა...

— იპოვნე?!.—ამ დროს მკაფიოდ ჩამოსძახა ჭოტმა და სიტყვა შეაწყვეტინა თეკლეს.

— ვერა!...—შემოესმა შორიდან მეორე ჭოტის ხმაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰა?!.—ტანის ჟრჟოლით აქეთ-იქით მიიხედა და... ისევ იმ წყალის ტკბილი ჩანჩქარი, წისქვილის საამური ხმა შემოესმა...

— ღმერთო!.. — სამადლობელოს კილოთი წამოიძახა და თვალის ქუთუთოები ლმობიერად ზევით ასწია. თითქოს ის დიდი ქვა, რომელზედაც თითონ იყო მისვენებული, გულზედ ღასწოლოდა და სუნთქვას უხუთავდა, მოსწყდაო, ისეთი შვება იგრძნო, როდესაც გამოერკვია და ამისათვის ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ყოველივე ოცნების ნაყოფი იყო და არა სინამდვილისა.

ჰხედავს თეკლე, რომ ისევ ის წყალი მოჩანჩქარებს, ისევ ის წისქვილის ხმა მოისმის; ისევ თავის მამის ბაღშია და არა კიკოს პატარა, სულის-შემხუთავ ოთახში... ისევ თავის მამის გვარი აქვს და არა კიკო ხეველისა. უხარიან თეკლეს!.. თავისუფლად სუნთქავს, რომ ლაფერი ისევ ისეა, როგორც ამ რამდენისამე წუთის წინად... მხოლოდ ერთი რამ-ღა აღონებს. ეს ის, რომ მთვარე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს თვალს არიდებს თეკლეს და მთის იქით დასამალავად მიეჩქარება...

III

„...ღმერთო!...“—შედგა ოთახის შუა კიკო და შუბლი ისე ძლიერად შეიჭმუხნა, რომ თმა და წარბები ერთმანეთთან მიიტანა, მხრები კი ყურებამდის აიწურა. უნდოდა ამ მოქმედებით თავიდან ყოველივე აზრი გამოედევნა, რომ ერთ წამს მაინც სულ არაფერი ეფიქრნა; ერთ წამს მაინც თეკლეს სახე მოეშორებინა, მაგრამ...

„ღმერთო, ღმერთო?...—თითქმის ტირილით გაიძახდა ასე შუბლ-შეჭმუხვნილი და მხრებ-აწურული თითებს იმტვრევდა...

„რამ გაგაკადნიერა ისე, შე სულელო, ჩემო თავო, რომ... ხა, ხა, ხა!.. რომ სიყვარული გამოუცხადე!..—მწარედ გადიხარხარა, და აწურული მხრები ჩამოეშალა, თმა და წარბები ერთმანეთს დაჰშორდნენ, და კიკო ისე გაიშალა ტანში, ისეთი სისუსტე იგრძნო, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლივს-ლა მიბარბაცდა სავარძლამდის და მოწყვეტით დაეშო...

— რად მოვაწერინე ეს, რად?..—შესძახა გულ-ამომჯდარმა კარგა ხნის შემდეგ, და ტანში საშინელი ჩხვლეტა იგრძნო...

„...ისე გავკადნიერდი, რომ ხვევნა-კოცნაც დავუწყე... ხა, ხა, ხა!.. ცოლადაც მინდოდა... ცოლობის პირობასაც ვსთხოვდი, მინდოდა სიტყვა დამეტყუვნა... სადამდის მივიდა ჩემი თავხედობა!..“—დარცხვენით იძახდა, და თავის თავს მჩვარში ჰხვევდა.

„...ოხ, თეკლე, თეკლე, ასეთ სათნოიან სიტყვების ხმარებას ის არა სჯობდა, გაგელანძღე, თავზედ ლაფი დაგესხა ჩემთვის!... მაგრამ შენ ისე კარგი, ზდილობიანი ხარ, რომ...

„ჩემო კიკო,—დაიწყო თითქმის ეს მეათედ თეკლეს წერილის კითხვა:—მე ჩავუკვირდი ჩემს თავს, ჩემს გრძნობას და, ვფიცავ ზეცას...“

...—რად ჰფიცავ, რად, წმინდა თეკლევ!.. განა დაუფიცებლივ კი არ დაგი-

ჯერებდი?!.—შეწყვიტა წერილის კითხვა და ხელი თვალებზედ მიიფარა.

„...ვფიცავ ზეცას,—განაგრძო ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ კითხვა:—მთელ ღამეს არა მძინებია. სულ ჩემ გულს ვუკვირდებოდი. მინდოდა წამიერი გულის თქმა ძლიერ გრძნობად გარდამექმნა, რომ შენს უკანასკნელ კითხვაზედ „ჰო, შენი ვარ სამუდამოდ“ მეთქვა, მაგრამ...

„დაივიწყე, ჩემო კიკო, ყველაფერი, რაც ჩვენს შორის მოხდა, და ჩვენ ისევ ისე კარგი მეგობრები ვიყვნეთ...“

„ჩვენ ისევ ისე კარგი მეგობრები ვიყვნეთ!..“—განიმეორა უკანასკნელი სიტყვები და თავის ქნევით მწარედ ჩაიღიმა...

„მე ღირსი არა ვარ შენის მეგობრობისა, წმიდათა-წმიდავ, უმანკო თეკლევ... სად მე და სად კიდევ—შენ!.. მე...“—შეწყვიტა უეცრივ სიტყვა და წერილის კუდად მონაწერი სიტყვები ამოიკითხა: „ეს წერილი, გთხოვ, უკანვე გამამიგზავნე, თუ შესაძლებელი იყვეს შენთვის... კი არა იფიქრო-რა...“

„ფუი, ამოდენა ხანია, ხელში მიჭირავს და ეს მცირედი თხოვნაც ვერ ავუსრულე. კარგის თვალით რად უნდა მიყურებდეს...“—გადააფურთხა და მაშინვე კონვერტი აიღო ხელში...

— მშვიდობით, მშვიდობით!.. შენს მაგივრად წერილს ვემშვიდობები...—მაგრად, მაგრად აკოცა წერილს, კოცნის დროს რამდენიმე ცრემლი ზედ დააგდო და შემდეგ, თითქოს საყვარელ არსებას ჰმარხავდესო, ცრემლის ფრქვევით დაკრძალა კონვერტში...

IV

— დღეს მოვა და ჯერ თეკლესთვის კი არა მითქვამს-რა,—ჩაილაპარაკა ვახტანგმა და თეკლეს ოთახისკენ გასწია.

— სად არის თეკლე?—დაეკითხა ვახტანგი გოგოს, რომელიც წინ შეეფეთა, როდესაც თეკლეს ოთახისკენ მიდიოდა.

— ჯერ ისევ სძინავს...

— აქნობამდის?.. საცაა, სადილად დავსხდებით და...

— მგონი, წუხელის არა სძინებია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილას განთიადისას გამალვიძა, წერილი გადმომცა და მითხრა: „კარგად რომ მომზევდეს, ეს წერილი კიკოს წაუღეეო. მე კი დავიძინებ ეხლა და სანამ მე არ გავიღვიძო, ნუ გამალვიძებთო?!.“

— მერე წაუღეეი წერილი?..

— დიალ, ბატონო.

— არა გითხრა-რა?..

— ვინა?

— ვინა და კიკომ.

— არა. ისევ ეძინა, რომ მივუტანე.

— მაშ ვის მიეცი?

„რას მისწერდა?!.“—უსიტყვოდ დაეკითხა თავის თავს და ოთახისკენ წავიდა.

„კი არა იყოს-რა?!. იქნება, დაგვიანდა და საქმე კიდევაც გაათავეს!.. ეს შეუძლებელია!.. მე თეკლეს ნებას არ მივცემ, რომ იმ ვილაც მასწავლებელს, კიკო ჰქვიან თუ მიკო, მისთხოვდეს. ეს...“—უეცრივ აზრები შეუწყდა. სულ ერთიანად განებნივნენ, როდესაც კარი შეაღო და მძინარე თეკლე დაინახა.

კარგა ხანს იდგა კარებში. ლმობიერად გულზედ ხელი დაიკრიფა, თითქოს წმინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანის წინ სდგასო სალოცველად, და მზერა დაუწყო თავის ქალს, თავისს ერთად-ერთ ასულს, თავისს შვენებას, რომელიც გულ-ალმა იწვა ოდნავ წაფარებულ ფარჩის საბნის ქვეშ; საბანი არ ჰფარავდა მის გამოქანდაკებულ მკერდს, ყელს, მკლავებს. ვინ იტყოდა, რომ ამ ოთახში, ამ საბნის ქვეშ მოთავსებულა ამ ქვეყნის ასული და არა ციური?!.

ვახტანგი იდგა კარებში და ეშინოდა განძრეულიყო, რომ მძინარის ნაზი სუნთქვა არ აეშფოთებინა...

„ღმერთო,—გაიძახდა უსიტყვოდ ვახტანგი:—სად ვიყავი აქნობამდის, რომ არ ვიცოდი, თუ ამისთანა მშვენიერი იყო თეკლე?!.. ჩემი თეკლე, ჩემი სისხლ-ხორცი!..“—სიამაყით აევსო გული, რომ მისი სისხლ-ხორცი ასეთი მშვენიერი იყო, და ველარ მოითმინა; ფეხ-აკრებით მივიდა საწოლთან და გვერდით მიუჯდა.

„თეკლე, ჩემო თეკლე!.. შენი ადგილი დედოფლის ტახტია... შენ უნდა სკიპტრა გეჭიროს ხელთ და განაგებდე სამეფოს... და არა—ვილაც უგვარტომო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიკო ხეველის ცოლობა... ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ეგ არ მოხდეს, არა და არა... ჯერ შენ გამოუცდელი ხარ, ჩემო კარგო, და მე უნდა საფრთხეს აგაცდინო...“—გარდაწყვეტით წარმოსთქვა ვახტანგმა უკანასკნელი სიტყვები ხმა-მაღლა და სასოებით ტუჩები თეკლეს მკერდისკენ საკოცნელად წაიღო...

— ჰა?!. — უეცრივ შეფოთხიალდა თეკლე, როდესაც ვახტანგი იმის მკერდს ტუჩებით შეეხო, და იმის ღაწვების ნაზ სპეტაკ ფერს მორცხვობის ალმურმა გაჰკრა...

— ნუ გეშინიან, მე ვარ, შვილო!..

V

— მართალს ამბობ, მამი, კარგი ცხოვრება აქვს, კარგი გვარიც აქვს, თავადიშვილობით, ჩამომავლობით საქართველოს თავადებში თითქმის პირველი ადგილი უჭირავს, მაგრამ, რა ვქნა, თითონ არჩილი სულელია, უშნო, ულამაზო...—ღიმილით ეუბნებოდა თეკლე სადილ შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ მამას და თვალს არ აშორებდა ვახტანგის სახის მოძრაობას...

— შვილო,—დაიწყო ვახტანგმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ:—გონიერი ხარ, შენ თითონ მიჰხვდები ჩემის რჩევის სიკეთეს. თორემ შენი ნებაა, მე ძალას არ დაგატან. იქნება, შენ კიდევაც ამორჩეული გყავს ვინმე!..—უკანასკნელი სიტყვები გაგრძელებით წარმოსთქვა და თეკლეს თვალი თვალში გაუყარა.

— მამი, არა გრცხვენიან, რომ მაგას მეუბნები!.. ამორჩეული რომ მყვანდეს ვინმე, განა შენ არ გეტყოდი?!.—საყვედურით უპასუხა და თავი ძირს დახარა.

— რა ვიცი, შვილო, ეხლანდელ დროში...

— კიკოს გამოუგზავნია ეს წერილი!..—ამ დროს შემოვიდა გოგო წერილით და ვახტანგს ლაპარაკი შეაწყვეტინა.

— შენთან იქნება!—შუბლ-შეჭმუხვნით მიჰმართა ვახტანგმა თეკლეს.

— ჰო, ჩემთანაა!—უპასუხა თეკლემ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინვე კონვერტს თავი გაუხია, საიდ-
განაც წერილი ამოიღო.

საჩქაროდ გადააბრიალ-გადმოატრია-
ლა: ხან თავს დაჰხედა და ხან კიდევ
ბოლოს, მაგრამ ..

— ერთი სიტყვა მაინც დაეწერა
ზედ!..—წამოიძახა სასოწარკვეთილებით
და მკლავები ჩამოსცვივდა.

— რა მოგვიდა, შვილო!—თანაგრძ-
ნობით დაეკითხა ვახტანგი და ხელი
მოჰკიდა...

— არაფერი, არაფერი!.. — შუბლზედ
ხელი გადისო და ისევ ისე გონება მოი-
კრიფა.

— რა იყო?!.—თუ არა ყოფილიყოს-
რა, ფერი მაგრე რად წაგვიდოდა?!

— აი, თუ გინდა, წაიკითხე!..—წამო-
დგა და წერილი მიაწოდა...

ვახტანგმა წერილის კითხვა დაიწყო.
თეკლე კი ოთახში დადიოდა ამ დროს...

— მამა არ წამიწყდება, ვერა გამიგია-
რა!.. ეს წერილი შენია.

— ეგრეა, მამა-ჩემო! ეგ წერილი ჩემია
და, როგორც ბოლოში ამოიკიხამდი, მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთხოვ უკანვე დაბრუნებას, იმასაც ჩემი თხოვნა შეუსრულებია და, აი, უკანვე მომივიდა.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ მე მაინც ვერა გამიგია-რა...

— ეხ, მამა-ჩემო, მაგას რა დიდი გაგება რამ უნდა. აი, საქმე რაშია.—მიუჯდა გვერდით და წინა-დღის ამბავი ყოველივე უტყუვრად უამბო...

— როგორც გატყობ, კიკო გიყვარს და ძალიანაც.—უთხრა ვახტანგმა, როდესაც თეკლემ თავისი საუბარი დააბოლოვა.

— მიყვარს და მაგრე?!. არ ვიცი, ესე შეეძლება ვისმე კაცი შეიყვაროს, როგორც მე კიკო მიყვარს!..

— მაშ რას ნიშნავს შენი წერილი?... ან უარი რად უთხარი, ან კიდევ რად ატყუებ: „არ მიყვარხარო“?!.

— როგორც გატყობ, მამა-ჩემო, შენ ბავშვი ჰყოფილხარ, ჩემზე გამოუცდელი. „არ მიყვარხარ“ იმისთვის მივსწერე, რომ უარის თქმა მინდოდა. რომ მიმეწერა: „მიყვარხარ, მაგრამ მაინც ცოლად ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოგყვები“, მაშინ კიკო ხომ შემიზიზ-
ღებდა, შემიძულებდა?... რას იფიქრებ-
და?.. ეს კი არ მინდოდა, რომ კიკოს
შევძულებოდი და ჩემზედ ცუდი აზრი
შეეყენებინა. ცოლად კი, თუმცა მიყვარს
კიკო, რატომ არ მინდა გავყვე, ამაზედ
კი, არ ვიცი, რა გიპასუხო. იქმნება იმი-
ტომ, რომ შენი ქალი ვარ და... მამა-
ჩემო, რა დაგემართა?!.—უეცრივ შეს-
წყვიტა ლაპარაკი და მამას მოეხვია, რო-
დესაც თვალი შეასწრო, რომ იმის ლა-
პარაკის დროს ვახტანგი მთლად გაფით-
რებულიყო და გამოშტერებული თავის
ქალს შესცქეროდა...

— ჰო!.. არაფერი... განაგრძე... ცო-
ტა წყალი კი დამალევინე!..—შუბლზედ
ხელი გადისო და გრძლად ჩაისუნთქ-
ამოისუნთქა. თეკლე კი წყალისთვის
გაიქცა.

სულ რამდენისამე საათის წინად ამა-
ყობდა თეკლეთი. თავი მოჰქონდა, რომ
თეკლე მისი სისხლ-ხორცი იყო. ეხლა
კი, როცა თეკლე უამბობდა თავის საყვა-
რელზედ, თითქმის გულიდგან მოიგლიჯა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელი იყო ამისთვის დარწმუნებულიყო, რომ თეკლე უმწიკვლო არ არის, რომ ის ვისაც შეიყვარებს, თავდავიწყებით არ მიეცემა, მაგრამ, დახე, თურმე თეკლე რანაირად მოქმედობს!... „კიკო შეუყვარდა,—ფიქრობდა ვახტანგი და თან მწარედ იღიმებოდა—„არ ვიცი, ესე შეეძლება ვისმე კაცი შეიყვაროს, როგორც მე კიკო მიყვარსო“ იძახის და თან უარსაც ეუბნებოდა!..“

—არ მოველოდი ამასა, არა!.. არ მეგონა, თუ თეკლე ასე მოიქცეოდა და თავისს გრძნობას შეჰბღალავდა!—წამოიძახა ვახტანგმა და წამოდგა. „მართალია, მე ვეწინააღმდეგებოდი, ძალას დავატანდი, რომ კიკოს არ შეუღლებოდა, მაგრამ, ოხ, რა ბედნიერი მამა ვიქნებოდი, რომ მე... ჩამეფუშა ეგ ქორწინება და არა თითონ თეკლეს. მაშინ თეკლე... ღმერთო, რა დღე დაგვიდგა, რომ აღარც გრძნობა, აღარც გულ-წრფელობა არ არსებობს!..—მწარედ წამოიძახა და ცრემლებიც კი ჩამოუგორდა ჭაღარა წვერზედ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამი, რა მოგდის?! სტირი კიდევაც?!. აჰა წყალი!..—გაოცებით დაეკითხა თეკლე, რომელმაც ამ დროს ჭიქით წყალი შემოიტანა და ძალად დაალევინა.

— ხომ მხედავ, მამი, მე შენი წინააღმდეგი არა ვარ?! ხომ არა გაწყენინე-რა, რადა ხარ მაგრე დაღონებული, ეგ ცრემლები რას ნიშნავენ?!—ალერსით უთხრა თეკლემ და ხვევნა დაუწყო მამას.

ვახტანგმაც ვერ გაუძლო ქალის ალერსს, თითონაც მაგრად, მაგრად ჩაიკრა თეკლე გულში და ქვითინით მხურვალედ ეხვეოდა. ცრემლები კი ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა და თეკლეს ლოყებს ეწვეთებოდნენ...

უნდოდა ვახტანგს დილანდელი თვკლე დაებრუნებინა, უკანასკნელი დაჰვიწყებოდა, მაგრამ თეკლეს წყეული სიტყვები: „მიყვარს, მაგრამ უარს ვეუბნები“ საჭვრეთელივით ტვინს უხვრეტავდნენ და ერთ წამსაც არ ჰშორდებოდნენ...

— ეს სიხარულის ცრემლია, შვილო, რომ შენ მაგისთანა ჭკვიანი, გონიერი ქალი მყევხარ,—უთხრა ვახტანგმა ცივად, როდესაც გონს მოვიდა და დარწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდა, წინანდელი თეკლე სამუდამოდ დაჰკარგა.

ეხლა ერთი-ლა აწუხებდა: რაც შეიძლება, მალე მოეშორებინა თავიდან...

— მგონი, სამგზავრო მატარებელი ჩქარა მოვა. წადი, ეტლი შეაბმევინე და გაგზავნე, რომ არჩილს იქ ცდა არ მოუნდეს.

— ეხლავე...

— თქმა ადარ გინდა, როგორც უნდა მოექცე არჩილს...

— ჰნახავ, მამი, შენს არჩილს ი სულელ თავს როგორ გამოვუსულელებ!.. მგონი, ამალამვე ნიშნობა მოვახდინო...— ღიმილით უპასუხა თეკლემ.

— კიკოსაც დაუძახე!.. — ეშმაკურად უთხრა ვახტანგმა თეკლეს, რომ წმიდა გრძნობა მოეგონებინა, რომ ამ მოგონებით არჩილის ცოლობაზედ ცოტა ყოყმანობა მაინც გამოეწვია და შეესყიდა თეკლეს თავისი საქციელი, მაგრამ...

— კიკო ქალაქს უკვე წასულა! გოგომ მითხრა: „კიკო წელან ცხენით სადგურისკენ მიდიოდაო“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI

— რაო, რაო?! აღარ გაჰბედოთ მაგის გამეორება, თორემ!.. — გული ყელში მოებჯინა, სიბრაზით ნერწყვი შეუშრა და ვეღარ განაგრძო ლაპარაკი ალექსიმ.

— გავბედავ კი არა, დაგიმტკიცებ ყოველსავე ჩემ სიტყვას და ცხადად დაგანახვებთ, რა ზნეობის ადამიანია იგი! — უფრო ბეჯითად წამოიძახა ნიკომ, და თვალები სულ აენთო.

— უი, უი!.. თქვენ ილიაზედ ამბობთ, ბატონო ნიკო, მაგას?!. ვინოს მომხრეებს კი ხმა არ ამოელებათ ზნეობაზედ!.. — გარდაწყვეტით მიუგო ქ-მა ქეთევანმა ნიკოს.

— დადიან და ავრცელებენ ტყუილ ხმებს. ხან რას იგონებენ და ხან რას?!.

— ვინ, ვინ?!. — თითქო დასაკრავად მიდისო, ისე წაეტანა ალექსის გაბრო და გონება-დაბნეული გაიძახოდა: „ვინ, ვინ?“

— ეს რა კაცობაა, რომ ჯერ უარი განაცხადა, ისე მედიდურად გამოგორდა და დაიძახა: „აღარ მინდა, აღარ შემიძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიან ბანკში სამსახურიო“, და მეორე
დღესვე კი შესკუპდა და ისევ ისე განა-
გებდა.—ზიზღით წარმოსთქვა მიშომ.

— გაგიხარდებოდათ კია, რომ მართლა
გასულიყო და ვანო დედა-ბუდიანად ბანკში
დასახლებულიყო!.. ხა, ხა, ხა!.. თავ-
მჯდომარემ როგორ მაშინვე დაურიგა
ადგილები!.. „შენ, როგორც მოადგი-
ლე, დირექტორების თავ-მჯომარედ
იქმნები, შენ კიდევ მეორე დირექტო-
რად და შენ კიდევ“... ხა, ხა, ხა!.. სა-
საცილო არ არის ამისთანა საქმე!—ისე
ცოცხლად გააჯავრა თავ-მჯდომარეს
ანდრომ, რომ თ. ილიას მომხრეებმა სი-
ცილი ასტეხეს. თ. ვანოს მომხრეებს კი
ბრაზი მოერიათ და...

ვერც თავს გაუგებდა და ვერც
სიტყვებს აღარ ზოგავდნენ,
ერს და აღარავის ერიდებოდნენ,
ავდნენ ერთმანეთს უშვერის სიტ-
. ქალი და კაცი ერთმანეთს აჭარ-
ნ...

ამ საათს დაჰხედა და თავი გაიქნია.
ამე გამხდარიყო. „საქველ-მოქმედო

ეროვნული ბიბლიოთეკა

განზრახვით შეიყარნენ აქ, უნდოდათ
რალაც საქმე გამოერკვიათ და ესენი კი
რას გაებნენო“.— გაიფიქრა კიკომ და
წასვლა დააპირა.

პირველად იყო კიკო ამ სახლში. მთელ
სალამოს ხმა არ ამოუღია და თავსა და
ბედს იწყევლიდა, რომ ამ დღეს აქ მო-
ვიდა. აგერ ორი წელიწადი გავიდა, რაც
თეკლეს წერილი მიიღო და მას შემდეგ
სულ იმის მეცადინეობაში იყო, რომ
თეკლეს პირდაპირ არსად შეჰხვედრიყო.
ბანკის კრებაზედაც კი არ დადიოდა,
რადგანაც ფიქრობდა: „თეკლე უთუოდ
ესწრობა და წინ რომ შევეფეთო, მა-
შინ...“ „ვერიდებოდი ლოლოსა, დამხვდა
ორლობის ბოლოსაო“, სწორედ ეს დაე-
მართა კიკოს. სადაც არ მოელოდ[illegible] იქ
შეჰხვდა. ამ სალამოს ლევანი შეჰხვ[illegible]
უთხრა: „უეჭველად უნდა წამოხ[illegible]
მეც იქ მივდივარ. ლარიბ სტუდენ[illegible]
ფონდზედ იქმნება ლაპარაკი. ა[illegible]
უეჭველად უნდა დავაბოლოვოთ, თი[illegible]
მეტის-მეტად გაჭიანურდაო“.

კიკოს არ უნდოდა, მაგრამ ეარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარ უთხრა. დანიშნულ ადგილს მივიდნენ; ჯერ რამდენიმე მოსულიყო. დიასახლისმა კიკო გააცნო, ვინც არ იცნობდა და შემდეგ ისევ სხვებთან ბაასი განაგრძო.

არ გასულა ნახევარ საათი, რომ თითქმის ყველანი მოვიდნენ და ყველაზედ ბოლოს თეკლემ შემოალო კარი. დიასახლისი მიეგება და სათითაოდ ყველანი გააცნო, ვისაც კი არ იცნობდა...

— ღმერთო!—უსიტყვოდ შესძახა კიკომ, და ჭირის ოფლმა დაასხა.

უნდოდა დამალულიყო, მაგრამ როგორ, როდესაც თეკლე დიასახლისმა იმასთან უკვე მიიყვანა.

— კიკო ხეველი!—უთხრა დიასახლისმა თეკლეს...

— ძლიერ სასიამოვნოა ჩემთვის თქვენი გაცნობა. ბევრი კარგი გამიგონია თქვენზე!..—უთხრა თეკლემ და ხელი გაუწოდა.

კიკომ თავი დახარა, რომ მღელვარება არავის შეემჩნია და თეკლეს გამოწვდილ ხელს ხელი მიაგება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი დაეწო. ტანში ჟრუანტელმა დაურბინა და მუხლები მოეკეცა.

თეკლეს გაბრუნებას ველარც კი მოუცადა, რომ მოდუნებული სავარძელზე დაეშვა...

— რატომ მაგრე ჩაფიქრებულხართ და ამ გაცხარებულ ბაასში მონაწილეობას არ იღებთ?!—დაეკითხა დიასახლისი კიკოს და გვერდთ მიუჯდა.

— მე?.. არ ვიცი!—დაბნევით უპასუხა და იმისკენ მიბრუნდა.

— თეკლეს სიმშვენიერემ ხომ არ გაგიტაცათ, რომ სულ იმას უცქერო-დით?!.

— მე?..

— მე შეგამჩნიეთ, უარს ნუ ამბობთ!.. საშინელი მღელვარებაც შეგეტყოთ, ხელი რომ ჩამოგართოთ...

— ვის არ ააღელვებს მაგისი სიმშვენიერე!..— ძალ-დატანებულის ღიმილით უპასუხა მხოლოდ იმისთვის, რომ ეპასუხნა რამ.

— თქვენ არ იცნობთ მაგას, რა ნაირი კეთილი და, ამასთან, ხომ ჰხედავთ, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერიც არის! მაგრამ, საწყალს, ქმარი მეტის-მეტი უზნეო და სულელი გამოადგა.—უკანასკნელი სიტყვები წუწუნით წარმოსთქვა დიასახლისმა.

— მგონი, მაგის ქმარი, ვიდრე მაგის ქმრად გახდებოდა, მაშინაც სულელი და უზნეო იყო. ამისთვის აქ „გამოადგას“ ადგილი არა აქვს. უთუოდ იცოდა, როგორიც იყო არჩილი და ამისთვის ეხლა აღარ უნდა ინანოს.

— რა ვიცი, იცოდა თუ არა, და გინდაც სცოდნოდა, რას იზამდა, როდესაც მამამ მოისურვა. ერთად-ერთი ღირსება მაგის ქმარს ისა აქვს, რომ ძალიან მდიდარია და, ამასთან, გამოჩენილის თავადიშვილის გვარისა. ხომ კარგად იცით, ჩვენი მამები რა ნაირად ყურადღებას აქცევენ ამ ღირსებას?!. თეკლემაც, რაკი დედის-ერთა იყო, აღარ აწყენინა და მამას თავისი თავი მსხვერპლად შესწირა...

— გმირობა ჩაუდენია!..

— თქვენ იცინით და მე კი მაგას სწორედ გმირობას ვუწოდებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გეფიცებით, სიცილის გუნებაზედ სრულებით არა ვარ!...

— მაინც რალაცნაირ კილოთი სთქვით.

— მე, აკი მოგახსენებთ...

— ქალბატონო, პატარა ხანს აქ მოგძანდით!—მიჰმართა დიასახლისს მოსამსახურე გოგომ, რომელიც, ის-ის იყო, შემოვიდა და კიკოს სიტყვა გააწყვეტინა.

— ოხ! — სიამოვნებით ამოისუნთქა, დიასახლისი რომ წავიდა, და კუთხე დაიჭირა, სადაც სხვა ველარავინ მოთავსდებოდა. დიდ-ხანს ელოდა: ან ეხლა დაიწყობენ „ღარიბ სტუდენტების ფონდზე“ მსჯელობას, ან ეხლაო, მაგრამ სტუდენტები ვილას მოაგონდებოდა ამისთანა გამწვავებულ ბაასის დროს. როდესაც ბაასმა უკიდურესობამდის მიაღწია, და საათმა, შუა-ღამე უკვე შესრულდაო, უთხრა, კიკო წამოდგა. დიასახლისს თვალი მოჰკრა. მივიდა და ხმა-დაბლივ გამოემშვიდობა.

— გაპარვა გინდათ, ბატონო კიკო, აკი დამპირდით, გაგაცილებთო?!.

— მე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, თქვენ!.. ოხ, რანაირი გულ-მავიწყი ჰყოფილხართ!..—ღიმილით უთხრა კიკოს თეკლემ და დიასახლისს გამოსა-მშვიდობებლად ხელი გაუწოდა.

— თუ დაგპირდით, დიდის სიამოვნე-ბით!.. — წამოიძახა და მთლად გაწით-ლდა.

— აი, თეკლე, დიდი ეშმაკი ხარ!.. შენ წასვლა გინდოდა და, კიკო რომ მიდის, გინდა ისარგებლო...

— რას მეუბნები, გენაცვა! ჩემთვის სასიამოვნოა შენთან ყოფნა, მაგრამ ცო-ტა უგუნებოდ ვარ.—თითონაც გაუკვი-რდა თავის სიტყვებისა. არ იცოდა, რი-სთვისა სთქვა ეს.

— დღეს ხომ ვერ მოვასწარით ფონდ-ზედ ლაპარაკი და მაშ როდისლა შევი-კრიბნეთ?— დაეკითხა დიასახლისი თეკლეს და კიკოს.

— მგონი, ამ ორიოდ-სამ დღეში ვინც აქ არის, ყველა სოფელში წავა და, არ ვიცი, ენკენისთვემდის კრების დანიშვნა მოსახერხებელია, თუ არა.—უპასუხა კი-კომ და კარებჭეში გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს რა უბედურებაა, ამ საქმეს ბოლო ვერ მოვუღეთ?! ეხლა რომ გაგვეთავებინა, ამ ზაფხულს სოფლებში ბევრ ფულს შეაგროვებდა ყველა ჩვენგანი,— დაღონებულის კილოთი წარმოსთქვა დიასახლისმა და თეკლეს საგამომშვიდობისოდ აკოცა.

— განა არ შეიძლება, ფული ამ ზაფხულ მაინც შეიკრიფოს.— უპასუხა კიკომ და მაშინადვე დაუმატა:— ღამე მშვიდობისათ!..

— რასაკვირველია!.. არ დაგვივიწყოთ. მოდით ხოლმე, სოფლიდან რომ დაჰბრუნდეთ.

— ვეცდები!..

VII

— კიკო, ნუ თუ არ გინდა დავიწყო ჩემი ამბავი?!— ხმის კანკალით შეევედრა თეკლე და ახლოს მიუჯდა.

— წმინდათ შევასრულე თქვენი თხოვნა: დავივიწყე ყველაფერი, რაც ჩვენს შორის მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიკო, გენაცვა, დაანებე თავი მაგ კილოთი ლაპარაკს!.. მოიგონე ის ღამე!.. ღმერთო, ერთხელ მაინც კიდევ გამაგონე ის ნაზის გრძნობით სავსე ხმა და მითხარ: „სამუდამოდ“...

— კმარა, თეკლე... რაც იყო, ის აღარ დაბრუნდება... შენი წერილი რომ მივიღე, კინალამ გავგიჟდი... ისე შემძულდა ჩემი თავი, რომ კინალამ თავი მოვიკალ. გიჟსავით ვიძახდი: ისე როგორ გავკადნიერდი, რომ თეკლეს, ციურ არსებას, ჩემის ჭუჭყიანის ხელით შევეხე. რამდენადაც ჩემ თავს ვამცირებდი, იმდენად შენ გამაღლებდი. მაგრამ, ოხ, ღმერთო, რად მოხდა ეს?!... ნეტავი, ნეტავი სულ ისე ყოფილიყო: ჩემი თავი საძაგლად მეცნო და შენ კი.... ისევ ის თეკლე ჰყოფილიყავი ჩემს წარმოდგენაში!... მაგრამ, იმას ვამბობდი, სურათი სულ შეიცვალა, როდესაც შევიტყე, რომ შენ არჩილის, იმ სულელის და, უკაცრავად, ბრიყვის მეუღლე გაჰხდი!.. ჩემს წარმოდგენაში შენ ჩემი ადგილი დაიჭირე და მე კიდევ—შენი. შენ დაეცი ჩემ თვალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მე კი ავმალლდი... ოხ, ნეტავი სხვა, ჭკვიანი შენი ლირსი შეგერთო ვინმე! მაშინ მე ისევ შენი თაყვანის-მცემელი ვიქმნებოდი... ეხლა კი...

— კიკო, მაკმარე!... გეფიცები ძალა იხმარ...

— გაჩუმდი გაჩუმდი!... სხვა რომ მოატყუო, მე ვერ მომატყუებ... შენ სრულის შენის ნებით და, ამასთან, სიხარულითაც მისთხოვდი! შენ შეჰლახე შენი წმინდა გრძნობა, შენი ადამიანობა და სიმდიდრეს და გვარიშვილობას მიჰყიდე.

— კიკო, გეევედრ~~ებ~~ ~~ე~~ მაპატიე! მე თითონ ვიტანჯები. ვგრძნობ, რა საზიზღარი ნაბიჯი გადავდგი, როდესაც შენ წერილი მოგწერე. ის არ მოგწერე, რასაც გული მეუბნებოდა. გონებას დავემორჩილე... წმიდა გრძნობა სიმდიდრეზე, პატივის-ცემაზე გავცვალე. ამას მართალს ამბობ. მაშინ მარტო გრძნობა არ მაკმაყოფილებდა. მეგონა, გრძნობა შორს ვერ წამიყვანს-მეთქი. მაგრამ ეხლა კი ვხედავ, ჩემო კიკო, რა შეცდომა, რა დანაშაულობა ჩავიდინე. რაც ჯვარი და-

ვიწერე, ერთი წამიც არა მქონია ტკბილი. გებრალებოდე, კიკო, ხომ ერთხელ მაინც გიყვრადი! ეხლა სიმდიდრე, პატივის-ცემა, დიდი გვარის რძლობა მაქვს, რასაც ჩემი გრძნობა ვანაცვალე, მაგრამ, ოხ, ღმერთო, თანაგრძნობა აღარა მაქვს! სიმდიდრესთან გულის სიღატაკე, სიცალიერე, მარტოობა შევიძინე... კიკო, ვერ წარმოიდგენ, რა მტანჯველი, მქეჯნავი ყოფილა მარტოობა, გულის სიცალიერე! --გულ-ამოსკვნით წამოიძახა და ქვითინი მოართო.

— სააქაოსვე ჯოჯოხეთი,— განაგრძო თეკლემ ქვითინით,--გავიჩინე მე უბედურმა!.. და შენც... კიკო, კიკო, ნიშნს მიგებ!.. არ მეგონე... აჰა, დასტკბი ჩემის ტანჯვით!..

— თეკლე, გენაცვა, დაჩუმდი!..— ცრემლებმა მოულბო გული და ხვევნა დაუწყო...

— თეკლე, ჩემო კარგო, გაჩუმდი!— თითქმის ტირილით უთხრა და გულში ჩაიხუტა...

— კიკო, კიკო, კიდევ გამაგონე ეგ

ხმა!... ახ, რა ბედნიერი ვარ!.. რა ტკბილია ეს წამი... თბილი, ნეტარი!..—ალტაცებით გაიძახდა თეკლე და თან კიკოს ახლა თითონ იკრავდა გულში, თავზე, შუბლზე ჰკოცნიდა...

— ჩემო კიკო, ჩემო, ჩემო, ხომ სამუდამოდ ასე ვიქნებით?! ბედნიერები... კიკო, კიკო!..—ჩაჰჩურჩულებდა ნიავსავით კოცნის დროს თეკლე... კიკო კი მოდუნდა, მოიქანცა და პასუხის მიცემის თავი აღარ ჰქონდა...

— ჰო!.. თეკლე!.. ჩემო...—აჰკვნესდა კიკო ძალა-გამოცლილი...

— კიკო, კიკო!.. ჩემი ხარ, განა?! ჩემი, ჩემი, ჩემი!..

— ჰა?!. 'შენი?!. ჰო!.. არა... მერე!..— უეცრივ მოიკრიფა ძალა და ზეზე წამოდგა.

— წავიდეთ!..

— მოიცა, კიკო, რატომ მაგრე შეიცვალე? ხომ ჩემი ხარ?!.

— მერე!.. მერე!.. წავიდეთ ეხლა!..— უპასუხა გადაწყვეტით და კარებთან ელექტრონის ზარის ღილს თითი დააჭირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ორ საათზე ჰკეტავენ „პურ-ღვინოს“. ეხლა კი, აი, მესამეც, ჩქარა შესრულდება,—უთხრა კიკომ და საათი აჩვენა.

— მოხუცო, რა გერგება?!—დაეკითხა კიკო მოსამსახურეს, რომელიც ზარის დარეკაზედ საჩქაროდ კაბინეტში გაჩნდა.

— ორი მანეთი.

— აი, აქეთ მობძანდით, იქით კარი დაკეტილია!—მოახსენა მოსამსახურემ და ეზოსკენ გასავალი კარი მარდად გაუღო.

VIII

— ეეეხ!..—გაახილა თვალები თუ არა, თეკლეს გულის სიღრმიდგან ამოჰხდა ეს ხმა.

რად?.. თითონაც არ იცის. ჰგრძნობს, რომ ძალიან იქეჯნება, გული დახურული, დაბეჭდილი აქვს; ტანი მოშლილი, გონება დაბუნდოვებული და სული ხომ...

— ეეეხ!...—კიდევ ამოჰხდა გულიდან თეკლეს და თვალები წყლით აევსო.

განძრევა უნდოდა. თუმცა ერთი წყვილი ცრემლიც გადმოჰვარდა, პირველ წყვილს მეორეც მოჰყვა, მაგრამ ჩუჩუნიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოიღო; ხელის აღებაც ეზარება, რომ თვალები მოიწმინდოს. თითქოს, მთელი ტანი დადამბლავებული ჰქონდესო, ისეა ლოგინში მოლეშილი...

რადა?..

არ იცის. ეხლა თეკლე ისეთ მდგომარეობაშია, რომ არავითარი აზრი თავში არ ებადება: არც წარსული, არც აწმყო იმისთვის არ არსებობს, და არც რამ ახსოვს...

რად?..

არ იცის. პასუხის მოგება ვერ შეუძლიან. ან-კი როგორ მოგცემსთ პასუხს, როდესაც გონება დაჩლუნგებულია, დადუნებული?!

ჰგრძნობს მხოლოდ ერთს: სხეული, გონება, გული, სული მოდამბლავებული აქვს და...

— ღმერთო, ღმერთო!.. ერთი წვეთი მაინც!.. ერთად-ერთი წვეთი! — მთელის სხეულის მოკუმშვით წამოიძახა თეკლემ და მდულარება გადმოჰხეთქა.

გონება გადაეწმინდა და სხეულიც მოძრაობაში მოუვიდა. ეხლა კი შეუძლიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხის მოცემა. „ერთი წვეთი მაინც!“— აი, პასუხი.

„ერთი წვეთი მაინც“ თანაგრძნობისა რომ იყოს, მაშინ თეკლეს სული და სხეული გადიშლებოდა, აღფრთოვანდებოდა და...

— კიკო, კიკო, ნუ თუ ჩემს შეცდომას არ მაპატივებ?!— ლოგინში წამოჯდა და, თითქოს წინ უდგას ვინმეო, ისე შეევედრა.

მოაგონდა წინანდელი ღამე. მოაგონდა, როგორ ივახშმა კიკოსთან ერთად „პურ-ღვინოში“ და იგრძნო კიდევაც, რომ ის, თუმცა ბოლოს დროს ეხვევოდა, ეალერსებოდა, გულ-წრფელი არ იყო.

— იქნება მართლა კიკომ მაპატივა და ისევ დაუბრუნდა ჩემი სიყვალული?!— წამოიძახა და ზარი დაურეკა მოსამსახურე გოგოს.

— რა გნებავს, ქალბატონო?!.

რისთვის დაურეკა ზარი, რისთვის დაუძახა გოგოს?!. არ იცოდა. დაიბნა მოსამსახურის კითხვაზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მნებავს?! რა ვიცი, რა მნებავს?!. ჰო, მართლა, არჩილი შინ არის?!

— არა. წუხელის არ მოსულა.

— წუხელის არ მოსულა... ჰო... მართლა, რა დროა?

— ათი საათი გახლავსთ.

— ეხლა კი მომაგონდა, რისთვის დაგიძახე: წერილი ხომ არავის მოუტანია?!— დაეკითხა თეკლე და ლოგინიდან იატაკზე ჩამოვიდა.

— როგორ არა, ქალბატონო, ვიღაც ბიჭმა მოიტანა და სთქვა: ქალბატონს კნეინას გადაეციო...

— მოიტა ჩქარა, ჩქარა!..— დაბნევით უთხრა და თითქმის კისრის კვრით გააბრუნა მოსამსახურე გოგო...

— კიკოსგან იქნება, კიკოსგან!.. წუხელის მითხრა: „მერე, მერეო“. ღმერთო, რას მომწერდა?!. იქნება, დაუბრუნდა უწინდებური სიყვარული და... ღმერთო, ღმერთო!.. ვუყვარვარ ისევ კიკოს, მე იმისი ვიქნები და ის კიდევ ჩემი!...— ნაწყვეტად გაიძახოდა და ოთახში პერანგა, ფეხ-შიშველა დარბოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოხ, რა ბედნიერი ვიქნები!..

— აი!..—შემოიტანა ამ დროს მოსამსახურე გოგომ წერილი და გაუწოდა...

— კარგი, წადი!..—კონვერტი გამოჰგლიჯა ხელიდან და გოგო დაითხოვა.

„ჩემო თეკლე,—დაიწყო წერილის კითხვა ტანის კანკალით:—მე ჩავუკვირდი ჩემს თავს, ჩემს გრძნობას და, ვფიცავ ზეცას, მთელ ღამეს არა მძინებია. სულ ჩემ გულს ვუკვირდებოდი. მინდოდა, წამიერი გულისთქმა ძრიელ გრძნობად გარდამექმნა, რომ შენს უკანასკნელ კითხვაზე „ჰო, შენი ვარ სამუდამოდ“ მეთქვა, მაგრამ...

„დაივიწყე, ჩემო თეკლე, ყველაფერი, რაც ჩვენს შორის...“

თვალთ აუჭრელდა, თითები მოუდუნდა, და წერილი ხელიდან გაჰვარდა.

„ჩემი წერილი... რაც მე მივწერე... კიკო, კიკო?“—კვნესით წამოიძახა და ორსავე მხარეს ჩამოშლილ გიშრის ფერ, ხშირ ხუჭუჭა თმას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაეჯაჯგურა.

— დუდუკის ხმა!.. ეტლი ჩვენს კარებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან შედგა!.. ვინ... ზარის ხმაც!—ნაწ-
ყვეტად გაიძახდა თეკლე, როდესაც ქუ-
ჩიდან დუდუკის ხმა შემოესმა და რამ-
დენიმე ეტლი იმათს კარებთან შედგა.

სარკმლიდან უნდოდა გადაეხედნა, მაგ-
რამ ამ დროს შემოესმა კიბეებიდან ფე-
ხის ხმა და „ჩაჰბერე, კიკლი, ჩაჰბერე!..“
ძახილი და...

— არჩილი, არჩილი! — წამოიძახა და
სასოწარკვეთილი იქვე ჩაეხვია.

— ლეკური, ლეკური! — დაიღრიალა
არჩილმა, როდესაც ბრახა-ბრუხით, კარე-
ბების შემოჯახუნით შემოვიდა ზალაში,
და თითონ კი თეკლეს ოთახისკენ წამო-
ვიდა.

მედუდუკეთ ლეკური გააჩალეს. არჩი-
ლმა კი ორივ ხელები თეკლეს ოთახის
კარებს ზედ მიწყვეტით მაგრად ჰკრა.

კარის ორივე ნახევარი უეცრივ შეი-
ღო და...

— არჩილ! — შეჰყვირა ზიზღით, ფეხ-
ზედ წამოჭრით თეკლემ, როდესაც კარებ-
ში გალეშილი არჩილი გამოეცხადა, და
გაქცევა დააპირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოხ, ჩემო თეკლე, ჯერ არ ჩაგიცვამს?! ჰა?! ოხ, რა მშვენიერი ფეხები გქონია! — ნერწყვ-მორეულმა წამოიძახა და ხელი წაატანა თეკლეს ფეხს. დაკუზვის დროს პირქვე დაეცა, მაგრამ ფეხში მაინც სწვდა და მაგრად დაიჭირა.

— არჩილ, რას შვრები! — შეუტია და მაგრად გამოსწია ფეხს, მაგრამ ვერას გახდა.

მდულარე გადაესხა, დაიფუფქა. უნდოდა, იატაკი ჩანგრეულიყო და შიგ ჩავარნილიყო, რომ სხვას მაინც არ დაენახა ეს სურათი, მაგრამ იმის სურვილი არ ასრულდა: იატაკი არ გასქდა, არ ჩაინგრა და არჩილის ამქრებიც ღრეჭით შემოიცქირებოდნენ. არჩილი კი ენა-დაბნევით გაიძახდა: „რა ფეხებია, რა ფეხებია!“-ო და ჰლოშნიდა თეკლეს ფეხს.

კიდევ შეეცადა ფეხის წართმევას, გამოსწია ფეხს, მაგრამ ღონე-მიხდილი იქვე სავარძელს მიესვენა...

— სულ ერთია!... — ამოკვნესით წამოიძახა და ჭირის ოფლი შუბლიდან ხელის გადასმით გადაიწმინდა.

ეხლა სულ-ერთი იყო იმისთვის. ესე ჰერანგაც რომ გამოეტანათ შუა ზალაში და ეთრევნათ, ამასაც გულ-გრილად, უგრძნობლად გადაიტანდა.

9 მაისი—97 წ.
სად. ვაზიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეჰ!..“

(სურათი)

ალარა ახსოვს-რა გეგესა. გაშმაგებული გამორბის ტყიდან და პირდაპირ ვენახისკენ. თითქოს თავის იქ ყოფნით კალთას გადააფარებდა და თავს ააცდენდა განადგურებას...

კივის მიდამო. დედამიწა შეძრწუნდა. კვნესა, ტირილი, ხარხარი მიდამოსი აირია; თავზარ-დამცემი გრგვინვა-ღა მოისმის. გეგე მაინც გარბის. ჩოხის ძველა შემოუკალთავებია. ფეხ-შიშველა, დახვრეტილ შავ-პაჭიჭებში, მთლად გაზუნზლული, ოდნავ წელში მოხრილი მირბის. მას არა ეყურება-რა. შეჭალარავებულ თმა და წვერ-ულვაშებიდან წყვილი მისი თვალი გამოაკვესებს, და მხოლოდ ერთი სურვილის ამოკითხვა-ღა შეგიძლიანთ: „დროით, დროით მივიდეს თავის ვენახთან“...

უეცარი გრიგალი უეცრივვე მოისპო. დამშვიდდა მიდამო. ოდნავ ფოთლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრიალი-ღა მოისმოდა და მცენარეებიდან ჩამონადენი წვეთების წკაპა-წკუპი...

—

სწორედ ამ დროს მიირბინა თავის ვენახამდის,—მარგილის თავს ხელი წააკლო და ფეხი შეაღერა გადასახტომად, მაგრამ სხეული სულ მოუდუნდა და ქარაფაფა ძეძვის ღობეს მოწყვეტით გულით მიეყრდო. ორივე ხელებით დაყრდობილი, პირ-გამშრალი გადასცქეროდა თავის ვენახს და ერთ-წამს მოსაზრება შეუდგა...

სჩხვლეტავდა-ღა ქარაფი?! არა ჰგრძნობდა. მის თვალ-წინ გადაშლილმა სურათმა შებოჭა გრძნობა და მოსაზრება მისი... მხოლოდ სარები (ჭიგოები), მხოლოდ სარები და გაროკილი ხეები-ღა იყო ვენახში. დანარჩენი ყოველივე: ვაზი, ხის ტოტები—ფოთლითურთ, სეტყვის კაკლები ერთმანეთში იყო ალუფხული და აქა-იქა მოგროვილი! ბალახიც კი განადგურებულიყო, თორემ სხვას ხომ სიკეთე არ დაჰყოლოდა...

„ვაიმე, ვაიმე!..“ — ტუჩების ოდნავ ცმაცუნით მოსისინებდა მისი ხმა. მეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა აღარ შეეძლო. ყოველივე ამ უნებ-
ლივ ამოკვნესაში იხატებოდა.

ვენახი იყო მისი მასაზრდოებელი. ყო-
ველი მცენარე, ბალახიც კი ნაცნობი
იყო, ყოველივეზე დიდი ამაგი ჰქონდა.
მას უვლიდა, თავს ევლებოდა, და იმის-
განვე ცხოვრებას მოელოდა. მთელი
წლის სარჩოს ვენახი აძლევდა. მტერ-
საც, მოყვარესაც ვენახი უსტუმრებდა.
ეხლა?!

გზირი, მამასახლისი, მეველე, მენახირე,
მეჯოგე, ჩაფრები, ბოქაული, მღვდელი,
რომელთაც აკმაყოფილებდა ამ ვენახის
შემოსავლით, მის თვალ-წინ აირივნენ.
ეხლა ჩარეგვილი ვენახი კი არაა გადაშ-
ლილი, იგინი ირევიან. ცხადად ჰხედავს
იმათ მრისხანე სახეს, იმათ მოძრაობას,
სახრეებს, მათრახებს, იმათი ხმა მკაფიოდ
მოესმის... ოხ, ოხ, რამდენი ლანძღვა,
გინება, დამცირება!.. ღმერთო!..

აგერ მისი დაწიოკებული ცოლშვილი
თავზარდაცემული მას შესცქერის და იმის-
გან მოელის შველას, მაგრამ...

ისევ ვენახი გადაეჭიმა. ისევ მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაროკილი ხეები და სარები დაინახა და სასოწარკვეთილებით წამოიძახა:

— ღმერთო!.. — და ზეცას მიაპყრო მორღვეული თვალები. მხოლოდ ღვთისგან-ღა ელოდა შველას. სასოებით მას მიჰმართა და...

სწორედ ამ დროს დაგლეჯილ ღრუბლებიდან მზემ ღრეჯით გამოუჭყვიტინა. მწუხარე გეგეს მზე მხიარულად მიეგება, და ამ გარემოებამ იგი სულ დაამცირა. ზეციდან-ღა მოელოდა თანაგრძნობას და ზეცამაც იგი მასხარად აიგდო. მთლად განადგურებული, ისე, როგორც მისი ვენახი, იქავე უნუგეშოდ ჩაეხვია და ლობის ძირას მიგროვილ სეტყვის კაკლის გროვას მიესვენა.

მზის ღრეჯაზედ დედამიწამაც ღრეჯა დაიწყო: აქა-იქ გუბეები, სეტყვის კაკლის გროვა ბჭყვრიალებდა, თვალს უჭრიდა თვალთა მქონთ; ფერდობებიდან კიდევ ნიაღვრის წყალი ტკბილად, თითქოს რამდენიმე წუთის წინად არავითარი ვნება არავის მისდგომიაო, ჩამოჩხრიალაბდა და მოელვარებდა....

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჰ!..—ამ სურათმა უნებურად ხელის ჩაქნევით გულის სიღრმიდგან ამოათქმევინა.

რას მოასწავებდა მისი „ეჰ!“, რომ გეკითხნათ, ვერ აგიხსნიდათ. იგი განრისხებული სწრაფ წამოდგა და საჩქაროდ თავის გარეგვილ ვენახს მოჰშორდა...

„ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ!...“

I

„...— იცი, ჩემო მეგობარო,—დაიწყო ერასტიმ,— როდესაც ჩვენ შემთხვევით შევხვდით კარგა ხნის უნახავები და ერთმანეთს ავ-კარგი გამოვკითხეთ: „ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ უთქვამთ ჩემს მშობლებს და ნათესავებს, სხვებსაც: „ღმერთმა გაგაბედნიეროსო“, და მეც გულში მსიამოვნებია... ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ სმის დროს სავსე ჭიქით მოუმართავთ ჩემთვის და უთქვამთ, შენც კი რამდენჯერმე გითქვამს: „შენ საბედოს გაუმარჯოსო“!.. გამხარებია და გულის ფანცქალით თვალ-ყური მიდევნებია: ვინ გამოსცლიდა სავსე ჭიქას ამ სადღეგრძელოს დროს და ვინ არა. რა სიამოვნებით გიახლებოდი სამადლობელს მის მაგივრად!.. გაბედნიერება ჩვენში, ხომ იცი, რასაც მოასწავებს?! მეც აგრევე მეგონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუთმენლად ველოდი, როდის იჩენდა თავს ჩემი საბედო, რომ გავბედნიერებულიყავ. აკი ერთხელ, ამ სამი წლის წინად შევხვდი ერთს ასულს, რომელიც პირველ გაცნობაზედვე თვალში მომივიდა. ერთი ორჯელ კიდევ ვნახე და უფრო მომეწონა. მოწონება სარჩულად სიყვარულს ედება ხოლმე, და მეც ასე დამემართა. მშვიდი, წყნარი, გულ-კეთილი და ამასთან მარილიანიც. კაცი ვერ იტყოდა, გასაგიჟებელი სილამაზისაო, და ვერც წინააღმდეგს, ესე იგი, ულამაზოაო. მოკლედ რომ გითხრა, ჩვენი დროის სილამაზისა იყო. მაგრამ გარეგნობას ვინ აქცევდა ყურადღებას?... სული, სული და სული!... აი, ჩემო ელიზბარ, რამ წარმიტაცა. კრავი იყო, კრავი...

„....ასაკში მოსულმა, საცოლედ ყელმოღერებულმა უსიტყვოდ წამოვიძახე: „აი, ჩემი საბედო, მეთქი“ და საბედო ბედათაც გადავაქციე. ჩქარა მისი მშობლები გავიცანი და ჩქარაც ყოველივე ჩემი გარდაწყვეტილება მათ გავაგებინე. უფრო ჩქარა მე და ჩემი ელისაბედი დაცოლქმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულნი ამავ დღეს ჩემ მამა-პაპეულ მამულში გავემგზავრეთ...

„...ქ. ქუთაისში რომ ვყოფილიყავ და იქაური ქალი მეთხოვნა, ჯვარის დაწერამდის უკვე ყოველისფერი მეცოდინებოდა უსახელო წერილებით ჩემი მიჯნურის შესახებ. მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ყოველივე ეს ტფილისში მოხდა და მეც სწორედ ტფილისისებურად ფილოსოფიურად ხელი ჩავიქნიე და არც კი ვაგრძნობინე, თუ ყოველივე შევიტყე. „იქნება უმგზავს, საზიზღარ არსების მსხვერპლია და, ნუ თუ,—მე ვფიქრობდი მაშინ,—ამისთვის უსაბედო მსხვერპლს ხელი უნდა ვკრა?...“ არც ის ჩაეთვლება დანაშაულად, რომ ჯვარის წერამდის არა მითხრა-რა, რადგანაც ჩემი ელისაბედი მეტის-მეტად კდემით მოსილია და ვერ გამიბედავდა, მეთქი... მაგრამ, წარმოიდგინე, ჩემო ელიზბარ, ამ ჩემ ფილოსოფიურ ხელის ჩაქნევას არა ფილოსოფიური შედეგი მოჰყვა...

„მე ხომ არაფერი ვაგრძნობინე, სამაგიეროდ ალერსს უფრო ვუმატე, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ელისაბედი, ეს კრავი, წყნარი და მშვიდი ზღარბად გარდიქცა: რამდენადაც ალერსს ვუმატებდი, ის უფრო ეკალს უშვებდა და მაშინებდა მასთან მიახლოვება...

II

„...ჩემო ელიზბარ, ნურას დროს ნუ გეგონება, ვითომც გასათხოვარი ქალის ხასიათი გაიგევი. ქალის ხასიათს მხოლოდ მაშინ გაიგებ, როდესაც ცოლად შეირთავ. მეც მეგონა, ელისაბედს კარგად ვიცნობ, მეთქი; მაგრამ, როდესაც მასთან სამუდამო კავშირით შეეერთდი, მხოლოდ მაშინ ვიცანი ნამდვილი ელისაბედი, მხოლოდ მაშინ შევიტყე, რაც იყო ნამდვილად ელისაბედი, რა ხასიათების პატრონიც იგი იყო...

„დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას და მე და ელისაბედი კიდევ ერთმანეთში სიძულვილს ვუმატებდით. მაგრამ, არა, არა!... მხოლოდ ელისაბედი უმატებდა. ძმობას გეფიცები, ელიზბარ, ჩემ მხრივ არავითარი მიზეზი არ იყო, რომ ელისა-

ბედი ისე მომქცეოდა. რა ვიცი, თუ ალერსი და სიყვარული სიძულვილს დაჰ-ბადავს, მაშინ მეც დამნაშავე ვყოფილ-ვარ! მეტი დანაშაულობა მის წინ არა მიმიძღვის-რა. ნეტავი ეთქვა ჩემთვის, რა მიზეზით შემიძულა პირველი დღიდანვე და, ვფიცავ ყოველივე სიწმიდეს, თუ კი რაიმე სიწმიდე არსებობს კაცობრიობაში, მე მყისვე, თუ კი ჩემ ხელთ იქმნებოდა, მოვსპობდი. მაგრამ მე ჩემი ვქმენ და იმან თავისი და არ მითხრა ყოველ ჩემ კითხვაზე, თუ რაა მიზეზი, რომ მაგრე მექცეოდა. ის მოკლედ მიპასუხებდა: „თა-ვიდან მომშორდი!.. რას ჩამციებიხარ“-ო. რა უნდა მეთქვა?! მეც გაჩუმებული, გულ-ჩაწყვეტილი ვშორდებოდი და სასოწარ-კვეთილი... მეგობარო, მაშინ უნდა გე-ნახევი, რომ ჩემი მწუხარება ამოგეკითხნა, შემომეჩივლნა შენთვის. ეხლა კი იმდე-ნად არც ენა მიჭრის და, თუნდაც ენა მიჭრიდეს, ალარც ის გრძნობა ექმნება, რომ მოგიყვე. წარსული ვაება ყოველ-თვის ცოტათი გაქარწყლებულია ხოლმე შემდეგში. ამისთვის წარსული ჩემი ტან-

ჯვის აღწერვით არ შეგაწუხებ... მაგრამ, ჩემო ელიზბარ, იქმნება ჩემი მოთხრობით თავი შეგაწყინე?! — უეცრივ შესწყვიტა სიტყვა და საშინელის მოწყენილის სახით დამეკითხა:

— ერასტი, თუ მაგრე გგონია, შეწყვიტე შენი მოთხრობა!.. - გულწრფელად ვუპასუხე ერასტის.

მე და ერასტი ერთად შევიზარდენით ბავშვობიდანვე, თითქმის ერთადვე დავამთავრეთ სწავლა უცხოეთში და ამ დროის განმავლობას ყოველთვის მეგობრებად ვითვლებოდით. მხოლოდ სწავლის დამთავრების შემდეგ დავშორდით ერთმანეთს და ერთმანეთისა აღარა ვიცოდით-რა.

ეხლა რამდენიმე წლის დაშორების შემდეგ შევხვდით და ნუ თუ მე გულმოდგინედ არ მოვისმენდი ჩემი ძველი მეგობრის თავ-გადასავალს?!

ეს შემატყო ერასტიმ და თითქმის ბოდიშის მოხდით გაგრძო: „ჰო, იმას გეუბნებოდი: მთელი წელიწადი გავიდა ჩვენი დაქორწინების შემდეგ და მე მაინც ვერ შევიტყე მიზეზი იმის სიძულვილისა. რაღა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამრჩენოდა?!! დავმორჩილდი ჩემ ბედს და, ხშირად რომ თვალში არ წავჩხიროდი და სიძულვილი უფრო არ გამემწვავებინა, ვარჩიე იშვიათად შევხვედროდი. გადავწყვიტე და კიდევაც ამ გადაწყვეტილების განხორციელებას შევუდექი; მთელი კვირაობით და ორ კვირაობით თოფით ხელში ტყეს და ველს ვაძლევდი თავს. ნულარ მკითხავ, რანაირი ცხოვრება მქონდა ნადირობის დროს?!. არ დაიჯერებ, ელიზბარ, ორი წლის განმავლობაში არც ერთხელ თოფი არ მისროლია ნადირისათვის. სანადიროდ დავდიოდი და ნადირს კი არ ვეძებდი, ელისაბედის განშორებას...

„კვირაში თუ ორ კვირაში ერთხელ ვბრუნდებოდი სახლში ...

— ოხ, მონადირეს გაუმარჯოს! ნანადირევისათვის ურემი გავგზავნოთ?!.— ზიზღით მომესალმებოდა ხოლმე ელისაბედი...

„მე ხმა გაკმენდილი შევდიოდი ჩემ ოთახში და თავ-რეტ-დასხმული ძალლივით მივეგდებოდი. ან კი რა უნდა მეპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუხნა?! ეხლაც რომ დავუფიქრდები და ჩემ თავს ვეკითხები: „რა უნდა მეპასუხნა იმისთვის“, პასუხი ვერ მოძიებნია....

„სულ გადვიკარგებოდი სადმე, მაგრამ, ეს ოხერი ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ჩვეულება მაყენებდა... თითონ მეც, მართალი გითხრა, არ მინდოდა მამა-პაპის ოჯახის, ძველი ჩვენი ოჯახის სანთელი გამექრო. მხოლოდ ეს მიკავებდა, და ნადიროობიდანაც კვირაში, თუ ორ კვირაში ერთი-ორი დღით ვბრუნდებოდი სახლში, რომ ბიჭებისთვის რაიმე განკარგულება მიმეცა. ცხოვრება საჭირო იყო...

„ხომ იცი ჩემო ელიზბარ, ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი მოხელედ ყოფნისა. მეტის-მეტ შეცდომად ვთვლიდით და ვთვლი, თუ კი ცოტაოდენი მამული ვისშეს აქვს, მოხელედ შევიდეს. ამ აზრისა ვიყავი და კიდევაც ასე ვიქცევოდი. მამა-პაპათ დამიტოვეს კარგა მამული, მომცეს შესაფერი სწავლა და ჩემ მხრივ დიდი ცოდვა იქმნებოდა აქეთ-იქით მერბინა, არ მომეკლო ამ მამა-პაპეულისთვის და ჩემი ცოდნა მოძმესათვის არ გამეზიარე-

ბინა: ვიმეორებ, მხოლოდ ეს მიჭერდა და არ გადავიკარგე. ერთ ლუკმა პურს ყველგან ვიშოვნიდი საზრდოდ. მინდოდა პირ-ნათლად გამოვსულიყავ ჩემ წინაპრებთან და ღირსეულად გადამეცა...

ერასტი საშინლად დაიჭმუხვნა. ეტყობოდა, რაღაც მწარე აზრი, საშინლად მწვავი მოაგონდა. მე გაჩუმებული თვალს ვადევნებდი მის სახის ცვლილებას...

„...ჰო, ჰო, გარდავცემდი და კიდევაც გარდავცემ.—ცოტათი სახე დამშვიდებულმა განაგრძო:—მაგრამ... ელიზბარ, ელიზბარ!... თვალ-ცრემლიანი ერასტი ნიდაყვით მაგიდას დაეყრდნო და ნაწყვეტად განაგრძო: კარგი რამ არის, ელიზბარ, როდესაც... პატარა არსება... შენი სისხლი და ხორცი... ჰო!..—თავი შეარხია, თითქოს აზრების დალაგება უნდაო, წელში გაიმართა და პირდაპირ მზერა დამიწყო.

„სისულელეა ამაზედ ფიქრი,--რამოდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ერასტიმ:--მე იმასა ვწუხდი, რომ შვილი არა მყვანდა. ვნატრობდი, რომ შვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვყვოლოდა. იქმნება მაშინ ელისაბედი სხვანაირად მოქცეულიყო, დამტკბობოდა...

„ყოველთვის სამწუხაროდ მიმაჩნდა და მიმაჩნია, როდესაც ახალგაზდა კვდება, ქალია ეგ, თუ კაცი, სულ ერთია, რომელთაც თავიანთ მგზავსი ამ ქვეყნად არ დასტოვეს. და არას დროს არ შემბრალებია და არც შემებრალება ის, გინდაც სულ ახლაგაზდა იყვეს, რომელსაც შვილი ეყოლა, და თავის მაგიერი დასტოვა ამ ქვეყნად. თითქოს მაშინ ცხოვრებას მეტი აზრი ეძლევა, ცხოვრება შენი, როგორც მამისა, მიზნიანდება... მაგრამ ამას ძალიან შორს მოვეკიდე, და ამის გაყოლა ჩემ ამბავს გაუთავებელს გაჰხდის...

„ასე იყო, თუ ისე, მე ვერც შვილით გავიხარე,—დაიწყო ერასტიმ რამდენისამე წამის სიჩუმის შემდეგ:—სამი წელიწადი ვიცხოვრე იმასთან, და, არ დაიჯერებ, სამჯერ რიგიანად, ტკბილად არ შემოუხედნია. ნეტავი შენა, ელიზბარ, რომ ჯერ ცოლი არ შეგირთავს და...

—მოიცა, ბიძიავ,—სიტყვა გავაწყვე-

ტინე ცოტა არ იყოს წყრომით: —შენი ელისაბედი ხორც-შესხმული ტარტაროზი ყოფილა და რატომ გგონია, ყველა ქალები ელისაბედს ემგზავსებიან?!. ელისაბედისთანა ქალები ძალიან იშვიათნი არიან და სწორედ მებრალები, რომ შენ შეგხვედრია ელისაბედი...

— ღმერთმა ნუ ჰქმნას, ყველა ქალი ელისაბედს ემგზავსებოდეს!.. მაგრამ არც ისე ცოტანი არიან, როგორც შენ გგონია.

— სწორედ შენი ელისაბედისთანას არ შევხვედრივარ და არცა მგონია, შევხვდე.

— აკი წელან ვთქვი: „ქალის ხასიათებს მხოლოდ ქმარი გაიცნობს“, მეთქი. შენ ჯერ ქმარი არა ჰყოფილხარ და ამისთვის...

— თუ მე ქმარი არა ვყოფილვარ, სხვები ხომ არიან, სხვებს ვხედავ, როგორ ტკბილად ცხოვრობენ.

— ეჰ, ჩემო ელიზბარ, დავანებოთ ამას თავი. ერთს კი გეტყვი: ყველა ქმრებმა რომ ჩემსავით გულ-ახდით გიამბონ, იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასში ხუთიც არ იყოს კმაყოფილი თავის მეუღლისა.

მინდოდა მეწინააღმდეგნა, მაგრამ თავი შევიმაგრე, რადგანაც, ვშიშობდი, კამათი გაგვაბამს, და ერასტი ელისაბედის შესახებ აღარას მიამბობს...

III

„...ხვალ,—ვფიქრობდი ველად გასუული სანადიროდ:—სამი წელიწადი შესრულდება, რაც მე და ელისაბედი დავქორწილდით. ხვალინდელმა დღემ იქმნება გავლენა იქონიოს და შემირიგდეს, თუმცა კი მე არას დროს არ გავწყრომივარ...

„გადავწყვიტე დილა ადრიანად სახლში მისვლა, ელისაბედთან მხიარულად მისალმება და ჩვენი ჯვარის წერის დღის მოგონება...

„გადავსწყვიტე და იმ წამს სახლისკენ გამოვწიე.

„ჩვენი სახლის ახლო, სულ ხუთი ვერსის მანძილზე მშვენიერი მთიანი ტყეა. ძალიან მიყვარდა და მიყვარს კიდევაც ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყე. იგია ჩემი ბავშვობის ბედნიერი დღის მოწამე და დიდობის უბედურებისაც. ხშირად, ხშირად ტყის ბაასისთვის შემიერთებია უმწიკვლო ბავშვური კისკასი და დიდობისას გულის კვნესა! სწორედ ამ ტყის პირას გადავსწყვიტე ღამის თევა და დილით შინ დაბრუნება...

„ის იყო სულდგმულთ ხმაურობა მისწყდა და პირდაპირ მთის მწვერვალიც ოდნავ გაშუქდა, რომ მე მივედი იმ ტყესთან და განაპირას მდგომ ას წლოვან ვერხვის ახლოს მწვანეზე გულ-ალმა დავწექი. თოფი გვერდით მოვიდე, ხელები თავ-ქვეშ ამოვიწყე და ჩემი გონება პირდაპირ მთის მწვერვალმა, რომელსაც თანდა-თან შუქი ეპარებოდა, ჩანთქა.

„ნაზი სინათლე ცაში გაფანტულ ღრუბლებს მიეშუქა და ააფერადა, ოდნავ მბჟუტავ აქა-იქა ვარსკვლავთ ბჭყვრიალება მოაკლდათ, და ჩქარა, სულ ჩქარა სხივიარობა დაჰკარგეს, როდესაც მთის წვერიდან მძიმედ ამოცურდა მთვარე და დედოფლურის ღიმილით არე-მარეს თვალი გადაავლ-გადმოავლო, რამაც ყოვე-

ლივე გააოცნება და ააფრთოვანა, გარდა ვარსკვლავთა, რომელნიც შურის თვალით შორით უჭვრეტდნენ... ტყე ოდნავ ახმაურდა დედოფლის გამოჩენაზე და მიესალმა; მეც დედოფლის მისალმებასთან ერთად ჩემს ელისაბედსაც მივესალმე; გული გადვუშალე და იმანაც სამაგიერო მომიწყო. ეს მისალმება დაედო ჩემს ოცნებას სარჩულად და მერე სად და როგორ მიმოვლო, რა ნეტარება გამოიარა, ამის ამოკითხვა შენთვის მომინდვია...

„კარგია ხოლმე ხანდისხან ოცნებით გატაცება. ყოველივე ისე მოძრაობს, როგორც შენ გინდა, გსურს და წამს ბგონია, ვითომ სინამდვილეა; ვითომ ყოველივე იმას ოცნება კი არ ამოქმედებს, ცხოვრების ჩარხი და შენც სიამოვნების ოფლი გასველებს...

„ჩემმა გონებამაც შემოფარგლა დიდი, დიდი წრე; ბევრგან, და თითქმის ყველგანაც, ისე შეუხამა მოქმედებანი, სადაც ყოველთვის მე გამარჯვებული დავრჩი, ყოველივე ჩემ სასიამოვნოდ მოეწყო და ბოლოს საიდანაც დაიწყო, ელისაბედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამისკუპა თვალ-წინ ყოველივე მისი ღირსებით, და მეც გონს მოვედი; უეცრივ ელისაბედის მოგონებაზე ტანში ჟრუანტელმა დამირბინა, და თვალი არე-მარეს მივავლ-მოვავლე, რომ გონებიდან არა სასიამოვნო სინამდვილე გამედევნა. არე-მარე ისევ ისე ფანტასტიური იყო: მთები ტყით შემოსილნი, თითქოს ერთიერთმანეთისკენ მიივლტოდნენ სიყვარულით გადასახვევნად და ღელეებში ჩახვეულნი ტკბილად, ტკბილად ეალერსებოდნენ ერთმანეთს; აგერ, თითქოს მათი ტკბილი ალერსი კიდევაც მოისმის, მეტის-მეტი აღელვებისგან ხმა მიჰსუსტებიათ და ოდნავ ძლივსლა სისინობენ...

„დედოფალი?!

„დედოფალი კიდევ ცის შუა გულიდან დაჰყურებს და აცხოველებს მათ სიყვარულს; იგი თავის სხივებთან ერთად აწვეთებს სიყვარულს, რომ არე-მარე მთლად სიყვარულად გარდიქმნას, და მეც უბადრუკს, მომხვდა რამდენიმე წვეთი დედოფლისა და, ვაი, ცრემლად გადმოვაფრქვიე...

„მივიხედ-მოვიხედე და მარტოდ ვიგრძენ თავი. გეყურებაა, ელიზბარ მარტოდ, მეთქი?! და ამ გარემოებამ ამიჩუყა გული, ჯერ ჩქარი სუნთქვა ამივარდა, მერე შემიდგა სულ სუნთქვა, და, როდესაც სუნთქვა დავიწყე, სუნთქვასთან ერთად ცრემლი გადმომსკდა ნაკადულად...

„მაგრამ გონებამ ელისაბედი თავის მკაცრის სახით ისევ წინ წამომიყენა და უეცრივ ცრემლი გამიშრა. ვუმზერდი ეხლა ელისაბედს. თან და თან მისი მკაცრი სახე იფერებოდა; იგი ჩქარა დაიფერა და ვითა ეთერი თავს მევლებოდა. მეც გული მომეწმინდა. სიმწვავე, რომელმაც ცრემლი მადინა, გამიქარწყლდა, და ეთერთან ერთად ნავარდობა დავიწყე...

IV

„ღმერთო ჩემო!—წამოვიძახე გონება დაბნევით, როდესაც პირდაპირ მთის მწვერვალს თვალი მოვკარ, რომელსაც თან და თან შუქი ეპარებოდა: „მე კარგად მახსოვს ეს სურათი! — ვიძახდი უსი-

ტყვოდ: ნუ თუ ჯერ... მაგრამ მთვარე ცის შუა გულში ვნახე და... აგერ ნაგლეჯი ღრუბლებიც!... ეგენიც...—წამოვჯექ და თვალი მივავლ-მოვავლე.

„შემომესმა ტყიდან განუწყვეტლივი დიადი ჟივილი ფრინველთა. მხოლოდ ამ ხმამ გამომარკვია, რომ უკვე თენდებოდა, და ჩემგნით ნანახი სურათი მთვარის ამოსვლა სინამდვილე იყო. ეხლა კი დიდებული ცის მნათობი ამოდიოდა... ხელმეორედ მივავლ-მოვავლე თვალი ცას და ვიგრძენ განსხვავება ფერებისა, რომლითაც დიდებული მნათობი აყვავებდა არემარეს.

„მე ჩამძინებიყო, და ეს ამისთვის დამემართა.—მაგრამ, ელიზბარ, მგონი შენ კიდევაც მოიწყინე ?!—უეცრად დამეკითხა ერასტი, და ისევ არც კი მაცალა ხმის ამოღება, თითონ განაგრძო: „ახლა ჩქარა მოვრჩები ჩემ ამბავს; ბარემ სულ დავათავებ, რაკი დავიწყე“...

— თუ ძმა ხარ, ნუ შეამოკლებ, ყველაფერი დაწვრილებით მიამბე!—შევევედრე მე.

„—რაც უნდა ძალიან გავაჭიანურო, ჩქარა ელება ამ ამბავს ბოლო...

„ჰო!...—რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ერასტიმ:—იმას ვამბობ-დი. რაწამს გამოვერკვიე, ისიც მომაგონ-და, რა განზრახვითაც დავუახლოვდი ჩემ სახლს, და მაშინვე შინისკენ გავემგ-ზავრე...

„სოფელში რომ შევედი და მეზობელი გლეხები სალამს მაძლევდნენ, ცოტა არ იყოს მათმა ღიმილმა შემაფიქრიანა, და ჩემ იმედებს ცოტათი ფრთები შეაკვეცა... მივედი სახლში. მოჯამაგირეები და დე-დაკაციც იმავე ღიმილით დამხვდნენ. მე ვითომ მათ ღიმილს არ ვამჩნევ, პირდა-პირ ჩემ ოთახისკენ წავედი. ელისაბედის ამ დროს შეხვედრას არ მოველოდი, რად-განაც იგი გვიან ილვიძებდა. ამისთვის გადავწყვიტე: როდესაც გოგოს დაუძა-ხებს, მეც მაშინ შევალ, მეთქი და...

„შევედი ჩემ ოთახში. ოთახი, რო-გორც დავტოვე, ისევ ისე დამხვდა. მა-გიდას მოვუჯექ და უეცრივ იქ აყუდე-ბულ წერილს თვალი მოვკარ...

„ხშირად მოსულა წერილები ჩემ შინ არ ყოფნის დროს, მაგრამ ეგრე არ დამ-ხვედრია.

„წერილები ყოველთვის მარჯვნივ ეწყ-ვნენ ხოლმე, და მაგრე აყუდებული კი არას დროს არ დამხვედრია თვალში წა-საჩხირავად. მაშინვე იმ წერილს თავი გადავუხიე ხელების კანკალით და გადაშ-ლის უმალ ჩემი სახელი ამოვიკითხე: „ერასტი, – ასე იწყებოდა წერილი,—მე შენი საქციელის გაძლება აღარ შემიძ-ლიან“...

„ხელები უფრო ამიკანკალდა ბრაზი-საგან... ჩემდა უნებურად წერილი დავ-სრისე, დავსრისე და მინდოდა სარკმლი-დან მესროლნა, რომ თავი შევიმაგრე. ცნობის მოყვარეობა აღმეძრა. მინდოდა შემეტყო, ჩემი ელისაბედი კიდევ რას მომწერდა, რომ მომზადებული დავხვედ-როდი, როდესაც იგი თავის ოთახიდან გამოვიდოდა. წერილი ისევ გავშა-ლე, ნაოჭები გავუსწორე და კითხვა დავიწყე: „შენ ხელში ერთი დღე კარგი არ მინახავს. მომეწყინა ამდე-

ნი ტანჯვა და ამისთვის ვარჩიე მოგშორებოდი....

„ჩემ თვალებს არ ვუჯერებდი. ეს სიტყვები კიდევ, კიდევ და კიდევ გადავიკითხე. „ღმერთო, ღმერთო!... ნუ თუ ელისაბედი მომშორდა?!.“ გავიძახდი ხმამაღლა და ოთახში დავრბოდი.

„წერილი კიდევ გადავშალე და თავიდან ბოლომდის ჩავიკითხე. წერილის ბოლოს მწერს: „ერთი ეს თხოვნა მაინც ამისრულე და გამომიგზავნე ნება თავისუფლად ცხოვრებისა ამ ადრესით: ქ. №...“

„უთუოდ მემასხრება, მეთქი“, — გავიფიქრე და მაშინათვე ელისაბედის ოთახისკენ გავექანე. კარი ყუნწამდის გაღებული დამხვდა. იქაურობა აწეწილ-ღაწეწილი იყო. საჩქაროდ გამოვბრუნდი, ახლა სხვა ოთახებში ძებნა ღავუწყე. უეცრივ გოგო წინ შემეფეთა...

— სოფო, ქალბატონი სად არის?— ქაქანით დავეკითხე და ბკლავი მაგრად დავუჭირე...

— რა მოგახსენო, ერთი კვირაა, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც წაბრძანდა. — გულ-მტკივნეულობით მიპასუხა გოგომ.

— არა სტყუი?!.

— ზიარების მადლმა, მართალს მოგახსენებ.

— მაშ წავიდა, წავიდა?! — ატაცებით ჩავეკითხე სოფოს და პასუხი აღარ ვაცალე, მაშინვე გარედ გამოვვარდი.

— ბიჭო, ალექსი, ცხენი დროით მომიმზადე! — გადავჭყივლე და მოუთმენლად ველოდი ცხენის მომზადებას.

„ამ ლოდინის დროს იქავე სახლის კუთხიდან ოდნავი ტუტუნი შემომესმა. მორიდებით გავიხედე იქით და დავინახე, სოფოს გარს შემოჰხვევოდნენ სოფლის დედაკაცები და გაფაციცებით უსმენდნენ იმას. რასაკვირველია, სალაპარაკოდ მე ვეყოლებოდი, და ამისთვის ყური არ ვათხოვე...

„უეცრივ ცნობის-მოყვარეობამ შემიპყრო და სოფო მოვიხმე.

— შენ აქ იყავ, როდესაც ქალბატონი წავიდა?

— აქ გახლდით, ბატონო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ გეცოდინება, მარტოკა წავიდა, თუ ერთად ვისთანმე?!

— აქედან კი მარტოკა წავიდა, და მერე კი, არ ვიცი....

— კარგი.

„შეკმაზული ცხენიც მოიყვანეს, საჩქაროდ მოვახტი ცხენს და სწორედ კარგ დროს მივედი სამაზრო ქალაქ №—ში. მაზრის სამმართველოში მოხელენი ჯერ ისევ იქ იყვნენ. საჩქაროდ, მიცნობდნენ, დამიმზადეს სამუდამოდ საკუთრად ცხოვრების, სადაც კი ენება, საბუთები, და მაშინათვე ფოსტაში გავაქანე...

„როდესაც ელისაბედთან გასაგზავნი საბუთები ჩავაბარე ფოსტაში, ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ. ერთი ეს-ლა აჩრდილებს, ჩემო ელიზბარ, ჩემ ბედნიერებას, კიდევ არ დამიბრუნდეს ელისაბედი...“

ვაჩუმდა ერასტი. მეც გაჩუმებული ძირს ჩავიცქირებოდი და არ ვიცოდი სიჩუმე რა ნაირად დამერღვია. სწორედ ამ დროს ჩემ გასახაროდ ჩემი მეგობარი ვახუშტი თავს წამოგვადგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მხარზე ხელის დარტყმით ჩამომ-
ძახა:

— ცხვირი რა ძირს ჩაგიკიდნია, კაცო,
ქვეყნის ვალები ხომ შენ არ დაგაკისრე-
სო?!

— ააა, ვახუშტი, ასე უეცრივ საიდან
გაჩნდი?—დავეკითხე მე და შემდეგ სულ
სხვა საგანზე ჩამოვაგდეთ ბაასი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი მკურნალი

დღეს თხუთმეტია აპრილისა. თხუთმეტი დღე-ღა დარჩა, თხუთმეტი! მერე მაისი... ოხ, რა ცოტა დრო-ღა დარჩა!... თხუთმეტი დღე-ღა უძევს წინ. მერე კი... „თუ ნიცაში არ წახვედი, მაისს ველარ დაესწრებიო“. ხომ ასე უთხრა შალვას მკურნალმა?!... და, აი, ეს წყეული სიტყვები მოსვენებას აღარ აძლევენ. მაგრად, მაგრად ჩაჰსმიან თავში შალვას და ნელა, ნელ-ნელა ტვინს უღრღნიან. გულის სიღრმემდისაც სწვდება ეს ღრღნა. იქაც სიმწვავით ულიზინებენ, საშინელის სიმწვავით! ახ, რა ძნელია!... დღე-მუდამ ეს ერთი წინადადება უჩუჩუნებს თავში. თითქო ამის მეტს ადგილი აღარასა აქვსო. ეს მესამე თვეა, რაც მკურნალმა უთხრა და მას შემდეგ, ჯერ მესამე დღე, დღე კი არა, მესამე წამი არ გასულა, რომ ამ სიტყვების ადგილი სხვა სიტყვებს დაეჭიროს...

„თუ ნიცაში არ წახვედი, მაისს ველარ დაესწრები“. ცოცხლად ჰხედავს მკურნალს, და ეს წყეული სიტყვები ყურში ნელა ეწვეთებიან. მაშინვე ელდა ეცა. არსება მოუშხამა, და მოშხამულის არსებით ნიცას მაგივრად თავის სოფლისკენ, თავის დედისკენ, მოხუცებულ დედისკენ გამოეშურა. ხმის ამოუღებლივ მოსვლის უმალ სარკმლის გვერდით ლოგინი გაიშალა და...

„თუ ნიცაში არ წახვედი, მაისს ველარ დაესწრები!...“ ეწვეთეთ, ეწვეთეთ!... მშვენივრად მოქმედობს თქვენი ძალა: ყოველ დღე სიცოცხლე აკლდება. რა იყო წინად, ამ სამი თვის წინად, ვიდრემდის წვეთობლივ დაიწყებდა თქვენი შხამის მილებას?!...

მაშინ კიდევაც დადიოდა, ფერიც კარჰქონდა; მხიარულობდა კიდევაც...

ეხლა?...

ჩამომხმარი, ტანში ჩარჩეული-ღაა საბანში გახვეული. მორღვეული, მუდამ ნალველით სავსე თვალები და ოდნავი სუნთქვა-ღა ამხილებენ, რომ კიდევ ცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხალია, თორემ სხვა არაფერი. ხომ მოძ-
რაობა, სიმხიარულე მაშინვე მოესპო?...
ხომ ლაპარაკის თავიც აღარა აქვს და
მოხუცებულ დედის კითხვებსა და ქვი-
თინზე ხომ მარტო თვალის მოხუჭვით
უპასუხებს ხოლმე?!... აგერ, ეხლაც დე-
და ოდნავ ქვითინებს, ცდილობს ქვითინი
შეიმაგროს და თავის შალვას, ერთად-
ერთ ნუგეშს არ გააგონოს, მაგრამ რა
დედის გულმა მოითმინოს და არ იქვი
თინოს, როდესაც ერთად-ერთი შვილი
იმის თვალის წინ სანთელივით დნებოდეს,
და მთლად დადნობას ყოველ დღე მოე-
ლოდეს?!...

ეყურება შალვას დედის ქვითინი. გულს
უკლავს, ისეც მომაკვდავს. უნდა უთხრას:
„დედი, ნუ სტირი! მე არ მოვკვდებიო“.
მაგრამ როგორ უთხრას, როდესაც ის
წყეული სიტყვები ტვინს ულრღნიან; რო-
დესაც სწამს, რომ მაისს ვერ დაესწრობა,
და მაისამდის ხომ სულ თხუთმეტი დღე-
ლაა?!... ჩვეულებისამებრ ყურებზე მოი-
ხვია საბანი. არ უნდა დედის ქვითინი
გაიგონოს. თვალებს კი სარკმელს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშორებს. დღე-მუდამ ასე იყურება გარედ, განთიადიდან დალამებამდის. რაც კი მის სარკმლის ახლო ცვლილება ხდება ბუნებაში, ყოველივეს თვალყურს ადევნებს. არა გამოჰპარვია-რა. ბუზიც კი არ გაფრენილა მის სარკმელთან, რომ შეუმჩნეველი დარჩენოდეს...

გაშტერებული უმზერს ეხლაც შალვა სარკმლის ახლო მცენარეობას, ადგილს. ახ, დღითი-დღე რა ცვლილება ეტყობა არე-მარეს!.. რასაც კი აქნობამდის სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა, ეხლა მოძრაობაში მოსულა...

„შვილო, თბილა! გარედ გადი, გაიარე.—მორიდებით დასჩურჩულებს თვალცრემლიანი დედა, მაგრამ შალვას არ ეყურება.

ის თითონაც ჰგრძნობს სითბოს. ჰხედავს, როგორ ეალერსებიან მზის სხივები ახლად გადაშლილ ხეებს, ველებს, როგორ ჭყუპალობენ იქავე ახლოს მოჩუხჩუხე წყალში; ჰხედავს, ამ ნაზ სხივებს როგორ გამოუწვევიათ ყველა სულდგმული გარედ სანავარდოდ, საალერსოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგერ, ბელურეებს რა ყოფა აქვთ ხეებზე, როგორ ნაზად არხევენ ფრთებს; შრომანიც სარკმლის ახლო დამჯდარა, აუღია თავი მაღლა და გატაცებით, დაუსვენებლივ ჯიღჯიღობს ნისკარტის კაპუნით, თანაც ფრთების რხევას აყოლებს და დრო-გამოშვებით ბუქნავს; აგერ მერცხლებიც წყვილ-წყვილად როგორ ელვასავით სარკმლის ახლო გასრიალდებიან, „ჭყავ!“—დასჭყივლებენ ერთმანეთს და შორს, შორს, სადღაც იკარგებიან; ჭიაღუა?.. მუმლი?.. ამათ ვილა ადევნებს თვალ-ყურს!.. უხარიან, ყველას უხარიან სიცოცხლე, ყველას! ყველა...

„შენ?..—ეჩურჩულება იდუმალი ხმა: „შენ კი სჭკნები... შენ ხომ მაისს...“

„ეეეხ!..“—ამოსკდა გულის სიღრმიდან, და გულ ჩათუთქულმა თვალები მოხუჭა. „ბზუუ“—მოესმა შალვას ბზუილი და ამასთან ერთად სარკმლის მინაზე ფრატუნი. გაახილა თვალები და დაინახა, როგორ ბზუილით დიდი, ბანჯღვლიანი ბუზი, რომელიც გუშინ, გუშინ-წინ, ამის წინადაც სარკმლის კუთხეში ეგდო გაციე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული, უსულოდ, იბრძვის გარედ გასასვლელად...

„შენ კი გარედ გასვლას ველარ ელირსები!..“— წაჰჩურჩულა კიდევ იმავე იდუმალმა ხმამ.

პასუხად შალვა სიმწარით გაიკლაკნა ტანში და გვერდი იცვალა.

იმის მორღვეულ, მოელვარე თვალებს დედის ცრემლიანი თვალები შეჰხვდა. ბუზი კი ბზუოდა, ბზუოდა და ხან ერთ სარკმლის მინას დაარტყამდა თავს და ხან კიდევ მეორეს.

— დედი!..—მიმქრალის ხმით მიჰმართა დედას.

— რა გინდა, გენაცვალოს დედა, შვილო?!.—ნიავსავით წამოდგა და მიუახლოვდა.

— ეს ბუზი...

— ჰო, შვილო!..

— გუშინ მკვდარი იყო და ღღეს კი, ვერ ჰხედავ, როგორ...

— სითბომ გამოაცოცხლა და ეხლა გარედ მიიბრძვის.

— ვიცი, ვიცი!.. რატომ მე კი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენც კარგად გაჰხდები...

— ეეეჰ!..—სახე მოელმიჭა, და თვალები მოეხუჭა.

— მე მაისს ველარ დავესწრები!...

— რად ამბობ მაგას, გენაცვალოს დედა, და...—ველარ დაათავა. გული ყელში მოებჯინა, და ქვითინი მორთო.

ბუზი კი ისევ ბზუოდა და სარკმლის მინებს ეფრატუნებოდა...

— დედი!...

— აქ ვარ, შვილო!..

— ეგ ბუზი...

— რა გაგიხდა ეგ ბუზი?!. აი!..—გაჯავრებულმა წამოიძახა და გადაეწოდა მოსაკლავად.

— არ მოჰკლა, არა, არა!..—წამოიწია ლოგინიდან და ხელი დაუჭირა.

— არ მოჰკლა, დედი!.. — შეევედრა შალვა დედას, რომელსაც უკვე ხელში უფართხალებდა ბუზი.

— არ მოვკლავ, შვილო, არა!.. დამშვიდდი!..

— გაანთავისუფლე, გარედ გაუშვი!—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლივას წარმოსთქვა აღელვებულმა და მოქანცული ბალიშზედ მიესვენა....

— წაიყვა!..—განუმეორა თხოვნა და თვალები მოხუჭა...

— სსს!..—ხელი აიღო და გარედან შემობრუნებული დედა ოთახის შუა შეაყენა.

— შვილო...

— მოიცა, მოიცა, დედი!... არ გეყურება სამცხენას ზარების წკარუნი?!..

— არა!.. უთუოდ ყურები გიბჟუის.

— აგერ, აგერ!.. თანდათან ახლოვდება...

— მართლა. ეხლა კი შემომესმა... უთუოდ მკურნალი იქნება. ყვავილი საშინლად მძვინვარებს. მამასახლისმა ამას წინად აცნობა, და აბა სამცხენით მეტი ვინ მოვა?!.

— მკურნალი!... — გაგრძელებით წამოიძახა შალვამ, და სახე მთლად დაელმიჭა.

— შვილო, ვთხოვ, რომ გნახოს!...

ამ სიტყვებზედ უარესად მოელმიჭა სახე და პირისახე საბნით წაიჩულა, რომ დედის სიტყვები აღარ გაეგონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა მიჰხვდა, რის ნიშანიც იყო საბნის წახურვა და ამისთვის ხმის ამოუღებლივ გულ-ხელ დაკრეფილმა მზერა დაუწყო. საწყალს თან ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა.

ზარების წკარა-წკური თანდათან ახლოვდებოდა, და უეცრივ ეზოდან შემოესმა მეეტლის ხმა „ტპუუ"-ო.

შალვას დედა მაშინვე გარედ გავიდა.— ღმერთო, ნუ თუ ის მოვიდა?...—ღმობიერად წამოიძახა, როდესაც ეტლიდან ჩამომხდარ ქალს თვალი შეასწრო, და მაშინვე მისაგებებლად გაქანდა...

— თქვენ...

— გატყობთ, შალვას დედა ბრძანდებით!.... —სიტყვა აღარ დაათავებინა ახლად მოსულმა, და მაშინვე გადაეხვია.

— მე მეგონა ჩემ წერილს არ მიიღებდი, შვილო, რას მოვიფიქრებდი, რომ წამოხვიდოდი.

— დედი, შალვა როგორ არის?...

— შენი მტერი და დუშმანი იყოს, შვილო, ისე, როგორც შალვა არის!...— ტირილით უპასუხა და გულში ჩაიკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პირზედ საბანი რად წაუხურავს?..— დაეკითხა ახლად მოსული, როდესაც ოთახში შევიდნენ და საბან-წახურული შალვა დაინახა.

— ეგრე იცის, შვილო!.. წაიხურავს საბანს და, ქვეყანაც რომ დაინგრეს, მაშინაც ვერას გაიგებს, ისე გაერთობა ხოლმე ფიქრებში.

— ხომ არა სძინავს?

— არა!..

— მაშ შეიძლება საბანი გადავხადო?!...

— სწყინს, როდესაც მე გადავხდი ხოლმე და შენგან კი, არ ვიცი, იწყენს თუ არა.

— საბანს ნუ მხდი, რა გინდა?—წყრომით წამოიძახა და თვალებ-მოხუჭული სარკმლისკენ გადაბრუნდა.

— შალვა!..

— ჰა?...შენ?!. ელიკო!... ელიკო!...— ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაიძახდა შალვა და თან გულში იკრავდა ელიკოს.

— ოხ, ჩემო გარგო, მაპატივე, მაპატივე!...—მე... მე... ვსცდე....ბოდი!.. — ძლივს დაათავა შალვამ სიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვა და ლონე-მიხდილი ბალიშზედ მიესვენა.

— გენაცვა შალვა, რადროს პატივების თხოვნაა?!.. განა ჩემი აქ მოსვლა იმის თავდები არ არის, რომ არ გემდურვი?!....

— ახ, შენთან რა დამნაშავე ვარ!... ელიკო, სირცხვილით შემოხედვასაც ვეღარა ვბედავ!..— გულამოსკვნით წამოიძახა, და ცრემლები მისდა უნებურად გადმოსცვივდა.

— მაგისთვის რადა სწუხარ, შალვა?!.., ბედნიერად ჩავთვლი ჩემ თავს, თუ ეხლა მაინც დარწმუნებული ხარ, რომ შენ, მხოლოდ შენ მიყვარხარ. ხომ ეს იყო მიზეზი შენი უკანასკნელი წერილისა, რომლითაც უარი გამომიცხადე?..

— ელიკო!.. ელიკო!.. ნეტავ არ მოსულიყავ!— ტანმა ჩხვლეტა დაუწყო, გველივთ გაიხლაკნა და მაგრად, მაგრად თვალებზედ ხელი მიიფარა.

— როგორ, შენი ავადმყოფობა შემეტყო და არ მოვსულიყავ?!...

— ვინ შეგატყობინა?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვისაც უნდა შეეტყობინებინა, ეგ ხომ სულერთია!..

ელიკოს პასუხზე შალვას დედა გატრიალდა და ფეხ-აკრეფით გარედ გავიდა.

— დედამ ხომ არ მოგწერა?..

— დედამ ხომ არა იცოდა-რა და, აბა, როგორ მომწერდა?!.. ამას თავი დავანებოთ და ის მითხარი: ეჭვი ხომ ალარა შემოგაქვს-რა?—ჰკითხა ელიკომ და შუბლზედ აკოცა.

— ელიკო, ნუ მეკარები!..

— ვითომ რატომაო?

— მე ჭლექით ავადა ვარ და შენც არ გადაგედოს.

— ხა, ხა, ხა, ხა... ეგ მე კარგად ვიცი, გადამედება თუ არა!—გულიანის კასკასით უთხრა და უფრო მოეხვია.

— ელიკო, მე არ გეხუმრები!.. მე...

— გაჩუმდი, გაჩუმდი, თორემ, აი!... აი!... აი!...—„აი, აი“-ს გაიძახდა ელიკო და თან შალვას ტუჩებს ეკონებოდა.

შალვაც ველარ ეწინააღმდეგა. ელიკო გაშმაგებით ჰკოცნიდა და ის კი ამ დროს უსიტყვოდ ჰკიცხავდა, რომ ელიკოს, ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგელოზს ხელი ჰკრა და შეურაცხყოფა მიაყენა.

— ჰა!.. ჰა!.. ჰა!.. ვაიმე, ჭლექი გადამედო!...—დალონებულმა სამჯერ ოდნავ ძალად ჩაახველა და გულზედ ხელი დაიდო.

— ელიკო, ნუ მასხაროობ!..—ღიმილით უთხრა და ხელი ხელზედ მაგრად მოუჭირა.

— მაგრად, მაგრად მომიჭირე ხელი!...

— მეტი ღონე აღარა მაქვს!...

— „მეტი ღონე აღარა მაქვს!...“— დააჯავრა ელიკომ და ხელი თითონ მოუჭირა.

„ელიკოს ღირსი არ ვიყავ, და ღმერთმაც არ მომცა!“—მწარედ გაურბინეს თავში ამ სიტყვებმა, და ელიკოს ცრემლით სავსე თვალებით ლმობიერად შეჰხედა.

— შალვა, რა მოგივიდა?!

— არაფერი!—უპასუხა, და ცრემლები ლოყებზე გადმოუგორდნენ.

— ჩემო შალვა!..

— დღეს აპრილის თხუთმეტია!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე? — განცვიფრებით დაეკითხა ელიკო და ცრემლები მოსწმინდა.

— მაისს ველარ დავესწრები.

— ვინ გიწინასწარმეტყველა?..

— მკურნალმა!..

— ხა-ხა-ხა!... — გადიკასკასა და შემდეგ უეცრივ მოიღრუბლა და ისე დაიწყო: — მაისის პირველისთვის შავების ჩაცმა მომინდება. ტირილით და თავში ცემით საფლავამდის მიგაცილებ და...

— ელიკო მასხარად მიგდებ, თუ რა არის?!...

— მასხარად კი არა და, შალვა, იცი რა გითხრა, მე პური მომშივდა და ცოტა რამე შევჭამოთ, შენც ხომ მოგშივდა?...

— მე კი არა მინდა-რა და შენ კი ეხლავე ჭამე რამ. აი დედა შემოვა და მოგვიტანს.

— მინდა შენთან ლოგინში ვჭამო რამ და შენც, რასაკვირველია, ერთ ლუკმას მაინც აიღებ.

შალვას დედამ საჩქაროდ მიუტანა ელიკოს და შალვას რაც კი რამ ებადა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიხარულით შესცქეროდა იმათ. უხაროდა, რომ ელიკო, როგორც მტრედი თავის ხუნდს, ისე აძლევდა შალვას საჭმელს.

— ნეტავ ეს თხუთმეტი დღე თხუთმეტ წელიწადად მაინც გარდაიქცეს!.. — წამოიძახა შალვამ, როდესაც ჭამა გაათავეს, და ელიკოს ხელი დაუჭირა.

— შალვა, რა მშვენიერი სოფელი ყოფილა ეს სოფელი! ხომ აქაურ მცხოვრებად ითვლები?...

— ჰო, აქაური ვარ!

— ჩემთვის არას დროს არ გითქვამს ეგ.—ალერსით უთხრა, თავისი თითები შალვას თმაში გახვია და ოდნავ, ოდნავ თითებს არხევდა და თავის კანს ეხებოდა.

შალვას ესიამოვნა, ესიამოვნა ძლიერ და განძრევისა ეშინოდა, რომ ელიკოს თითების ცაცუნი არ შეეყენებინა.

ელიკო მიუხვდა სიამოვნებას და დიდ ხანს, დიდ ხანს არხევდა თითებს, ვიდრე შალვას ამ სიამოვნებაში არ ჩაეძინა.

— შენ კი გენაცვალოს დედა, შვილო!.. —დაბალის ხმით წამოიძახა და ელიკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში ჩაიკრა, როდესაც ის მძინარე შალვას მოჰშორდა.

— რამდენი ხანია ძილი არ მიჰკარებია მაგის თვალს!.. — განაგრძო შალვას დედამ ისევ დაბალის ხმით: — და ეხლა შენის წყალობით, აგერ, როგორა სძინავს ..

— არა უშავს-რა, დედი, შალვა ჩქარა ლოგინიდანაც ადგება.

— შენს პირს შაქარი, შვილო! დღე და ღამ სულ ბორგავდა, უაზროდ მაისს გაიძახის და...

— დედი, ჩვენ ეგ მაისი როგორმე უნდა დავავიწყოთ.

— შენა, შვილო, შენ თუ დაავიწყებ, თორემ მე ვერა მომიხერხებია-რა! — თვალ-ცრემლიანმა წამოიძახა და აღგზნებულად ელიკო ისევ გულში ჩაიკრა...

* * *

გათბა, გათბა დედამიწა. საღამოს სიომ წამოჰბერა და გაღებულ სარკმლიდან შემოუთამაშა იქავე სარკმელთან მწოლარე შალვას, რომლისათვისაც ელიკოს ხელი თავზედ დაედო და ისიც შალვასავით გარედ გაიცქირებოდა ელიკოს თვალები

უბრწყინავდნენ, ტუჩები სიამოვნებით ელიმებოდნენ. შალვა კი უეცრივ მოიღრუბლა. ის წყეული სიტყვები კიდევ ჩაეწვეთნენ ყურში. „მაისს ვერ დაესწრებიო“... შემოესმა, და ტანი შეერყა....

— ნაუუ!..—გაისმა დიდი ზარის ხმა სამრეკლოდან და შორს, შორს ჰაერში გაიფანტა. შალვა გამოაფხნზლა ზარის ხმამ და ელიკოს დაეკითხა:

— ხვალ რაობაა, რომ ზარი დარეკეს?!

— ხვალ?... ხვალ?...—გახარებული წამოხტა ელიკო და პირ და პირ დაუდგა...

— ელიკო, რატომ მაგრე მიცქერი?...

— შალვა, გენაცვა, იცი ხვალ რა დღე არის?!.—ტაშის შემოკვრით წამოიძახა და შემოეხვია...

— ელიკო, ვერა გამიგია-რა?!.

— ხვალ შიო მღვიმელის მიცვალების დღეა!...—მედიდურად წამოიძახა და თავის-გაქნევით თმები შეარხია.

— როგორ?... სტყუი, ელიკო!... ხვალ მაისის ცხრაა!

— დიაღ, ბატონო, ხვალ მაისის ცხრაა.— ზარის რეკვას კი უფრო მოუხშირეს და მოუხშირეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტყუილია, ტყუილი! — წამოიძახა შალვამა და ლოგინიდან ჩამოვიდა.

— თუ არა გჯერა, ეკლესიაში წავიდეთ.

— წავიდეთ!

«ლირსო მამაო შიო...» — შემოესმა ეს სიტყვები მეფსალმუნესი, როდესაც ეკკლესიაში შევიდნენ, და შალვა ყურს არ უჯერებდა. კარებში შეჩერდა და დიდ ხანს გაშტერებული იდგა და ადგილიდან ალარ იძვროდა.

«ლირსო, მამაო შიო...» — შემოესმა კვლავ მეფსალმუნეს ხმა...

— ღმერთო!.. მაშ მე მაისშიაც ცოცხალი ვარ? — თვალებზედ ხელი მიიფარა და ქვითინი მორთო. ელიკო კი სიამოვნებით შესცქეროდა მოქვითინე შალვას და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ შეცდომითი რწმენის მსხვერპლი არ შეიქმნა შალვა.

— მე ალარ მოვკვდები, ჩემო მკურნალო! — მოურიდებლივ გადაეხვია ელიკოს კარიბჭეში და იმისი მკერდი ცრემლით დაალბო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი უ დ ა

(საღდგომო ეტიუდი)

I

— .... მომგვარეთ კაცი ესე, ვითარცა გარდამაქცეველი ერისა. მეც განვიკითხე, მაგრამ, როგორც თქვენ თითონ ჰნახეთ, ბრალი ვერა ვპოვე-რა. ეს არას დროს არა ყოფილა გარდამაქცეველი ერისა. სრულებით უბრალოა. ოროდმაც, რომელსაც ვაახელ, ვერა ჰპოვა-რა. ამისათვის ვაკმარებ, რაც სასჯელი მივაყენეთ და განვათავისუფლებ. — მაღალის ხმით ეუბნებოდა პილატე ბრბოს და დრო გამოშვებით გადაჰხედავდა ხოლმე იესოს, რომელიც მის წინ ღრმად ჩაფიქრებული, ფერ-მიხდილი ეკლის გვირგვინით იდგა და, თითქოს მის სიკვდილ-სიცოცხლეზედ არ იყოს ცილობა, არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. იგი დაღვრემილის თვალებით ძირს ჩაიცქირებოდა და ეევედრებოდა უფალსა, რომ ბრბოსთვის მიეტევებინა ეს საქციელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრბო კი მღვდელთ-მთავრებისაგან წაქეზებული ჰყვიროდა პილატეს საპასუხოდ:

— ეგ მაცდურია!... ხალხს ჰრყვნის!... კეისრის წინალმდეგია!...

— გაიგონეთ, ეს უბრალოა და ყოველივე თქვენი ნაამბობი ცილის წამება!...

— როგორცა ვხედავთ, შენც კეისრის წინალმდეგი ჰყოფილხარ, რომ მაგ მეამბოხის, ტახტის მაძიებელის განთავისუფლება მოგისურვებია!...—წამოიძახეს აქაიქ ბრბოდან მღვდელთა და მღვდელმთავართა, რაც ბრბომ აიტაცა და ერთ ხმად იგრიალა:

— ჰაა, შენც კეისრის წინალმდეგი ჰყოფილხარ!..

პილატე შეკრთა, არ მოელოდა, რომ ამგვარ ცილს თვით მასაც შესწამებდენ. „ეს ბრბო—გაიფიქრა შეშინებულმა უნებურად—არავითარ საშუალებას არ დაერიდება, რომ ნიშანში ამოღებული კაცი დაამხოს და, შესაძლებელია, მეც თან მიმაყოლოსო.“ ამისათვის სასოწარკვეთილმა თავი ძირს დახარა და იესოს განთავისუფლების იმედი დაჰკარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხალხნო!—უეცრივ თავი მაღლა აიღო ცოტახნის წუხილის შემდეგ პილატემ და გაბრწყინვების სახით ხალხს მიჰმართა: დღესასწაული მოახლოვებულია. მამა-პაპათ ჩვეულება თხოულობს სადღესასწაულოდ ერთ-ერთ პყროობილის განთავისუფლებას. ხომ იცით, ამჟამად შეპყროობილია ბარაბა, ავაზაკი, კაცი-კალია. იმის სახელს სულ რამდენიმე დღის წინად შიშით და ძრწოლით ახსენებდით. ის არ ინდობდა არც კაცს, არც ქალს და უსუსურ ბავშვებსაც კი. რომელი გნებავთ განვათავისუფლო: ბარაბა თუ ეს უბრალო კაცი?

— ბარაბა, ბარაბა მოგვიტევე ჩვენ..— ილრიარა ბრბომ, და ეს ხმა შორს, შორს გაისმა...

— ვინ?.. ბარაბა?.. ჩაფიქრდით, ვის განთავისუფლებას თხოულობდით?..—თავზარ დაცემული პილატე ეკითხებოდა ბრბოს. მაგრამ დაბრმავებული ბრბო მაინც თავისას გაიძახოდა.

— ბარაბა, ბარაბა მოგვიტევე ჩვენ!...

— მაშ რა ვუყო ამ კაცს, რომელსაც

„მეფე ურიათა“-ს უწოდებთ?...—განრისხებული პილატე დაეკითხა ბრბოს.

— ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი ეგე!..

პილატე მოიშალა, მოდუნდა და წყალი მოითხოვა.

— მე უბრალო ვარ და ამ კაცის სისხლი მე ნუ მომეთხოვების!..—გადიბანა ხელები და შემდეგ იესოს შოლტი გადაჰკრა იმის ნიშნად, რომ უკვე ყოველივე გათავებული იყო, და იესო შეეძლოთ წაეყვანათ ჯვარსაცმელად*).

-- ჩვენ თავს და ჩვენ შთამომავლობას მოეთხოვოს მაგისი სისხლი!...—აღტაცებით შესძახა ბრბომ და იესოს გარს შემოეხვია, რომ კაიაფთან**) ცემა-ტყეპით წაეყვანა.

— ხა, ხა, ხა, ხა!..—გვერდიდგან მოესმა იესოს გულის სილრმიდგან ამონახეთქი შხამით და გესლით გაჟღენთილი ყრუ ხარხარი, როდესაც პილატემ ბრბოს თხოვნისამებრ ჯვარ-ცმა მიუსაჯა.

---

* მთლად ეს ამბავი თითქმის სიტყვა სიტყვით მოყვანილია სახარებიდან: იხილე სახ. მათ. XXVII; მარკ. XV; ლუკ. XXIII; იოან. XIX.

**) კაიაფი უფროსი მღვდელთ-მთავარი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იესომ იცნო ეს ხმა, და ცემა-გვემას, დამცირებას ისე არ უმოქმედნია, როგორც ამ ხარხარმა იმოქმედა...

გული დაეკოდა და ლმობიერად გაიხედა იქით, საიდგანაც ხარხარი შემოესმა.

წყვილი მოელვარე თვალი, რომელშიაც გამარჯვებული გულის სიღრძო იხატებოდა დაჰხვდა იესოს თვალებს...

— მაცდურო, ეხლა-ღა იხსენ თავი შენი!.. — ისარივით სტყორცნა იესოს ეს სიტყვები მოელვარე თვალების პატრონმა და, თითქოს ემალება ვისმეო, გვერდით მდგომთ ეფარებოდა და ძირიდგან გამოაკვესებდა თვალებს...

იესომ არ მოარიდა თვალი. თვალი თვალში გაუყარა და უნდოდა ეთქვა რამ, მაგრამ სიტყვის მაგივრად თავი ოდნავ ჩაიქნივა და წყვილი ცრემლი ქუთუთოებზედ გამოეკიდა და ფერ-მიხდილ ღაწვებზედ ჩამოსაგორებლად კრთომა დაიწყო.

— ხااا!... — მოპირდაპირე კი უფრო მოიხარა, გველსავით თვალები შეაკვესა და უნდოდა გამარჯვების ხარხარი მიეხალა იესოს ცრემლებისათვის, პირიც დააღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მხოლოდ ყრუდ „ხა�ა“-ლა ამოჰხდა, რადგანაც ვერ გაუძლო იესოს თვალებს, და ხარხარი შუაზე გაუწყდა. საჩქაროდ რიდე ჩამოიფარა და გატრიალდა.

II

— ფუი, საზიზღარი, როგორ შემომაშტერდა?!. როგორ მეც შევკრთი?!. ხა, ხა, ხა!... ბავშვივით კი გამაჩუმა და გამომაბრუნა. სწორედ მომჯადოვებელია, მომჯადოვებელი.. პილატეც როგორ მოუჯადოებია!.. რანაირად სცდილობდა იმის განთავისუფლებას... ისაც, ისაც ეგრე მოაჯადოვა... ისაც... ოხ, მარიამ, მარიამ!.. ისე როგორ მოგაჯადოვა მაგ მაცდურმა, რომ... რომ... მაგრამ, ზოგი ეხლა მოაჯადოვოს, როდესაც ჯვარს აცვამენ... მარიამ, მაშინ ხომ დარწმუნდები, რომ ეგ საზიზღარი მატყუარა იყო, რომ... ოხ, რანაირად მეშინოდა, როცა პილატე განთავისუფლებას სცდილობდა... რო გაენ თავუსუფლებინა?!.. არა, ეგ შეუძლებელი იყო!.. თვით ძალნი ცისანიც რომ ჩამოსულიყვნენ მაგის დასახსნელად კაიაფს ბრჭყალებიდან ვერ გამოჰგლეჯდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ უნდა მოჰკვდე და მოკვდები კიდევაც...—ასე მიბუტბუტებდა რიდე ჩამოფარებული და თან ბრბოს მიარღვევდა, რომ ნაპირას გასულიყო.

ბრბო კი ყვიროდა, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ყველა სცდილობდა, ეკლის გვირგვინით შემოსილ იესოს მიახლოყებოდა, რომ რაიმე შეურაცყოფა მიეყენებინა და შეურაცყოფის დროს, რაც შეიძლება ჭკუა-მახვილობა გამოეჩინა, რომ ბრბო გაეცინებინა. იესო კი ძალა მიხდილი, ხმის ამოუღებლივ მისდევდა შეიარაღებული ლეგიონთ, რომელთაც გზა ტაძრისკენ ეჭირათ, სადაც კაიაფი და სხვა მღვდელთ-მთავრები შემოსილები ელოდნენ იესოს...

ბრბომ რამდენჯერმე შეაყენა ლეგიონები. ქუჩა, ამ ქუჩის-პირა სახლების ბანები, სარკმლები მთლად მოკირწყლული იყო დიდით და პატარით, ქალით და კაცით. ლეგიონები იძულებულნი შეიქმნენ წათებისთვის მიემართნათ და იმათ საშუალებით გაეპოთ ბრბო, რომ ცოტათი მაინც ფეხი აეჩქარებინათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვის ვემალები? რა მაქვს მოსარიდებელი, რომ რიდე ჩამოფარებული ვსდგევარ?! — ამაყად წარმოსთქვა რიდე ჩამოფარებულმა, როდესაც ბრბოს განაპირას გავიდა და თავისუფალ ადგილიდან მზერა დაუწყო ამ საოცარ ბრბოს მსვლელობას. ამ სიტყვებთან ერთად რიდე მოიგლიჯა და შორს გადასტყორცნა...

— ეს იუდაა, იესოს მოწაფე, რომელმაც მასწავლებელი გაყიდა და ეხლა, ვერა ხედავ, როგორ ურიცხვად სტკბება იმის ტანჯვით! — ანიშნა ერთმა ჭაბუკმა მეორეს და ხალხში შეერია.

მეორე ჭაბუკი კი შეფერხდა და დაამტერდა. იუდამ ვერ შეუძლო ამ ჭაბუკის მზერას. სახე დაეღრიჯა და პირი უკულმა წაიღო. ჭაბუკმა კი ზიზღით მიაფურთხა და გვერდით ჩაუარა.

გულს ლახვარი მოჰხვდა, როდესაც პირველმა ჭაბუკმა ანიშნა ამაზედ მეორეს, და მეორეს მიფურთხებამ ხომ გული სულ გაუპო.

— ამან ოც და ათ ვერცხლად გაჰყიდა თავის მასწავლებელი. — ახლა სხვებმა წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოილაპარაკეს და ცხვირ წინ ჩაუარეს...

— ოც და ათ ვერცხლად!... ვინ გამოამჟღავნა ეს?! — წაილუღლუღა და საჩქაროდ განშორდა ამ ქუჩას.

რაკი რიდე ველარ იპოვა, თავი ღართით მოიბურა და თითქმის სირბილით გასწია მისახვევ-მოსახვევ ქუჩებით...

„... მღველ-მთავარნი უმადურნი არ იქმნებიან. ისინი გამიწევენ მფარველობას და ხმას გააწყვეტინებენ ბრბოს... უმადურნი! იესოს სიკვდილი უხარიანთ და თან კიდევ მე მიკიჟინებენ, მკიცხავენ. მე მივანიჭე ეგ სიხარული და მევე კი მაფურთხებენ!... — მილაპარაკობდა იუდა გზა და გზა და ღართით თავს უფრო და უფრო იბურავდა.

ჩქარა გაირბინა ქუჩები. თითქმის არც კი ვინმე შეჰხვედრია გზაში. ტაძართან მივიდა თუ არა, მაშინვე დიდ დარბაზში შევიდა.

ლურჯად შეღებილი და ოქროს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა-დაქნილი, რომელიც სამოც და ათ წმინდა პორფირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროთივე მოვარაყებულ სვეტებს ენაბრებოდა, ოქროსივე ლამპრები, კანდელები და ჭაღები, ოქროს ქსოვილებით შემოსილი მღვდელთ-მთავარნი და მღვდლები პირველ შესვლაზედ ადამიანს თვალებს უბლატებდა. იუდასაც ეს დაემართა, ის ცოტა ხანს შესდგი კარებში და, თვალი რომ შეაჩვია, წარსდგა კაიაფის წინაშე.

— ამბავი, იუდავ?!—დაეკითხა კაიაფი იუდას, რომელსაც სირბილისაგან გულამომჯდარს სუნთქვა თავის დონეზედ არ დასდგომოდა.

— მშვიდობა!... პილატემ იესოს ჯვარცმა მიუსაჯა და ეხლა აქეთ მოჰყავთ.

— ეგ ჩვენც ვიცით.,. ხომ გახარებს, იუდავ, ეს ამბავი?

— მახარებს, მაგრამ...

— რა უყო?...

— მე... ხალხი გამცემს მეძახის...

— ხომ არა სტყუის?...

— ოც და ათ ვერცხლად გაჰყიდა თავის მასწავლებელი, მიყვირის!...

— ეგაც ხომ მართალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზიზღით მაფურთხებს.... ურიდეოდ ვერ გავსულვარ გარედ...

— მერე „ჩვენ და რა?.“ *) ნუ ჩაიდენდი მაგ სამარცხვინო საქმეს და არავინ გიკიჟინებდა...

— რაო?! — დაიყვირა იუდამ და თვალები გააკვესა: — თქვენ მოვალენი ხართ...

— ჩვენ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ. ოც და ათი ვერცხლი ხომ სრულად მიიღე?... — სიტყვა გააწყვეტინა კაიაფმა და ზეზე წამოდგა.

— აი თქვენი ვერცხლი!.. — ზიზღით მიაყარა იუდამ ოცდა ათი ვერცხლი მღვდელ-მთავართ და კაიაფს, თითქოს საბრძოლვნლად იწევსო, ისე დაუწყო ცქერა.

— იუდავ!.. წადი!..

— მე ეხლავ წავალ პილატესთან და ვეტყვი, რომ თქვენ მართალი კაცის სისხლის დაღვრა გინდათ!

— გვიან-ღაა.

— მაგრე მიხდით, ბილწებო, მადლო-

*) სახ. მათ. XXVII, 4—5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას?!. თქვენ მაწანწალა-მატყუარა ხელთ მოქეცით და თქვენ კი... იმაზედ უარესი მაწანწალა-მასხარეები თქვენა ჰყოფილ-ხართ!..—შეჰყვირა იუდამ და გამოტ-რიალდა...

— საზიზღარო, შენთვისაც მოვიც-ლით!..—მიაძახა კაიაფმა და მძიმედ ქშენვა დაიწყო. სხვა მღვდლები კი ამდროს უკმა-ყოფილოდ თავებს იქნევდნენ.

III

უკანასკნელ წუთებამდის კიდევ იმედი ჰქონდათ მოწაფეებს. ეგონათ, იესო მიეცა მტრებს ხელთ, თავიც მიალურსმინა იმი-სთვის, რომ უეცარ თავის დახსნით ამ უკიდურესს ტანჯვისაგან შთაბეჭდილება ძლიერი იქნება და ამ განცვიფრების დროს მეფედ გამოცხადება ადვილად შესაძლე-ბელიაო. მაგრამ იესომ სული განუტევა. დაკრძალეს კიდევაც და ეხლა...

გათავდა ყოველისფერი. მოწაფეებს იმედი გაუცრუვდათ. დაიქსაქსნენ ყვე-ლანი. აღარა სწამდათ-რა ადამიანისა. როგორ წარმოიდგენდნენ, რომ ის, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც სამს წელიწადს მათთან სცხოვ-
რობდა და ამ სამის წლის განმავალო-
ბაში თითის გაქნევაშიაც კი სიცრუვე არ
შეუმჩნევიათ, მთელის თავის ძლიერებით
მოატყუებდა?!. რწმენა შეერყათ და პირ-
ველ ხანში მკვდრებსავით დადიოდნენ...
ამათ სასოწარკვეთილებას ის უბედურებაც
თავს დაატყდა, რომ მღვდელ-მთავართ
მათი შეპყრობის ბრძანება გასცეს. ისაც
ალარ შეეძლოთ ეხლა, რომ ერთად მო-
ეყარათ თავი და აეხსნათ ერთმანეთისთვის
ეს მოვლენა, თავიანთი აზრი ერთმანე-
თისთვის გაეზიარებინათ. ესენი იძულე-
ბულნი შეიქმნენ სათითაოდ სამალავები
მოენახათ. ზოგი, ვითა ნადირი ქალაქ
გარედ უდაბნოში იმალებოდა და ზოგი
კიდევ ქალაქში—ნაცნობებთან.

იოანე მოციქულიც ქალაქში მოჰყვა
და იმალებოდა ვინმე მარიამთან, მეტად
მშვენიერ და იესოს დიდად თაყვანის-მცე-
მელთან. ორნივე ერთად სტიროდნენ თა-
ვიანთ დაობლებას და ემდუროდნენ ცას.
მარიამის მამა კი ამშვიდებდა ორთავეს და
ანუგეშებდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა ღამისას მოვიდა ვინმე ჭაბუკი და უთხრა იქ მყოფთ, რომ კაიაფს იოანეს აქ ყოფნა გაუგია და შეიძლება ამის შესაპყროპლად ამაღამვე თავს დაგესხათო. ამისათვის, საჭიროა—დასძინა ჭაბუკმა—ეხლავე თავს უშველოსო.

ჭაბუკმა და მარიამის მამამ მაშინვე გაიყვანეს იოანე გარედ და დასამალავად სხვგან წაიყვანეს. მარიამმა კი კარი ჩაიკეტა და მამას ლოდინი დაუწყო.

— ეხლა კი დროა!—სიხარულით წამოიძახა ღართით მიბურულმა და კარი დააკაკუნა.

— ვინა ხარ?—დაეკითხა მარიამი შიგნიდან.

— მე ვარ, კარი გამიღე!...

— როგორ?! შენ?! აქ რამ მოგიყვანა, შე წყეულო?!

— მარიამ, მარიამ!... ნუ მწყევლ..., კარი გამიღე!.. მეც ხომ...

— წადი, წადი, შე გამცემო, შე მოღალატევ!...

— მარიამ, განა ვის ვუღალატე?... შენ ხომ არა! ის მაცდური იყო. ხომ ჰნახე

ეხლა, რომ მატყუარა იყო და შენის სიყვარულის ღირსი არ იყო. მარიამ... გამიღე კარი და დაწვრილებით გიამბობ. ყველამ მაფურთხოს, გამკიცხოს, ოღონდ შენ ნუ!..

— ოხ, საზიზღარო არსებავ!.. დაიღუპე, სახლს ნუ მიბილწავ!...

— მარიამ, ჩემს გრძნობას მაინც ნუ შეურაცხყოფ!

— წყეულიმც იყოს შენი გრძნობა და შენც მასთან!

— გააღე კარი, თორემ შემოვალ და შენთვის უფრო ცუდი იქმნება! — მრისხანედ შესძახა და კარებს ნჯღრევა დაუწყო.

— არ გაჰბედო, თორემ ფეხს შემოსდგამ თუ არა, მაშინვე მახვილით გულს გაგიპობ...

— ვნახოთ!..—წამოიყვირა და უფრო გამხეცებით დაუწყო კარებს ნჯღრევა.

— საზიზღარო!.. წყეულიმც იყოს შენი სახელი და ზიზღით იხსენიებდეს მას ყოველი ერი უკუნითი უკუნისამდე!..

— ააა!..—დაიღრიალა იუდამ გარედ და შორს გადახტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გინდა ეხლა შენ აქ; რაა?! — ლრიალებდა იუდა და თან გარბოდა, მარიამი კი განცვიფრდა და არ იცოდა რითი აეხსნა იუდას გაქცევა და ლრიალი.

IV

— ... მაცდურო, მატყუარო!.. შენ ხომ მოგკლეს, მოგკლეს, ჯვარს გაცვეს და ლოდით დაგკრძალეს?!. — შეუტია იესოს, როდესაც ის ნატანჯის სახით, ოდნავ თავის რხევით, თვალის ქუთუთოებზედ წყვილის ცრემლით შებინდებისას წინ გამოეცხადა...

მთელი დღე უდაბნოში წოწიალობდა. გაუფრთხოდა ყველას. ერთი ადგილიდან მეორე ადგილას მშველის სისწრაფათ გადადიოდა. შებინდებისას კი აპირობდა მარიამის სახლისკენ წასვლას, რომ იმის ახლოს მოესვენებინა თავისი ტანჯული სული. სწორედ ამ დროს გამოეცხადა იესო.

— ... სანამ ცოცხალი იყავ, შენი სახე ყველაფერში ხელს მიშლიდა, მიცარავდა და მოჰკვდი და ახლა სიკვდილის შემდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაც არ გინდა მომასვენო?!... ჰა?... ხომ გუშინ დაგკრძალეს?... ჰა?... მომშორდი, მომშორდი, შე წყეულო!—დაიღრიალა იუდამ და მახვილი იძრო...

— მომშორდი, თორემ მკვდარს ხელმეორედ მოგისპობ ამ მახვილით სიცოცხლეს.—შეუტია და რამდენიმე ნაბიჯი იესოსკენ წასდგა. იესო კი ისევ ისე შესცქეროდა, ისევ-ისე თავის რხევით, და წყვილი ცრემლი ისევ-ისე ღაწვებზედ ჩამოსაგორებლად უკრთოდა თვალის ქუთუთოებზედ.

ააახ, წყეულო!...—თვალები მაგრად მოხუჭა შეყვირებასთან ერთად და მახვილი პირდაპირ იესოსკენ სტყორცნა...

სალამოს მკრთალი ნათელი კი მთლად სიბნელით შეიცვალა და არე-მარე დაჰბურა...

— „იუდა, ამბორის ყოფითა მისცემა ძესა კაცისასა?!“ *)— ყურში ჩაეწვეთა იუდას ნაღვლით და ლმობიერებით სავსე ხმა იესოსი.

— ჰა?! ხა, ხა, ხა, ხა!—თვალებ და-

*) სახ. ლუკ. XXII, 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭყეტილმა მიიხედ-მოიხედა და, რაკი ვერავინ დაინახა, სიხარულით ხარხარი მოართო.

— „იუდავ, ამბორის ყოფითა მისცემა ძესა კაცისასა?!“ — შემოესმა ეხლა მეორე მხარიდან ისევ ის ლმობიერი, ნალვლით სავსე ხმა.

— ააა, მშიშარავ, მშიშარავ!... ჩემმა მახვილმა შეგაშინა და ახლა იდუმლად მებაასები. — ხარხარით წამოიძახა და მახვილის ასაღებად წავიდა, რომ მახვილის ტყორცნითვე მოესპო იდუმალი ხმაცი სე, როგორც იესოს სახე გააქრო...

— რა გინდა?! — დაიღრიალა საცოდავად იუდამ და უკან ისე გადმოტრიალდა, რომ კინალამ წაიქცა.

ერთი ფეხი წინ-წადგმული დარჩა, მეორე სალსარში საშინლად მოეხარა, ტანი კი უკან გადმოეზნიქა და ასე მუსტებ წინ წაწვდენილი მოელვარე თვალებით ხმის ამოუღებლივ შესცქეროდა იესოს, რომელიც ისევ ისე ლმობიერებით, ლრმა ნალველით, აღსავსე სახით უეცრივ იმისა და მახვილის შუა გაჩნდა.

დიდ ხანს არ უმზერია იუდას. ჩქარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირი უკუ იბრუნი და რაც ძალი და ლონე ჰქონდა მოჰკურცხლა.

სად გარბოდა იუდა?.. თითონაც არ იცოდა. ის ანგარიშ მიუცემლად გარბოდა და უკან მოხედვისა ეშინოდა. თუნდ სულ ასე ერბინა, ოღონდ ის კი ნულარ ეჩვენებოდა.

სამი დღე-ღამის უჭმელ-უსმელობით და უძილობით ჩამომხმარი იუდა აჩრდილსავით მიჰქროდა და ვიდრე, თავის და უნებურად გესთიმანის ბაღში არ შევარდა, არ შემდგარა. აქ ის მოეხვია ერთ ხეს. ხელები გარს შემოურკალა და მაგრად, მაგრად ეკვროდა ზედ. უნდოდა სახე, სახე კი არა, მთელის სხეულით შეერთებოდა ამ ხეს, რომ უკან მოხედვა აღარ შესძლებოდა, რადგანაც ის წყეული, ის მაცდური ეგონა უკან ედგა...

მაგრამ... ოხ! ხეს ეკვრის და ეგერ ხიდგანაც გამოიჭვრიტება ის... ის...

— ახ!..—სასოწარკვეთილებით ხმა აღმოჰხრა იუდას.

მუხლები მოუდუნდა, მოეკეცა და უგრძნობლად პირქვე დაემხო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „იუდა, რომელი გეგულების საქმედ, ჰყავ არდე.“ *)—გამოარკვია იუდა უგრძნობლობისგან ამ სიტყვებმა და აწმყოს დაუბრუნა.

— ვყავ ადრე და ისე ადრე, რომ ისე ადრე არცკი მოელოდი... შენ გინდოდა კიდევ... დედამიწიდგანაც ამოიჭვრიტები?! ააა?!... აქ კი ქვეშ მიძევხარ!... დაგგლეჯ, დაგფლეთ!... თუმცა მახვილი იქ დამრჩა, მაგრამ კბილით, ხელებით დაგხოკავ!.. მართლადაც იუდამ დედა-მიწას დაუწყო კბილებით და ხელებით ხოკვა და დიდხანს, დიდხანს ჩაჰბღუოდა.

— ჰეეე, ჩაგნთქე, თუ არა?!.

განშორდა მოჩვენება. იესო ჩანთქა. იუდა წამოდგა და წელში გაიმართა.

შავად ჩამომხმარი სახე, დასისხლიანებული პირი და ცეცხლის მფრქვეველი თვალები შესაზარ შეხედულობისას ჰხდიდნენ იუდას...

იუდა იდგა წელში ამართული და ჩაჟინებით სივრცეს გასცქეროდა...

— დედი, დედი, რად მიცქერი მაგრე

*) იოან. XIII, 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტიკად?!... განა შენცა მკიცხავ?! აჰ აჰ აჰ!..—ღართის კალთა უეცრივ აიფარა თვალებზედ და მუხლ-მოდრეკილმა მწარედ, მწარედ ქვითინი მორთო...

— შვილო, იწამე... ის ძე ღვთისაა! — გამოეხმაურა აჩრდილი.

— როგორ?!.. შენც მაგას იძახი?!... მაშ არა ჰყოფილხარ დედა-ჩემი, თუ მაგისთვის შეარყიე საფლავი, ისა სჯობია წახვიდე და მოასვენო შენი ძვლები. წადი, წადი!...—ფეხზედ წამოჭრით მიაძახა აჩრდილს და რამდენიმე ნაბიჯი წინ წარსდგა.

განქრა აჩრდილი. იუდამაც თავისუფლად ამოისუნთქა. ეგონა, ეხლა კი სულ გავიმარჯვეო, მაგრამ ამ დროს ხმა გაისმა: „აგერ იუდა სად იმალება. მასწავლებელი გასცა და ეხლა კი იმალება.

— მე ვიმალები?!... არა... არა! მე არ ვიმალები!... მე სხვა მოწაფეებს არ ვგევარ, რომ დავიმალო. მე აქ ვარ!..— შეჰღრიალა და წინ წარსდგა.

— სხვა მოწაფეებს სდევნიან და შენ კი, როგორც გამცემს, არ გეშინიან!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეე?...

— მაგრამ...

— რა, „მაგრამ“?

— შენც ჯვარს გაცვამენ!...

— ხა, ხა,ხა!. . მე ჯვარს მაცვამენ?! არა, არა და არა!...

ამ დროს უეცრივ შემოესმა ფეხის ხმა, რის გამოც ფოთოლსავით შეირყა და იქით გაიხედა, საიდანაც შრიალი მოესმა.

— იუდა, იუდა, ეხლა კი ველარსად დაიმალები!.. ხა, ხა, ხა!.. გეშინიან განა?!

— უცნაური ყიჟინი გაისმა იქიდანვე, და იუდამ იმ მხარესვე შორს, შორს, ხეებ შუა მოკრთალო ჩირაღდნების სინათლე შენიშნა.

— აღზდეგით ეხლა ჩემზედ?!... ჰა�ა, უმადურნო!... მაცდური მოგეცით ხელში, მოგაკვლევინეთ თქვენი მტერი და მადლობის მაგივრად მეც გინდათ ჯვარს მაცვათ?!

ყიჟინი კი თან და თან ახლოვდებოდა, სინათლე უფრო ჩაღდებოდა...

— თქვენ, თქვენ!... ბრბოვ, ბრბოვ, საზიზღარო ბრბოვ, ვერ სცნობ მტერსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოყვარეს, ვერ გაგიგია ვინ გმოკეთობს!... საკმარისია იმ საზიზღრებმა მღვდელთ-მთავრებმა და ფარისევლებმა თითი მიგიშვირონ ვიზედმე, რომ შენც ცხვარსავით ბლავილს მოჰყვე!... მაგრამ, მაგრამ, ხა, ხა, ხა, ხა!... იმ მხდალსავით არ დაგნებდები!...—იუდამ მახვილს გაივლო ქარქაშს ხელი, მაგრამ მახვილი ალარ დაჰხვდა. ამისთვის კეტს წამოავლო ხელი და საბრძოლველად გაემართა...

— ხა, ხა, ხა!... ვერ ჰხედავ იუდას, ოც და ათ ვერცხლად გამსყიდველს, როგორ მამაცობას იჩენს?!... ჯვარს ვაცოთ ეგა!—ხარხარით დაახალა ყიჟინა ბრბომ და თან და თან უფრო უახლოვდებოდა...

— მე... მე... ოც და ათ ვერცხლად?! არა, არა!... ჯვარს არ გეცმევინებით, არა?! მე საზიზღარი სიკვდილით არ მოვკვდები, არა!...—ხრიალით მიაძახა ბრბოს და საჩქაროდ ზეზედ აიჭრა. კეტი კი ბრბოსკენ სტყორცნა.

იმავე სისწრაფით მოიხსნა სარტყელი, ხის ტოტს მოაბა, გამოამარყუშა და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შშრრ!...—ხე მთლად შეირყა და ფოთლებმა შრიალი მოართეს.

ხეზედ ფრინველთ გამოელვიძათ ამ უეცარ შრიალზედ და დაფეთიანებულები უგზო-უკვლოდ გესთიმანის ბაღს მოედვნენ.

ხე კი კარგა ხანს შრიალებდა, ტოტს ჭაჭა-ჭუჭი გაჰქონდა, და ოდნავი დრო გამოშვებითი ხრიალი გამოისმოდა.

ამ დროს იესოს საფლავისკენ მიმავალთ მარიამ მაგდალინელმა, მარიამ იაკობისმამ და სხვა მანდილოსანთა წყნარის ბაასით ნელსაცხებელით ხელში ჩაუარეს ამ ხეს გვერდით, მაგრამ ხეზედ ჩამოკიდული იუდა კი ვერ შეჰნიშნეს...

ყარა-თაფა 1897 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინის ქურდი

(ქიზიყელებზედ ქართლში გაგონილი პატარა ამბავი)

დიდი ხანია სოფ. ა—მ მიიძინა. მთვარესაც მოეწყინა ცის სივრცეზედ ხეტიალი და დასავლეთისკენ სადღაც ტყიან მთებში ჩაიბნა. მხოლოდ ვარსკვლავთ მთვარის შემდეგ იწყეს მეჯლიში და თვალებგაბრწყინვებულნი გადმოჰხაროდნენ მიძინებულ სოფელს. გაუხარდათ ვარსკვლავთ მთვარის, იმ ეულის, გულ-ცივის ჩასვლა. მისი ცივი სხივები ვარსკვლავთაც გულს უცივებდა და ოდნავ-ღა ბჟუტავდნენ. ეხლა კი, როდესაც იგი ჩაეშვა მთებ შუა, გული გაუთბათ და მხიარულება და კაშკაშიც მოემატათ...

— ბიჭო, აბრი, აქეთ მოდი, შე გამჩენ . . . . , ე ლელვს მოერიდე, თორე...

— უუუ, აუ, აუ! — სიტყვა აღარ დაათავებინა ელიბოს სახლის ახლო ხუთიოდ ტალიკ მოსაუბრე ბიჭს ლელვის ძირიდან გამოვარდნილმა ძაღლმა, რომელიც აბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიას მაშინვე წვივებში სწვდა და ლრენით ლრლნა დაუწყო. ყველას, გარდა ძალლისგან დატყვევებულ აბრიასი, ჩუმი სიცილი აუტყდა. აბრია კი დასწვდა ძალლს ქეჩოში და უკანა ფეხებზე შეაყენა. ძალლმა შეაკვესა თვალები და გამწარებულმა ქვედა ყბა ააკაპუნა და თან ჩახრეწილი ხმა ააყოლა. აბრიამ მაშინვე ფოლადი თითები მოუჭირა პირზე და ძალლს წკმუტუნი დააწყებინა...

— თქვე ვერნებო, რა გაცინებთ?! მაიტათ, ვისა გაქვთ დეკეულას თეძო, თორე ე ბეხრეკი ქვეყანას შეგვიყრის!—გულმოსულმა დაბალის ხმით, მაგრამ მკვახეთ მიჰმართა მოცინავე ამხანაგებს.

აბრიას სიტყვებმა ყველანი გამოარკვია. საჩქაროდ იმის გვერდით გაჩნდნენ და ლელვის ძირამდის ძალლის მითრევაში მიეშველნენ.

ლელვის ძირას წყნარად დაუშვეს ძალლი, მაშინვე პირში უშობელის თეძო მისცეს და თითონ კი ელიბოს მარნისკენ ფეხაკრეფით წავიდნენ.

ხორცის სუნი მიედინა თუ არა ბეხრეკს,

ნერწყვი წამოუვიდა, რადგანაც მისთვის იშვიათი ხილი იყო და, თუმცა იმ საღამოს სალაფავით, რაც მარინემ გეჯით თავის ხელით მიართო, გამოძღა, მაინც ხარბად დაუწყო ღრღნა.

პატრონის ერთგული იყო ბეხრეკი სიყმაწვილეშიაც. კიდეც ამისთვის შეინახა და დააბერა; მაგრამ ერთი სუსტი მხარე ჰქონდა. ხორცის დანახვაზედ ყველაფერი ავიწყდებოდა: პატრონიც და თავის თავიც.

ეხლაც ისევე დაემართა. ჩაუწვა უშობელას თეძოს და თავდავიწყებით წუწვნა დაუწყო, რადგანაც ღრძილებამდის მოცვეთილ კბილებით გლეჯა აღარ შეეძლო...

ტალიკმა ბიჭებმა ელიბოს დაკეტილი მარნის კარი შეაღეს და ქვევრს კიდევაც მოჰხადეს...

— აჰ, მირონსავით არის, ღმერთმანი, მირონსავით! — წამოიძახა მიხუამ, როდესაც ღვინით გუდები და ერთი კაი ტიკჭორა გაავსეს, და თან სავსე ჩაფუკა წვრილად უკანვე ქვევრში ჩაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სქელი წითელი ღვინო წმიდა სანთლის მკრთალ შუქზე მაცდურ ნაკადულად ჩადიოდა ქვევრში და ხუთ მოლიმარ შელერებულ ბიჭების გაბრწყინვებულ თვალებს ულიზინებდა; თან წინწკლებს გარს უხვად ისროდა, რის დანახვაზედაც მაყურებელთ პირს ნერწყი მოსდიოდათ.

— რატო მაგრე წვნიკად ასხამ, შე ვერანავ, ბარემ ერთბაშათ ჩაასხა!.—წაუბუზღუნა გიომ და მხარში ხელი წაჰკრა.

— მზად არის, წავიდეთ, თორე ჩვენ ლოდინში სული ამოჰძვრებათ ი ხალხს,— სთქვა აბრიამ, როდესაც ტიკჭორას პირი მოაკრა და იღლიაში ამოიჩარა.

— წავიდეთ!... - სთქვა მიხუამაც და ქვევრს სარქველი დააფარა.

— ი, რა სულელები ვართ:—თითქმის კარებში დაიწყო ივანემ და უკანვე დაბრუნდა.

— რა მოგვივიდა, კაცო, წამოდი!—თითქმის ყველანი მიბრუნდნენ ვანუას სიტყვებზედ და ერთად დაეკითხნენ.

ეგონათ, თუ დაავიწყდათ რამე, რომ ივანე უკანვე მიბრუნდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაღა რა მომივიდა, თქვე ოხრებო,— ჩუმის ხმით დაიწყო ივანემ და სანთელი ისევ აანთო. ქვევრის პირას ვიყავით და ღვინო კი გემოით არა ვნახეთ. რას გვეტყვიან ი ხალხი? მასხარად აგვიგდებს..

— აი ამოგაგდოს ქრისტემ ყე!.. ღრეჭით უთხრეს და ქვევრს ისევ მიეხვივნენ.

— მართლა და რას გვეტყოდნენ ი ვერნები! ვიდა გადურჩებოდა იმათ!..— ღრეჭით წამოიძახა აბრიამ და სავსე ჩაფუკა ქვევრიდგან ამოწუნწკლა.

— აბა, ჩქრა დალიე!...—ყველამ ერთად უთხრა და თვალებს ბზინვა დაუწყო.

— ივანე, შენ გაცოცხლოს ღმერთმა. შენ რომ არ მოგეგონებინა, ჩვენ სირცხვილით ხვალ ტოლ-ამხანაგებში ველარ გავერევოდით! დალოცა ივანე აბრიამ და ჩაფუკა მოიყუდა

ივანემ კმაყოფილებათ წვერზე ხელი ჩამოისვა და ულვაშებში ჩაიცინა..

ყველამ ჩამოირიგა ჩაფუკა და ივანე ადლეგრძელა. ყველაზე ბოლოს ჩაფუკა ივანეს ერგო. ივანემ დიდის სიამოვნებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობა გადაუხადა ამხანაგებს და, როცა აფუკა გამოცალა, დაიწყო ღვინით დასველებული ულვაშების წუწნით ლაპარაკი.

— ییییی. რა ძაან ღვინოა!. ნაწლავები სულ არ ჩამწვაა!.. თუ ლუკმა არ დავაყოლეთ, ბინებამდის ვერ მივალთ. აბა ერთი მოუთაროვოთ, ელიბო შენახული კაცია, შესასუსნი ექმნება რამ.

— ე ღმერთო გამწყრალი, ჭკუის კოლოფად არ გადიქცა!.—სიცალით დაიძახა მიხუამ და სანთლით კუთხეში მიირბინ-მოირბინა.

ივანემ კი ჩაფუკა ისევ ამოავსო; ისე ესიამოვნა წითელი ღვინო, რომ კიდევ მოუნდა. სხვებიც სული-მწარედ მოელოდნენ გამეორებას.

— ბიჭებო, ხახვი და პური რამდენიც გინდათ!..—აღტაცებით წამოიძახა მიხუამ და სწრაფად წინ დაუყარა რამდენიმე შოთი და შემჭკნარ ფოჩებიანი ხახვის კონა.

დამშეულ მგლებსავით ეძგერნენ და საჩქაროდ ხახვსა და პურს სვავებივით ყლაპვა დაუწყეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლადაც დამშეულები იყვნენ. ბინებიდან სოფ. ა—მდის შვიდი-რვა ვერსი იყო. სწორედ შელამებისას, როდესაც მეძროხეები ვახშამს სჭავენ ხოლმე, გადასწყვიტეს ა—ში წამოსვლა, რადგანაც მაშინ დაკლეს აბრიას დეკეულა, რომელმაც უეცრივ კვდომა დაიწყო. „მიწის მგელი“ გამოუვარდა, თუ რა ღმერთი გაუწყრა, აბრიას „სალ-სალამათმა“ გათქვირებულმა დეკეულამ ფეხები ფშიკა და კდომა დაიწყო! აბა, როგორ მოჰკლავდნენ ისე უსულადოს!? მაშინვე ყელში ხანჯალი გაუყარა და სისხლი გამოადინა.

მეძროხეებისთვის ეს შემთხვევა დიდ მოვლენად ჩაითვლებოდა.

აბრია თუმცა მოწყენით დაჰყურებდა ყელ-გამოღადრულ დეკეულას, მაინც გულში ჩუმჩუმად სიამოვნობდა; უხაროდა, რომ რძე და მაწდნით მობეზრებულს ხორცის ჭამა შეჰხვდება...

ხორცის ჭამა ულვინოდ მეძროხეებისთვის წარმოუდგენელი იყო. ამისათვის ამოირჩიეს ოთხი მარჯვე ბიჭი, აბრიაც თან გააყოლეს და თან, რადგანაც ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ ჩაფიანი ტიკის მეტი არ ჰქონდათ, გუდები გაატანეს.

თითონ კი აკაფეს უშობელი და ქვაბებით ცეცხლზე შემოდგეს. ლუკმა პურითაც არ გაინძრიეს ყბები, რომ შენაყრებულიყვენ, რადგანაც ყველა მათგანი ცდილობდა მოემშია, რომ ხორცი ბევრი შეეჭამა.

ერთი-ორი ლუკმა გადაყლაპა თუ არა, ივანემ ჩაფუკა აიღო და დაიწყო:

— ეს ღმერთმა აცოცხლოს ამ ღვინის დამყენებელი და ცოლ-შვილი უცოცხლოს!

— ქრისტეს მადლმა ყე, ელიბო ძალიან კარგი კაცია! მაგას ამ სოფელში ტოლი არა ჰყავს; ღმერთმა დიდ ხანს აცოცხლოს!—წარმოსთქვა მიხუამ, როდესაც სავსე ჩაფუკა მიაწოდეს, და უსვენებლივ გამოცალა.

— ელიბოს მამა-პაპისა სულ არა დაჰრჩენია რა,—დაიწყო გიომ, როდესაც სავსე ჩაფუკა ხელთა ჰხვდა:—სუ თავის მარჯვენით შეუძენია, რასაცა ჰხედავთ.

— ამ ბნელაში რასა ვხედავთ, ე სანთელიც გვიქრება!.— იოხუნჯა ივანემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეე, ივანე, ეგ ყე ველარ მოგვიდა შე გამჩენ...!—ღრეჭით შეუკურთხა გიომ და თან ღვინისაგან დასველებული ხელები გასაწმედათ გაპოხილ საცვეთებს გაუსვ-გამოუსვა.

— რო გვიქრება ყე, შე აჯამო, უნდა მივაშველოთ რამე თუ!..—განაგრძო ისევ გიომ და ახლა ღვინით დასველებულ ულვაშებს მარცხენა ხელით წმენდა დაუწყო.

— ივანე მოგიკვდეთ, თუ ეხლავე არ გაგაჩირაღდნოთ! ამ სიტყვებით წამოხტა ივანე, სანთლის ნამწვს ხელი დაავლო და თახჩასთან მიირბინა.

წამს თითქოს კიდევაც სულ დაბნელდა. სხვებმა პირაც კი დააღეს, რომ გაელანძღათ ივანე, რადგანაც გაჩირაღდნების მაგივრად სულ დააბნელა; მაგრამ ყანყრატოში მობჯენილი ლანძღვა უკანვე დაუბრუნდათ, რადგანაც სინათლემ ერთი სამად იმატა.

ივანე თუნუქის მხრჩოლავ ლამპარით უკან დაბრუნდა...

— აჰათ, ესაც სინათლე!..—მთლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრწყინვებულმა ივანემ დადგა ქვევრის პირას ლამპარი და იქავე ჩაიკეცა...

აქნობამდის თუ დაბალის ხმით ლაპარაკობდენ და ფრთხილობდენ, ეხლა კი, სამაგიეროდ, როდესაც მეოთხ-მეოთხე ჩაფუკა წითელი ღვინო ჩამოირიგეს, ცოტა არ იყოს შუბლი შეუხურდათ და სრულებით თავის-უფალ ხმით დაიწყეს ლაპარაკი. ცოტა ჩვეულებრივზედაც მალლა.

— ივანე, ჰაი, ივანე, რა გარგი იქნებოდა, არა, ბიჭო, რო ცოტა სამწვადე წამოგველო?! — სინანულით ელრიჭებოდა გიო ივანეს და თან შოთს ჰლრლნიდა...

— კარგი იქმნებოდა, მა რა?.. ეი, რა შავაშიშხინებდით ამ ქვევრა პირას!.. — ივანეს მაგივრად მიხუამ უპასუხა, და მწვადების ხსენებაზედ პირში ნერწყვი მოუვიდა..

ივანემ კი გიოს სიტყვებზედ თავი ჩაღუნა და ეტყობოდა, რიღასიც მოგონებას ცდილობდა...

— რა მოგვიდა, ბიჭო, მეფე სოლომონობა ხომ არ მოგენიჭა, რომ მაგრე

ლრმად ჩაფიქრდი?! — მუჯლუგუნის წაკვრით მიჰმართა აბრიამ და ჩაფუკა ამოავსო...

— ეს ღმერთმა შაიწყალოს ელიბოს ოჯახში გარდაცვლილები! — განაგრძო აბრიამ და წუნწკლიანი ჩაფუკა მოიყუდა.

— ამინ, ამინ!. — თითქის ყელამ დაიძახა. ივანე კი ისევ ფიქრობდა. აბრიამ ჩაფუკა ისევ ამოავსო და მუჯლუგუნით ივანეს მიჰმართა:

— დილიე, ე ღვინო, რაც უნდა ბევრი იფიქრო, ქვეყნიერობისას შენ ვერას გაიგებ!

— ხა, ხა, ხა, ხა!.. მართალს ამბობს, ქრიჰტეს მადლმა, მართალს!. — ხარხარი დაიწყეს აბრიას სიტყვაზედ სხვებმა. თითონ აბრიაც აჰყვა იმათ ხარხარს...

— ბიჭებო, გინდათ ამ წამშივე სამწვადე გავაჩინოთ?! — სიხარულით წამოიძახა ივანემ, თითქოს დანარჩენების ხარხარის საპასუხოდ, უფრო ხარხარი აუტყდათ ივანეს სიტყვებზედ.

— რა გაცინებთ, თქვე აჯმებო, მართლა გეუანებით!.. — წყრომით უთხრა ივანემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაითვრა, აი, ხა, ხა, ხა!..—ისევ ხარხარი დააყარეს ივანეს.

— თქვე აჯმებო, ი დეკეულას ბარკალი დაგავიწყდათ, ძალლს რო მიუგდეთ?!.

— ეეე, მართლა, კაცო, ი როგორ დაგვავიწყდა!..—ერთ ხმად წამოიძახეს და ივანეს გაკვირვებით მზერა დაუწყეს.

— მაგანაც ჰთქვა, რალა?! — წარმოსთქვა ცოტა სიჩუმის შემდეგ მიხუამ: აქნობამდის ძვლებსაც დაჰკვნეტდა ი გამჩენ...

— ძვლებს კი არა, რკინას დაჰკვნეტდა! — დაცინვით სიტყვა გააწყვეტინა აბრიამ: წელან ე წვივს სისხლიც ვერ გამოადინა.

— მაშ, აბა, ვნახოთ!.. — დაიძახა ივანემ: ღმერთმანი ერთი ციცქნაც არ ექმნება დაკლებული.

თქმა და ასრულება ერთი იყო. ხუთი ბიჭი ბარბაცით გამოვიდა მარნიდან და ბნელაში მღრჩოლავ ლამპრის შუქზედ ლეღვის ძირას ძალლის წინ მწკრივად გამოიქანდაკა; შორი ახლოდგან ღრეჭით ძალლს მზერა დაუწყო. ძალლმა კი ამათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანახვაზედ, მართლაც, ჯერ ისევ მთელ, მხოლოდ მტვრით მოგანგლულ დეკეულას ბარკალს წინა ტოტები გადააწყო და თვალის კვესებით კბილების ადგილას შავ ხაზ გასმული ჩალვიძლებული ღრძილები გამოაჩინა.

— უუუ!...—ღრინავდა ძაღლი.

— უუუ!..—აჯავრებდა ხუთივე ღრეჭით ძაღლის ღრენას და ვერც ერთი მათგანი ვერ ჰბედავდა დეკეულას ბარკლის გამოცლას.

— აბა, აბრი, ისევ შენ!... — მიხუამ ჰკრა ხელი აბრიას და ზედ ძაღლზედ კი წააპირქვავა.

— აუ, აუ!.—ძაღლმა ერთი ალიაქოთი ასტეხა და ზედ წაწოლილ აბრიას ღრღნა დაუწყო.

აბრია ძალა უნებურათ შეებრძოლა ძაღლს. როგორც იყო, ყელში მარჯვენა ხელი წაავლო და მაგრად მოუჭირა.

აბრია რო ძაღლს ებრძოდა, სხვები გულიანად კისკასობდნენ...

თქვე მამა ოხრისანო ყე, რა გაცინებთ?! დროით აიღეთ ე ბარკალი და გამომწვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეთ.—შეუტია აბრიამ და ძალლს ყანყრატოში უფრო მოუჭირა.

ხარხარით დაითრიეს ბარკალა მარნისკენ გამოსამწვადავად.

აბრია კი ძალლს ებრძოდა. იღლიის ქვეშ ამოიდო ძალლი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა აწვებოდა; თან მაგრად უჭერდა ყელში. ძალლი გამალებით წინა და უკანა ფეხებით ფხაჭნიდა მიწას, თვალებში მტვერს აყრიდა აბრიას, ცდილობდა განთავისუფლებას, მაგრამ ამაოდ.

თითქმის ხრიალიც შესწყვიტა ძალლმა, მიწასაც ისე ღონივრად აღარ ფხაჭნიდა და თან-და-თან ყუჩდებოდა. მხოლოდ გვერდები და მუცელი ებერებოდა.

— შე ვერანავ, ე მაგრე ჭკვიანად იყო, ის არ გირჩევნია!—დამშვიდებით წამოიძახა აბრიამ, როდესაც ძალლმა მოძრაობა შესწყვიტა: და თავისუფლად ამოისუნთქა, თუმცა ძალლის ყელში წაჭერილი ხელისთვის არ უფოხია.

— ე ძვალი აქვე მომიტანეთ, თორემ ძალლს თავს გავანებებ და ქვეყანას შეგვიყრის! -- დაუძახა ამხანაგებს, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეწყინა ძალლთან ერთად მხარ თეძოზე წოლა.

— ეხლავე, ეხლავე! —გამოსძახეს მარნიდან და მიხუამ გამომწვადული ბარკალი მოურბენინა.

აბრიას არსებობა კიდევაც დაავიწყდა ამხანაგებს. იმათ გამომწვადეს და ძვალი იქ დააგდეს. თითონ კი სახრეებისგან შამფურები გააკეთეს და წვრილად დაჭრილ ხორცის ზედ აგება დაიწყეს.

როცა აბრიამ დაუძახა, მაშინ-ღა მოაგონდათ, რომ აბრია ძალლს ებრძვის და თრიკინი აუტყდათ.

— აქ მამე, პირში მივცე, თორე მომვარდება! —ჩამოართვა ძვალი ღა ძალლს დალებულ პირში ჩაუდო.

მხოლოდ ეხლა-ღა გაანთავისუფლა ძალლის ყანყრატო.

— ვერანას როგორ ესიამოვნა! არც კი ინძრევა!..

II

— ბიჭო, ბიჭო, დაჰკართ ტაში!

— გოოგონა, გოგონა!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გოგონა და გოგონა, გოოგონა, ბიჭებო!...

„გოგომ სთქვა—ჩემმა ნალავმა:
ბიჭმა ვერ გადმიგორაო,
ვერცა გამიხსნა სარტყელი,
ვერცა-რა მომიგონაო!“

— დედაკაცო, ჰა, შე ვერანო, დაჰყრუვდი თუ?!. არ გეყურება?!—პერანგა ელიბო კარებიდან უტევდა თავის ცოლს, როდესაც მარანში სარკმლიდან შეიხედა და უკანვე დაბრუნდა.

— რა დაგემართა, კაცო, რა იყო?!— შმუშნით დაეკითხა ირინე.

— ღმერთმა რო არ იცის შენი თავი და ტანი, ის დამემართა!. აბა, მარანში შაიხედე, რა ამბავია!.

„გადაგიხტი, გადმოგიხტი.
გაგიკეთე ფანჩატური;
შენი ფეხი, ჩემი ფეხი
ერთმანეთში ჩახლართული!“

— არალე და არალე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იჰ, ე სადა მღერიან?!.. გაკვირვებით დაეკითხა ირინე და ლოგინში წამოჯდა.

— გამოდი მეთქი, არ გეყურება?!..

ხმის ამოუღებლივ ირინე ამოუდგა ქმარს მხარში.

მწვადის ოშხივრით გაჟღენთილი ბოლი უხვად გამოდიოდა სარკმლიდან და იქ მდგომთ—ირინეს და ელიბოს—ჰბურავდა..

— დედაკაცო, ჩვენია ე მარანი თუ?!.

— აბა რა ვიცი, ჩვენი რო იყოს, ხომ ეგენი აღარ იტლინკებდენ!..

— აბა, მიხო, ე შამფურიც გაიტანე და გავათავოთ!.. უთხრა აბრიამ, როდესაც თამაშობის შემდეგ მიხუა დასაჯდომათ დაიხარა.

ყველამ ითამაშა. ყველანი თავ-დავიწყებით თამაშობდა გოგონაზე. ყველამ კარგად იცოდა სიმღერა და ამისთვის ერთი ერთმანეთს სცვლიდნენ.

მიხუამ უკანასკნელი ხის შამფური მწვადით მოიტანა, და საჩქაროდ მწვადი...

— ეს ღმერთმა აცხონოს და შეიწყალოს ჩვენი მიცვალებულები!.. — წაუქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი პურზე ჩაფუკას აბრიამ და მოიყუ-
და.

— ამინ! —ყველამ ერთხმად დაიძახა.

— დედაკაცო რალასაც ჩერჩეტობ, ჩვე-
ნია, მა ვისია ე მარანი?!

— თუ ჩვენია, მა ისენი რას აკეთებენ
აქ?!

ქვევრის პირას მსხდომთ ყურები ცქვი-
ტეს. მკაფიოდ შეესმათ ელიბოს და ირი-
ნეს ლაპარაკი..,

ყბებსაც კი აღარ ანძრევდნენ, სულ
სმენად გარდიქცნენ.

— დედა-კაცო, ერთი ი ჩოხა გამამი-
ტანე!..

ირინე მაშინვე გატრიალდა.

აბრია-კი მაშინვე გარედ გამოვარდა და
სარკმელთან მდგომს კისერში სწვდა.

— ბიჭებო, ე ვილაც ოხერია, ღვინის
მოსაპარავად თუ მოვიდა?!

ელიბო შეეჭიდა და ყვირილი მორთო.
დანარჩენი ბიჭებიც გამოცვივდნენ; სა-
ჩქაროდ ასწიეს ელიბო და მარანში შეი-
ტანეს.

კარგია კიდევ ჩვენ აქ ვიყავით, თორე

ხომ ღვინოს მაიპარავდა!..—ძლივას-ღა აგნებდა ენას მიხუა.

— არა, ბუზის ტოლას ვეღარ გვამ-ჩნევდი, შე ქრისტე..., რო მოჰდიოდი ღვინის მოსაპარავად?!.—ჩაეკითხა ელიბოს აბრია, როდესაც ხელ-ფეხ შეკრული ელი-ბო კუთხეში მიაგდეს..

— აბრი, ერთი ჩაფუკა ღვინო მაინც დაალევინე, ვინ იცის, ღვინისთვის რა-ნაირად სული მიჰდის!—ღრეჭით მიჰმართა ივანემ, როდესაც აბრიამ ჩაფუკა ისევ ამოავსო..

ელიბო კი გონს ვერ მოსულიყო, თუ ეს რა დაემართა. გაჩუმებული ათვალიე-რებდა მარანს, თითქო ეცნობებოდა კი-დევაც მარანი და არც ეცნობებოდა. მაგრამ ეს კი კარგად იცოდა, ღვინის მოსაპარავად არ მოვიდა.

„მაშ რადა მწამებენ ღვინის ქურდო-ბას“?!—შეეკითხა თავის თავს ელიბო და პასუხი კი ვერ მისცა..

— ღვინოს კი არა, ჭირს დავალევი-ნებ!—წამოიძახა აბრიამ და შემდეგ ხელ-ფეხ გაკრულ ელიბოს მიჰმართა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ავი კაცის მამისა და დედის სულიცა, ე ღვინის მოსაპარავად რო მოჰ-დიხარ, ქრიჰსტე ალარა გწამს?!.

ირინეს კაბა გადაეცვა. გამოვიდა ქმრის ჩოხით გარედ და მიათვალიერ-მოათვა-ლიერა ქმარი და რაკი ის ველარ დაინახა სარკმელთან, სახლშივე შებრუნდა.

— იჰ, სადღაც წასულა!..—კაბა ისევ გაიძრო და ლოგინში ჩაგორდა: „ჩოხა თუ უნდა, თითონვე გაიტანოსო“—დაუ-მატა, ლოყის ქვეშ მარცხენა ხელის გული ამოდო, მარჯვენა ხელი კიდევ მარცხენა იღლიაში ჩააცურა და დასაძილებლად თვალები მიხუჭა...

— ბიჭებო, წავიდეთ, თორე ბინაზე ალარ მიგვიშვებენ!. – დაიძახა გიომ და ბარბაცით ღვინით სავსე გუდა ზურგზე მოიგდო.

— ყველა წმიდა იყოს შამწე... კარგა დავლიეთ. აი!.. შენ კი, ეი, ვიღაც ღვი-ნის ქურდი ხარ, ხვალ პატრონი თითონ გაგცემს პასუხს!..—თან ბარბაცებდა ივანე და ძლივას ლაპარაკობდა.

— აბა, ახლა კი წავიდეთ, შიგ ხო არ ჩავილრჩვებით!..

— წავიდეთ?—ერთხმად დაიძახეს ყველამ და თავიანთ გუდები და ტიკები აიღეს.

— ღვინის ქურდობა კარგი არ არის, ხვალ თავს ლაფს დაგასხმენ!—თითქმის ყველამ მოვალედ ჩათვალეს თავიანთ თავი, რომ ელიბოსთვის ეს სიტყვები ეთქვა, როდესაც ბარბაცით გარედ გადიოდა.

ელიბო კი ამ სიტყვებზედ მწარედ იტანჯებოდა.

„დახე, ჩემ სიცოცხლეში ქურდობა არ ჩამიდენია და ამ სიბერის დროს რა თავი მეჭრებაო!“.—თითქმის ტირილით უსიტყვოდ გაიძახოხა და სირცხვილით თვალებს-ღა მაგრად ჰხუჭავდა.

ს. ქვემო-ჭალა.

შ. არაგვისპირელი.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

	ᲒᲐ.
1) პატარა პეპელა.	3
2) ბუნების მეფენი	10
3) მიწაა!..	21
4) ჩემი სამშობლო ჩემი გულია!..	42
5) ყოჩის გოდება.	70
6) „ბალღი ჰყოფილხარ!.“	84
7) ღირსი ვარ ამისა, ღირსი!..	94
8) სულ ერთია!	108
9) „ეჰ!..“	151
10) ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვგრძენ!..	[illegible]
11) ორი მკურნალი	179
12) იუდა.	197
13) ღვინის ქურდი.	221

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 7.196/2